

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

7

ივლისი
2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ოლიკო ჟღენტი
ნინო ყულოშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

მოუთვინიერებელი სტრიქონები

არჩილ ფირცხალავა. ლექსები 5
(ლევან ბრეგვაძის პუბლიკაცია)

პოეზია

ანზორ აბუანდაძე. ლექსები 10
ნუციკო დეკანოზიშვილი. ლექსები 13

მსატვრული პროზა

ზაირა არსენიშვილი. „ერთსა კაცსა ბლისკინელსა“ 16
(ფრაგმენტი მოთხრობიდან)

ესაისტყა/დოკუმენტური პროზა

ბაჩანა ბრეგვაძე. მარადისობის მოციქული 27
ფრიდონ ხალვაში. გადამმეთელ (თურქეთელ) 31
ჩვენებურებში გურამ ფანჯიკიძესთან ერთად
(ივანე ამირხანაშვილი ფრიდონ ხალვაშის
უკანასკნელ პოეტურ კრებულზე)
მანანა ამირეჯიბი. ორი ეტიუდი 38
ნინო ხოფერია. არისტოკრატიული საგა 42

პროზა

ლალი ავალიანი. გადარჩენის რწმენითა და იმედით 48
(მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის გამო)

კრიტიკა

- 52 ნინო ვახანია. ლაშა გახარიას მართალი პოეზია
ნიკოლაი ბერდიაევი. ასტრალური რომანი
(ფიქრები ანდრეი ბელის რომანის – „პეტერბურგის“ გამო)
- 54 რუსულიდან თარგმნა **ლილი მჭედლიშვილმა**

ახალი თარგმანები

- ო' ჰენრი. დაკარგული რეცეპტი
60 (ინგლისურიდან თარგმნა **მაია ცერცვაძემ**)
გეორგ ბიუნენერი. ლენცი
64 (გერმანულიდან თარგმნა **ზურაბ აბაშიძემ**)

უკვდავი სახელები

- თამაზ ჯოლოგუა. შეთქმული ქალები
70 (თეკლა ბატონიშვილი)

თეატრი

- თამარ კიკნაველიძე. რეზა სერვატის
74 „მაკბეტი“ საქართველოში (ნაწილი II)

პრეზენტაციები

- 77 ესმა მანია. „ვეფხისტყაოსნით“ შემდგარი ერი და ეპოქა
78 ცაში აფრენილი ლექსები (ნინო ნადირაძის „ფრანწალებული“)

ნიშნები

- 79 გალაკტიონოლოგია V
79 ივანე ლიქოკელის „ხევსურეთის სისხლიანი 37“

მოუთვინიერებელი სტრიქონები

არჩილ ფირცხალავა

ისევ ხან, ღამე, ფალიაშვილი

ღამეა და თვით არ ვიცი რა ქარია,
ყველა ტკივილს მოგონების ქარი აშლის.
კლავიშებზე ცრემლად დნება ზაქარია,
ღმერთო, სული დაულოცე ფალიაშვილს!

რაც გინდ დიდი მწუხარება მომესიოს,
შენს სიყვარულს ვემსხვერპლები რაინდულად.
თითქოს ვანოს „თავო ჩემო“ მოესმინოს,
დედამინა მლოცველივით გარინდულა.

რა უღმერთოდ წამიჭირე აპეური,
სიცოცხლე ვარ, უსიცოცხლოდ დამნვი ალო.
სულგაყიდულ მურმანივით დაბნეული
ღამის ქარი რა ეულად დანრილობს.

„რომელმა გულმა გაცნობა,
ბედი გექნება მწარეო.
ამალამდელი ღამეო,
ნურც გათენდები მალეო“.

რაც გინდ დიდი მწუხარება მომესიოს,
ყველა დარდი სიყვარულით იცელებს.
თითქოს ვანოს „თავო ჩემო“ მოესმინოს,
ლაჟვარდი ცა ეთერივით იცრემლებს.

ეს სიცოცხლე ვინ აგვინთო წამიერად?
საოცრებით ანთებული დავალ საით?
ელვაა თუ სიყვარულმა გაიელვა
აბო მეფის შენაფიცარ დანასავით?

„ეთერო, გახსენ გულ-მკერდი,
ჩემთან შენც დასთმე თავია.
ცოცხალსა მურმან ვეზირსა
მე გირჩევნისო მკვდარია“.

... ღამეა და თვით არ ვიცი რა ქარია,
ყველა ტკივილს მოგონების ქარი აშლის.
კლავიშებზე ცრემლად დნება ზაქარია,
ღმერთო, სული დაულოცე ფალიაშვილს!

1964 წ.



არჩილ ფირცხალავას (1944 - 1986) ლექსები წიგნად სამჯერ გამოიცა, პირველად – პოეტის სიცოცხლეში, 1983 წელს, ორჯერ კი – გარდაცვალების შემდეგ – 1992 და 2003 წლებში. ლექსები, რომლებსაც ახლა გთავაზობთ, ერთის გარდა, პირველად ქვეყნდება – ის ერთი („ქალაქი“) ერთადერთხელ დაიბეჭდა გაზეთ „სიტყვა ქართულში“ 1993 წელს (ლევან ბრეგვაძის პუბლიკაცია). იმ ხანაში, როცა ისინი დაინერა, მათი უმეტესობა ვერც გამოქვეყნდებოდა, ზოგი შინაარსის, ზოგიც ფორმის გამო. ახლა კი ეს, საბედნიეროდ, შესაძლებელია. დიას, ასეთი ლექსებიც ითხზებოდა საბჭოთა საქართველოში. ისინი არჩილ ფირცხალავას, ამ არაორდინარული პიროვნებისა და შემოქმედის ნიჭიერების ახალ ნახსენებებსაც წარმოგვიჩენს და იმის კიდევ ერთ დასტურადაც გამოდგება, რომ მეამბოხე სული ქართულ პოეზიაში მაშინაც არ ჩამქალა, როდესაც პარტიული დიქტატი ყველა სფეროში და უწინარეს ყოვლისა მხატვრულ ლიტერატურაში ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ჩაეხშო შემოქმედებითი თავისუფლება, ალექსეოთა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული „გამოხდომანი“.



გამარჯობა, ლევან ძმაო!
უპირველესად მადლობას გიხდის ყურადღებისათვის, – ეს-ესაა მივიღე ჟურნალის პირველი ნომერი. აგრემც ღმერთი გაახარებს შენს მონაგარს.

გისურვებ ჯანმრთელობასა და შემოქმედებით გამარჯვებებს. მე თუ მიკითხავ, ვზივარ სამეგრელოს სატახტო ქალაქსა შინა, უკეთუ ზუგდიდსა, და ვნერ სამფორმიან დოკუმენტურ წიგნს – „ქართული ფაიფურის დაბადება“. ასე რომ, მოკლე ხანში მფრინავი თეფშები თუ არა, ფაიფურის თეფშები მაინც არ მოგვაკლდება.

ვკითხულობ ძალიან ბევრს, დავენერე ახალი ლექსები და კიდევ ბავშვთა საერთაშორისო წლის ზეგავლენით საბოლოოდ შევუარიგდი ცოლს, მიუხედავად ამისა, დედაქალაქის ცირები ჟამი-ჟამ სიზმარში მეცხადებიან და ძილს მიკარგავენ. დავენერე ვრცელი წერილი „გიორგი ნაფეტვარიძე“.

მომენატრა დედაქალაქი, მომენატრეთ თქვენ, მაგრამ სწორედ შენისთანა კარგი ბიჭების სასიხარულოდ ბევრი რამ გავასწორე პირად ცხოვრებაში და... მაისში ისევ მოვბრუნდები დედაქალაქში.

ახლა კიდევ ერთი: ძმაო ლევან, ეს წერილი რიგით მესამეა, რომელსაც შენი მისამართით ვგზავნი. პასუხი კი არაფერზე არ მიმიღია. დავიჯერო ასე დაიტვირთე? მაცნობე სიახლეებზე, შეაკითხე „მერანს“, გამოიგე ვის მისცეს სარეკენზიოდ ჩემი ლექსების წიგნი, მისცეს კი საერთოდ?

მომიკითხე კარგი ბიჭები და მომიკითხე თქვენი თანამშრომლები. პერსონალური მოკითხვა რეზო ჭუბაბრიას.

გკოცნი ძმურად.
ღვინომანიას შევეშვი!
შენი არჩილ ფირცხალავა.

10/IV-79.

კიდევ ერთი საოცრების მონმე გავხდით ძირძველნი,
მადლი უფალს, მადლი უფალს,
ხალხი ვართ თუ ხალხები.
სამხრეთშიაც ჩრდილოეთის მზის ამოსვლა ვიგრძენით,
მადლი უფალს, მადლი უფალს, არასოდეს გავხმებით.

რალად გვინდა სამხრეთული ან მზე ანდა სოხანე
(უკაცრავად, სამხრეთის მზით გულგავსილო მინებო),
მადლი უფალს, მადლი უფალს,
ყველამ მუხლი მოხარეთ,
რამე პროვინცილობა არ დაგვბრალდეს, ბიჭებო!

რისი შოთა, რისი ცოტნე, რისი საბა-სულხანი,
დიდი საქმე დავითი და მითუმეტეს სოსელი.
სახელები ისტორიის ხრამებს გადაუყარეთ,
მახარაძეს შეეშვით და მოუსმინეთ ოზეროვს.

არ გვჭირდება ისტორიის სიღრმეებში ფათური,
ამოდ ნუ ინათლებით დავითად და არჩილად,
ყველაფერი, რაც ამ ქვეყნად დარჩენილა ქართული,
უძველესი რუსი ერის ძმობამ გადაარჩინა.

ჩვენ არც ვინმე რუსთველი და აღარც საბა გვეყოლია,
პროვინციელ თამარ მეფეს ხომ სჯობია ტამარა.
დიდ ხალხს დიდი პეტრე ჰყავდა, კარგად გაგიგონიათ,
ჩვენ კი აბა რას გავხდებით გოჯი მიწის ამარა.

რას გვიქვია სამხრეთული ან მზე, ანდა სოხანე,
დიდი რუსის ერთგულების ხატზე დანაფიცებნო!
მადლი უფალს, მადლი უფალს,
ყველამ მუხლი მოხარეთ,
რამე პროვინცილობა არ დაგვბრალდეს, ბიჭებო!

1979 წ.

ქალაქი

ვერ გახდა ჩემი ეს ქალაქი,
თუმცა ათი წელია ვცხოვრობ,
ათი წელია ფინაგენტებს ვეჯიჯლინები,
სახლმმართველობას გულს ვუნწვილებ,
რიგს ვიცავ დახლთან
და ბაზარში ქურთ მემწვანილეს
ცეცხლის – ოდესლაც ღვთიური ცეცხლის –
სიიაფეზე ვუკითხავ მორალს.
ათი წელია – ცა ცოლივით შემოვირიგე,
ვფლანგავ ჰონორარს
(ნიჭს ფლანგავო, მწერლებმა მითხრეს).

ავდივარ მაღლა – ღმერთკაცების სასაფლაოზე,
ჩავდივარ დაბლა – ვეძებ ტიცინანს დიდუბეში
და ვიღრინები.
ოქროყანაში, დამნაშავე მე ვიყო თითქოს,
ვტოვებ ბუჩქნარებს, სადაც უცნობს შემოჰყავს გოგო
ილორის კარზე შესანიშნად დაბმულ კრავივით.
„კარაბადინი“ ზედმეტ ფასში მომყიდეს გუშინ,
ხუთმაგი ფასით – მუხრანის და ანას წიგნები.
დიდებულია კაფეები, შაში, დომინო,
ოპერა, კინო დაგვიხურა „რიჩარდ მესამემ“,
რამაზ ჩხიკვაძის საყვარლობას იჩემებს ვიღაც –
ზეითუნის ზეთის ფლაკონი.
მართლა გყავდათო თუთაშხია? – ბიჭებმა მკითხეს.
აბა რა ვიცი – ვინ გვყავდა და რის გამო გვყავდა,
ათი წელია მე აქა ვარ,
ათი წელია მეც თქვენსავით ვტკეპნი ამ პროსპექტს
და ვიშველიებ ასათიანს – საღმერთო ღვინოს.
მიკვირს კი, მაინც იმ ხურჯინა ტეტიად ვრჩები,
ა, ა, ათი წლის წინათ აქ რომ ჩამოიყვანეს
და გზამკვლევებით დაეძებდა თვითეულ უბანს.
გადაწყდა! – კარგ დროს მომაცივლა ჩემმა სოფელმა,
ანტი, ქალაქო, მხოლოდ სტუმრად მოგიბრუნდები,
არა მგონია, ვინმემ კალთა ჩამომახოს.
არ გაუგიათ აქ ჩემი მოსვლა
და ვერც წასვლას გაიგებს ვინმე,
არ იყვილებდა უადგილოდ ჩემი სოფელი.

[1982 წ.]


საავადმყოფოში

მოშავდღევდება ის წერტილიც,
როცა იქნება,
ამ ულაგამო, ნერგა ბიჭებს დავეთხოვები
ისე უბრალოდ, –
ა, – ქალის მკერდს რომ მიაჩერდე
და ქალმა ხელი აიფაროს –
ხომ არ მიჩანსო მთვრალი მეუღლის ნაკბილარი,
ისე უბრალოდ
ყველას, ყველაფერს დავტოვებ და დავეთხოვები.

[1982 წ.]

ლოცვა

სოფლელი გოგო
აზღუდის თასმას რომ შეისწორებს
ხელისა და მხრის გასაყარზე,
ასე მგონია, ლოცვას აპირებს,



გამარჯობა, ძმაო ლევან!
ვისურვებ ყოველგვარ სიკეთეს. ახლა უშუალოდ საქმე. ჩემო ლევან, ერთი შეაკითხე იმ ჩემს საცოდავ ლექსებს, გამიგე რას აპირებენ, ჩემს სიკვდილს ხომ არ ელოდებიან.

ძალიან ცუდ დღეში ვარ. დედა ავად, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მეც ვერა ვარ კარგად, მაგრამ ჯერჯერობით ვუძლებ. შენ ლექსები რომ მოგეცი კრებულისთვის, ის კრებული გამოვა თუ არა საერთოდ.

კიდევ ძალიან საჭირო თხოვნა: თუ ძმა ხარ, არ დაიზარო, რაღაც კაპიკების საქმეა – ოპერის წინ იყიდება ჩემი „ალექსანდრე ოლეონიკოვი“. თქვენს დიდ კონვერტში ერთი ექვსი ცალი მაინც ჩაეტევა. მეგონა ზუგდიდში მოვიდოდა გასაყიდად და ამიტომ არ წამოვიღე, ერთი ცალიც არ მაქვს. ძალიან გთხოვ გამომიგზავნო. მე არ ვიცი როდის მოვახერხებ ჩამოსვლას. ძალიან მიჭირს ყოველმხრივ. სულიერადაც, მატერიალურადაც და რა ვიცი როგორ არ მიჭირს.

თეიმურაზ აბულაძის ბოლო სრულ ნიგნზე ვაკეთებ რეცენზიას და კარგს იზამ, თუ მესამე ნომერში მომიხერხებ როგორმე.

მოკითხვა რეზოს და თქვენი კოლექტივის მშვენიერ წევრებს – ცირას და ნინოს, ნინო და ცირას. ველი პასუხს.

მარადის შენი არჩილ ფირცხაღავა.

10/IV-81.



ძმაო ლევან,
გამარჯობა.
რა ამბებიია.
ხომ ხარ კარგად.
ღმერთმა კარგად გამყოფოს.
მე ვერა ვარ კარგად.
მოვიშალე,
დავიღალე.
სული მტკივა.
მე რომ წერილი ჩაგაბარე, რა
დღეშია. იქნება კი?
შეიხედე ერთი მეორე ოთახში
და დამიზუსტე რას აპირებენ ჩემს
ლექსებზე.
ჩემს სიკვდილს ხომ არ უცდიან,
ან იმას, რომ ერთი ყველაფერზე
ხელი ჩავიქნო. ასეთი მეთოდებ-
ითაც ეხერხებათ ბრძოლა ზოგი-
ერთებს. ვიცოდეთ მაინც.
ძალიან მტკივა. როგორ, მაინც-
ადამაინც ხიშტით უნდა ვიდგე
ყოველდღე გამომცემლობაში?
მოკლედ, თუ ძმა ხარ, არ და-
იზარო და მაცნობე, ერთი ჩემი
თქვენდამი ჩაბარებული წერილის
და მეორეც ჩემი ლექსების წიგნის
შესახებ.
აბა ძმურად, სულ სამიოდე კაცი-
ლა შემრჩით ვხედავ. ვერ იცლიან
„ძმები“, ჰე...
მარადის შენი არჩილ ფირცხა-
ლავა.

20/IX-81.

ისე სადაა,
ისე ნათელი ეს რიტუალი.

ასე მგონია – ლოცვას აპირებს
გლექსკაცი –
ხნულში რომ ჩამდგარა შიშველ ფეხებით –
ქუდს მოიშვლიპავს,
ცას ახედავს,
შუბლს მოიმშრალებს.

[1982 წ.]

**თავისუფალი თემა:
„ეროვნულ-პატრიოტული მოტივი ილიას მიხედვით“**

ვერ დააგუბა ლელთ ღუნიამ
საუკუნის ბოღმა-ნალველი.
ვერ გაუძლო მოხევის ხორხმა
ხანჯალივით მობჯენილ სათქმელს.

შენც ვერ გაუძლებ, ერთხელაც იქნება,
შენც ვერ აიტან, ერთხელაც იქნება,
და
ამ ყინულეთს
სიპი შუბლით შეენარცხები –
რომ გაარღვიო,
გაიტანო,
გაითავისო,
განიფინო,
განივრცო
ქვეყნის ირგვლივეთში,
როგორც ეს მზე,
მზე – დაღალული,
ბერდედასავით
მიტოვებულ კოშკის ყურეს დაყუდებული.
და დასვამ კითხვას:
– როგორ გვეყუდნის?

[1982 წ.]

მზაო, სულივით თავისუფალო!

*ღვთის საპატიოდ ლოცვის ჟამს ძველი კოლხები
მინას იყრდნენ თავზე, ვითომ ცოცხლად იმარხებოდნენ.*

გინდა ვედრებად ჩაგვითვალე,
გინდა შეკედლებად ჩაგვითვალე,
გინდა განდგომად ჩაგვითვალე,

გინდა განდობად ჩაგვითვალე,
 მზეო, სულივით თავისუფალო.
 ჩვენა ვართ ჩვენივე მესაფლავეები,
 ჩვენა ვართ ცხედრებიც და ჩვენა ვართ საფლავეებიც,
 თითქოს ათასი შვა ზეცამ მთვარეები,
 შენ ხარ ერთადერთი, შენ ხარ ერთადერთი,
 მზეო, სულივით თავისუფალო.
 მოგართმევთ – თვალსაცერა ხარების ქედებს,
 მოგართმევთ – რქაყანნალა ხარების მუხლებს,
 მოგართმევთ – კერის ნაცარს, ნაღვლიან დედებს
 შენს მოლოდინში რომ უხაზავთ ნუხელ.
 მზეო, სულივით თავისუფალო.
 მოგართმევთ ჭიგოს და მოგართმევთ ხარდანს,
 მოგართმევთ სახნისს და მოგართმევთ ერქვანს,
 ოლონდაც რაც გვქვია, კვლა იგი გვერქვას,
 ლაჩარი – ლაჩარს, გამტანი – გამტანს,
 მზეო, სულივით თავისუფალო.
 მოგართმევთ – თვალმერცხალა ცირების ლოცვებს,
 მოგართმევთ – თვალმახარა ვაჟების ბუხუნს,
 სისხლიდან რომ მოდის, ხორცი რომ უხურს,
 ღმერთმა საიმათო ულუფა მოგცეს,
 მზეო, სულივით თავისუფალო.
 მოგართმევთ სოხანეს, მოგართმევთ ერდოს,
 მოგართმევთ ზვარს და მოგართმევთ კალოს,
 ოლონდაც აქეთკენ არ დაიკვალოს
 ავმა და მაცილმა დღეისა შემდგომ,
 მზეო, სულივით თავისუფალო.
 მოგართმევთ ტაბაკონას როკაპის კბილებს,
 მოგართმევთ ტაბაკონას როკაპის ხელებს,
 უღმერთო მაცილთა ლაქუცა მხეველებს
 გადუგდე საჯიჯგნად და გააკვირვე,
 მზეო, სულივით თავისუფალო.
 დასწვი და დაშუბე ავი და მაცილი,
 დასწვი და დაბანგე მკვდრული და ღრმა ძილით,
 ნიადაგ უგრძელე შენამდე მანძილი,
 გოდება მიაგე, იმედი აცილე,
 საკუთარ ძმაზე და ცოლ-შვილზე აცინე,
 მტერივით აცინე, თავისუფალო.
 ... გინდა ვედრებად ჩაგვითვალე,
 გინდა შეკედლებად ჩაგვითვალე,
 გინდა განდგომად ჩაგვითვალე,
 გინდა განდობად ჩაგვითვალე,
 ჩვენ სხვა ანდერძნამაგს არვის ვუბარებთ,
 ვივლით საფლავებად, მუხად და ძელქვად,
 ოლონდაც კვლა ქართველს ქართველი ერქვას,
 ქართველი ერქვას – თავისუფალი!




გამარჯობა, ძმაო ლევან!
 კიდევ და კიდევ გისურვებ
 ყოველგვარ სიკეთეს ცხოვრებაში.
 მადლობელი ვარ ჩემი წერილის
 დაბეჭდვისათვის. უკვე ნახევარი
 წელი გასრულდა, რაც გულრიფშის
 მკვიდრი ვარ. ყველაფერი კეთდება
 ოპერაციის თავიდან ასაცილებ-
 ლად. ამას წინებზე დიდთოვ-
 ლობის ჟამს ზუგდიდში ვიყავი და
 რეჟიმი დამერღვა, თორემ საქმე არ
 იყო მთლად ცუდად. ახლა წოლითი
 რეჟიმი მაქვს.
 ძმაო ლევან, ძალიან გთხოვ არ
 დაიზარო და გამომიგზავნო „კრი-
 ტიკის“ ის ნომერი. აქ არ ღებულ-
 ბენ. აგრეთვე, თუ სადმე გრომე-
 ბია გამოწერილი, გთხოვ ნათელა
 ბულალტერს უთხრა და აქ გადმო-
 მიგზავნოთ.
 მოკითხვა თქვენს კოლექტივს
 და ყველას, ვისაც ჯერ კიდევ ვახს-
 ოვარ.
 შენი არჩილ ფირცხალავა.

11/IV-85.

1982 წ.

პოეზია



ანზორ აბუანდაძე
დაიბადა 1941 წელს.
გამოქვეყნებული აქვს პოეზიისა
და პროზის თარგმანები
(ალექსანდრ პუშკინი, მიხაილ
ლერმონტოვი, ლეონიდ
ანდრეევი, ვასილ შუკშინი,
რიუნოსკე აკუტაგავა და სხვ.),
რუსთველოლოგიური ნაშრომი
„ვეფხისტყაოსანი და მისი
ავტორი“, პუბლიცისტური და
ლიტერატურული წერილები.

ანზორ აბუანდაძე

ხუთი ლექსის გალადა

ექვანი ლიმილით ვუძღვნი
ჩემს გულშემატკივრებს

მისაყვედურეს: „ბოლო ხანს
ლექსებს არ სწერო, რატომ?..
იქნებ გაგიცვდა კალამი,
ან დაგიჟანგდა მთლად?..“
„რა გითხრათ-მეთქი? – ამ მწარე
საყვედურისთვის გმადლობთ,
თუნდ ხვალვე ხუთ ლექსს დაგინერთ, –
არად ვარგივარ სხვად...“

დავჯექი წერად... ხუთს? – ვერა! –
ყურს ცუდად ხვდება „ხუთი“...
ოთხია წმინდა, ღვთიური...
ოთხი გამიხსნის ცას!..
აჯობებს, ოთხჯერ დამედოს
რითმის ტკბილ-მწარე ხუნდი,
ოთხჯერ გავალო გული და
ოთხჯერ შემოვკრა ზარს...


მაგრამ... ეს ოთხიც მაეჭვებს, –
რა ვი, – ბევრია, მგონი...
ვინ უწყის ნება განგების?..
უნყალოდ მიჰქრის დროც!..
სწრაფია ბედის მდინარე...
ვაჰ, დრონი... დრონი... დრონი...
გადაწყდა: სამ ლექსს ვიკმარებ,
ბევრიც გამქირდონ რომც.

სამს?.. არა, ორი სჯობია!..
კი, – ორი მინდა სწორედ!
ორი – სიცოცხლის წყაროა,
ერთი ბუდე აქვს ორს...
სინათლეც ორთავ თვალისა
გაედევნება შორეთს
და მაინც სადღაც იპოვის
თავის მეორეს – სწორს...

ჰო, მაგრამ... ღმერთი ერთია...
სახე ყოვლისა ტანის...
უცნაური და უთქმელი...

სასოება და ხსნა...
 ჰო, ერთი ლექსიც მეყოფა
 დათრგუნვად მე სატანის,
 თუკი, უბრალოდ, კარგია,
 და... არაფერი სხვა...

მაგრამ... რა ვუყო ამ ერთსაც,
 რა გასაქანი მივცე?...
 ირგვლივ სუსხია... ზამთარი
 უკვე მომადგა კარს...
 ხომ არ სჯობს დავნვა, რომ თუნდაც
 პატარა ცეცხლად იქცეს,
 თუ – ამ გაძარცულ ტოტებში
 გავასაუბრო ქარს?



ჰო, ისინი...


ჰო, ისინი, არა-ღირსნი,
 ნეტარებენ ზეციური სივრცით...
 მე და შენ კი მივლასლასებთ,
 დათრგუნულნი ვირის კურტნით – სიბრძნით.

ჰო, ისინი დღეს ზეობენ,
 ხვალ კი ზეცა მოუსკდებათ რისხვით...
 მე და შენ კი მშვიდადა ვართ,
 და სად მივალთ, და რაცა ვართ – ვიცით...

მაგრამ ასე სანამ გავძლოთ? –
 კვლავ შორია სამართალი ზეცის...
 პური გვიჭირს სულის საზრდოდ,
 თორემ გვეყოფნის ხორცის საზრდოდ – ლექსიც.

მოსაწვევი ბარათი თანაკურსელებს

ეჰ, სამოცს გადავაბიჯეთ,
 უფრო მეტისაც ვხდებით,
 ვბერდებით, და ერთმანეთის
 უკვე ქელეხში ვსხდებით.
 მუხლები მოგვიფამფალდა,
 გვზაფრავს სიბერის ჭირი,
 ხან ფიქრებში ვართ ჩანთქმული,
 ხან ვჯაჯღანებთ და ვყვირით.
 ზოგს გული გვტკივა, ზოგს – სული,
 ზოგს გვიკანკალებს ხელი,
 ღვინოს ველარ ვსვამთ,



ჭიქაში ჩაი გვისხია ცხელი.
გავთერდით, დაგვინაოჭდა
ლოყები, ერთ დროს თლილი,
ზოგს თმა გაგვცვივდა მთლიანად,
ზოგს – თითქმის ყველა კბილი,
თვალს მხედველობა დაგვაკლდა,
გულს – სიყვარულის ალი,
მშვიდად ვუცქერით, რაზედაც
გვებრიცებოდა თვალი,
სურვილიც უკვე ხშირად გვაქვს
ლოგინში მარტო წოლის,
ზოგს არ გვყავს, ზოგს – რამდენიმე,
ზოგს – გაგვისუქდა ცოლი.

დღეს ასე ვცხოვრობთ... არ ვიცით,
ხვალ რას გვიმზადებს ბედი...
მეც თქვენი ჭირი მანუხებს
და ბარეორჯერ მეტი.
ჩამოვრჩი ყველა ქარავანს,
ყველა გზასა და შარას,
დღეს რა მაქვს, მაგრამ იმასაც
ხვალე მტაცებს და მპარავს.
ხვალ – დავიძინებ მარადის,
დღეს – ძლივძლივობით მძინავს,
დღეს უფანჯრო მაქვს, ხვალ მელის
უკარ-უფანჯრო ბინა.
დღეს რომ ღია მაქვს ყოველთვის,
ხვალ ვერ გაგიღებთ კარებს,
ხვალისთვის ნულარ გადადებთ,
დღესვე მესტუმრეთ ბარემ.
თუ პურმარილსაც მოიტანთ,
მაგრა დაგინყებთ ქებას,
ღვინოს, მწვადს, გოჭს და წინილას...
პრასი არ გინდათ – ქე მაქვს...
...მაშ, მოდით, თორემ დრო გარბის,
სამოც ზე მეტის ვხდებით,
ვბერდებით, და ერთმანეთის
უკვე ქელეხში ვსხდებით.

ქება უიმედობას

უიმედობის ყვავილებო,
ფიქრში ღივდება თქვენი თესლი,
დიდხანსაც ჰყვავით დაუჭკნობლად.

მე ვთვრები თქვენი სურნელებით,
როცა უღმერთოდ ვიხლართები
სადმე, იმედთა ეკალ-ბარდში.

ნუციკო დეკანოზიშვილი

ნარილი კლარას. 1943

მეორე მსოფლიო ომის დროს თელავის ჰოსპიტალში ერთი ახალგაზრდა ექიმიღა უვლიდა ტიფით დაავადებულ გერმანელ ტყვეებს. ტიფი გადაედო, როგორც მოსალოდნელი იყო, და 35 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს კაცი გახლდათ შალვა დეკანოზიშვილი – ჩემი დიდი პაპა.

ძვირფასო კლარა!
ვიდრე გვრემას დამინწყებს ფერდი,
ან მესაყვირე შტეფანივით გამეზრდება
უცებ მუცელი,
მოკლედ დაგინერ:
აქ დილიდან წვიმს ჩვენს დაგებულ ქვაფენილებზე,
მოკირწყლულ ქუჩას ალაგ-ალაგ ემჩნევა ბზარი,
ჭექა-ქუხილზე ზანზარებენ თხელი მინები,
და მე სიკვდილთან გავანაღდე გუშინლამ ზავი.
თუ გახსოვს, – ჩვენი იადონი,
ჭრელ გალიაში სულს რომ ლაფავდა,
აი, ასე, და სწრაფად,
ურითმოდ
ფართხალებს გული,
და კიოლნის ცივი დეკემბერი
მივლის ტერფებში.
ჰოსპიტლის კედლებს სდით იოდის მომწარო სუნი,
და სადღაც გაქრნენ, მოფარფატე აქვე, ექთნები.
„შობელძაღვრები!“ –
ყოველ დილით დუდღუნებს კაცი –
იდელისტის მოქნილი და გრძელი თითებით.
რალაც ასეთი გინებაა,
მგონია, –
„შვან“,
რადგან ჰაერში მოქნეული მსხვილ-მსხვილი ნემსი
ჩემს დუნდულაში ათი წუთი მაინც ძაგდაგებს.
თუმცა, ისეთი თვალები აქვს –
პალადინის ან მღვდელმსახურის.
ჰოდა,
ყველანი დაიფანტნენ, და ჭერს შეეყურებ,
ასეთ ამინდში ნატყვიარი ბარდაყთან მწინკნის.
ვინც გაფრინდნენ და, ხო გაფრინდნენ,
ტოტზე ბელურას
ნისკარტით მწვანე ჩიბუხივით უჭირავს წიწვი.
გინდა მოწიე,
აი, ახლა,
გინდა იყვირე,
არც ზარებია ამ ქალაქში,
ძვირფასო კლარა!
და მეც ამნაპნის დღეს ან ხვალე
დაღლილ სულს ტიფი.



დიდხანს მჯეროდა დედის მოყოლილი ამბავი: – როგორ მნახეს შუამთის ტყეში მან და მამამ ცისფერი კაბით ბუჩქში მჯდარი გოგო-ია, როგორ მოვეწონე მაშინვე საოცრად, და, ჩემი ნებართვის საფუძველზე, როგორ წამომიყვანეს სახლში და ნინო დამარქვეს. ყველას ვუყუებოდი ამას საბავშვო ბაღში, უბანში, შინ და გარეთ... რასაკვირველია, ამ „ლეგენდის“ სიუჟეტი მომწონდა ყველაზე მეტად და ამიტომ მჯეროდა ასე დიდხანს. საერთოდაც, ახლა ვაცნობიერებ, რომ მთელი ცხოვრება ჩემს მიერ მოგონილ ლეგენდებში და ამბებში ვცხოვრობ: ვიგონებ ადამიანებს, ანტურაჟს, პერსონაჟებს... და მერე ვინახავ, ან ვხევე. დავიბადე თელავში 1973 წლის 17 ივნისს. სკოლა „მედალზე“ დავამთავრე, ინსტიტუტი „ნითელ დიპლომზე“. დავამთავრე, აგრეთვე, სამუსიკო სკოლის შვიდწლედ, სამხატვრო სკოლის ოთხწლედ, ქორეოგრაფიული სკოლის ოთხწლედ ქართული და ევროპული ცეკვების განხრით, მაქვს პირველი თანრიგი ჭადრაკში 12 წლის ასაკის ბავშვთა შორის საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირზე გამახსენდა, – მე „ნითელყელსახვევიანი თაობის“ წარმომადგენელი



ვარ, – სკოლაში ყოველთვის დაჭმუჭნილი ყელსახვევი მეკეთა, ჩანთიდან ამოვაცურებდი-ხოლმე პენობაში შესვლის წინ, – ქუჩაში რომ მეკეთა, არ მინდოდა, სკოლაში კი ყელსახვევის გარეშე არ გვიშვებდნენ. 7 აპრილს მიტივტივებდა გავიპარეთ რამდენიმე ბავშვი თელავიდან მატარებლით, 8 აპრილს რის ვაი-ვაგლახით დაგვბრუნეს მშობლებმა სახლებში. 9 აპრილს კი თვალბეგაფართოებულები და სისხლგაყინულები შევყურებდით ტელევიზორებს... მერე სულ მახსენდებოდა ომის მუსიკა – პაპა რომ მიმღეროდა თოთოს ძილის წინ იავნანის ნაცვლად და არხინად მარწევდა ლონიერ მკლავებში თავის მონაგარს, – მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლგამოვლილი და გამობრძმედილი მეომარი... არავის სჯერა, მაგრამ მართლა მახსოვდა ეს მუსიკა. მერე ჩვენი ომი დაიწყო. მერე მე დედა გავხდი. ახლა თეკლა 18 წლისაა. ვმუშაობდი სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებულ სამსახურებში. პროფესიით ქართული ლიტერატურის სპეციალისტი და ჟურნალისტი გახლავართ. ყველაზე დიდი ხანი ვმუშაობდი ტელევიზიაში, რადიოში და ჟურნალ-გაზეთებში. ამჟამად თელავის უნივერსიტეტის დოქტორანტი და ასისტენტ-პროფესორი ვარ ქართული ლიტერატურის განხრით. არასოდეს მიფიქრია ჩემი

ჰო, ის ექიმიც –
„შობელძალი“ –
გუშინ მომკვდარა.

სალუტი!
ვკოცნი უფაფუკეს ვარდისფერ თითებს,
შენი ნიკოლა.

გზადილობები

რალა ვთქვა კარგი, საამური, მორღვეული კედლების პატრონს დამრჩა პატრუქი – მხრწოლავი და გაცვეთილი დღეების დასტა, აქ იყო ლხინიც, ჭირიც იყო, ფქვილი – ბლომად, და მერე ქატოც გამოგვადგა და მოხარშული შუაცეცხლის სანთურზე დაგვრჩა, – ხელუხლებელი, რომ ხელახლა შეგვეთბო და მოგვესვა ჩამჩა.

მოგვესვა ჩქარი ნაბიჯებით, ბედნიერი ბრიყვების მსგავსად, სახეზე მური მოგვესვა და კედლები კი გველესა კირით, ქოხი – ისლებით დახურული, ფარატინა და სხვისთვის თალხი, ამოგვეყვანა, ამოგვექნა, შეგვერია ჰაერის ირისს, და მოგვესმინა ბალახების მოჩურჩულე წირვები კვირის.

ახლა რალა ვქნა, რა ვიღონო, – რომელ სიტყვას ვახალო თავი? გზადილობები – დიდი, დიდი, დასასრული – გვალვა და ჩიხი, რამდენჯერ ფრენა მოვინდომე, უცნობები დღეებში მრგავენ, რომ ვუმკურნალო დედამინის ჭლექიანი ფილტვების ხიხინს, არადა, ისე მინდოდა, რომ დამეჭქეა სიკვდილი რიხით!

არადა, ისე ვლივლივებდი სადენებით გაკერილ ცაში, და ჩვენი ქატოს ოხშივარი აპურებდა დამშეულ სოფელს. ომი სიცოცხლის, ნატყვიარი, ჩვენი გრძელი – გაბმული მარშით ერთმანეთისგან გასაქცევად სვლა – მხედრული, გათვლილი ორზე, მორხეს ანბანით გაცემული შეთქმულება – კაკუნი მორხე,

კაკუნი ქოხის შესასვლელთან, სხვისი მრუდე ფეხები ზღურბლზე, და მოჩხარუნე ბორკილებით ათრეული სამყაროს სევედა. რომ გაუფგზავნო ძველი ლხინი მოციალე, დალეულ ღრუბელს, და ქატოს ფაფაც მოსახარშად შუაცეცხლის კიდეზე შევდგა, აღარ მოხვალ და ფქვილსაც აღარ მომიტან, ნეტა?

რალა მოგწერო, – დარბეული სიზმრების პატრონს.
რალა მოგწერო, – დახვრეტილი სიტყვების მეტი.

უსაყურო ქალის ლექსი

იცოდე,
არაფრად დაგიდევე
პროტოკოლს, სტატუსს და ანგარიშს,

შენდობას არ ვითხოვ,
 გაგიმხელ,
 როგორ ამიტეხეს განგაში
 მკერდექვეშ შეყუჟულმა ბარტყებმა,
 ალაზნის ჭალებს რომ მოვედეთ,
 მზე რომ წყლის ნაპირზე იხდიდა,
 და ჩვენს მოალისფრო მანქანას
 საქარე მინებზე დაასხდნენ
 ბელურა და ბოლოქანქარა.
 უკაბო,
 ხისტი,
 უსაყურო,
 ალუბლის კუნწულის ამარა
 ვარდისფერ ყურებზე,
 გავყურებ
 აკრეფილ ნისლებს და
 სამყურებს
 ბოლომდედაჭრილფრჩხილიანი
 ულაქო თითებით ვაგროვებ.
 ეგება, გგონია (ქალი ვარ,
 მაინც და) ბედი, მარტობა
 მაშინებს,
 და მენვის მარილით
 ნაფერი ჭრილობა,
 ომები,
 ყურის ბიბილოსთან ჩახსნილი
 მარჯვენა ფალანგის იარა.
 საყურის არქონით კი არა,
 ყურგაუხვრეტელის სახელით
 გაფრთხილებ:
 საშიში ზონაა,
 აქ პერიოდულად ისვრიან,
 თან სტრატეგიული ზომებით –
 პირდაპირ გულში და
 ისრებით
 სჩვევიათ თავდასხმა,
 თაეხედებს!
 ამოისუნთქე და გახედე –
 როგორ ბორძიკობენ
 ბატკნები,
 თეთრ ფარებს მართავენ
 ყოჩები,
 ჰა და ჰა – ქოფაკებს გადავრჩეთ,
 ჰა და ჰა – ლექსად თუ მომრჩები,
 ჰა და ჰა – ღამემდე ნაგილო –
 ასეთი სათუთი,
 საჩემო.
 ლუდით შიშინებს განწყობა
 და მაღლა ვიქაჩავ საყელოს.



ნაწერების გამოქვეყნება, –
 წერა უბრალო და ორგანული
 მომენტია ჩემთვის, თუმცა
 არასტაბილური, – პერიოდულად
 ვწყვეტ და გადავდივარ
 თვითგამოხატვის სხვა
 საშუალებებზე. სწორედ
 ამიტომ ლიტერატურული
 ფსევდონიმი შევარჩიე – ბებიის
 გვარით. მესამე წელია ყველაზე
 ინტენსიურად ვწერ და არ
 ვიცი, სადამდე გაგრძელდება
 ეს უწყვეტი ფაზა, იქნებ, –
 ბოლომდე? არ ვიცი. ასეთ
 ასაკში პოეტებში ნაკლებია
 ძლიერი შემოქმედებითი მუხტი,
 გამონაკლისის გარდა, – მე
 გამონაკლისებში აღმოვჩნდი...

მხატვრული პროზა



ზაირა არსენიშვილი

„ერთსა კაცსა ბლისკინელსა“
(ფრაგმენტი მოთხრობიდან)

სახლში სიბნელე და სიცივე დახვდა... და სიჩუმე... „სამარისებურიო“, – გაიფიქრა, „აღბათ, საბოლოოდ დაიდეს ბინა სიჩუმემ, სიცივემა და სიბნელემო...“ და თუმცა სხვას არც არაფერს მოელოდა, თუმცა აღდგომის შემდეგ ზიზი ველარ ჩამოვიდა, შეიძლება ითქვას, აქეთ აღარ გამოუხედავს, ზაფხულიც მოსკოვთან, რეზოს აგარაკზე გაატარეს, მაგრამ იგულისხმებოდა, რომ დღეს არა, ხვალ, ან როცა იქნებოდა, როგორც ლიზიკო ამბობდა, როცა გადაივიდა ეს „наваждение“, ჩამოვიდოდა და კვლავ ჩონგურს სიმებს გაუზავდნენ. თურმე ვარაუდობდნენ ამაოდ, გუშინდელმა შეხლა-შემოხლამ, კარების გამოჯახუნებამ და საბოლოო გადანყვეტილებამ, ზიზისკენ აღარ მიეხედა და თბილისისკენ პირი არ ექნა, ახლა „ამ ბნელი ღამით“ სახლში მობრუნებულს, ეს უტყვი კედლებიც, ეს გაუვალი სიჩუმეც განშორების მაცნედ და დასტურად მოეჩვენა.

„ნუ ირაკლი, ნუ, შენი ჭირიმე...“ ევედრებოდა ქ-ნი ელენე.

„დედა! დედა! შენი ქომაგობა არ ჭირდება, არა, გესმის!“ ყვიროდა ზიზი.

„მე ბოლოს მომიღებს ეს გაუგონარი ამბავი...“ და ქ-ნი ელენე გულზე იკრავდა მომუშტულ მტევნებს, თითქოს ტახიკარდია უნდა შეაჩეროსო.

„ასე აჯობებს... ყველასთვის ასე აჯობებს...“ აშოშმინებდა ირაკლი, მხარზე ხელს ხვევდა, ცდილობდა დაერწმუნებინა: „ხომ არ შეიძლება ამ შეჯახებებს შევეწიროთ!“ მერე კი თავქუდმოგლეჯილი გამოიბოდა, რომ თელავის ავტობუსისთვის მიესწრო.

შეურაცხყოფის, ბრაზისა და სასონარკვეთის მიუხედავად, ეცოდებოდა ქ-ნი ელენე, თანაუგრძობდა, ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა თავის სიდედრთან, ამ ათი წლის მანძილზე კი, დედის სიკვდი-

ლის შემდეგ, განსაკუთრებით შეეთვისა, დედას აგონებდა ზრუნვითა და მოფერებით, ირაკლის დედას, მაიკოს, რომელსაც ყოველთვის ისე ახარებდა მათი ჩამოსვლა, ისე მოუთმენლად ელოდა; არადა ერთ შაბათ-კვირას რომ ირაკლი მიდიოდა თბილისში საყვარელ ცოლთან, მეორე კვირას ისინი ჩამოდიოდნენ, ხოლო არდადეგებისა და დღესასწაულების დროს ხომ სულ თელავში იყვნენ, – მაიკო განსაკუთრებით ემზადებოდა ხოლმე, იცოდა ელენე დეტექტივებისთვის გიჟდებოდა და წინა დღეებშივე წავიდოდა წიგნებით გამოტენილ დიდ სახელგამში და აუცილებლად მოიძიებდა ახალგა-მოცემულ დეტექტივებს, სიმენონისა იქნებოდა, აგატა კრისტის და თუ სხვა უცნობი ავტორებისა. „ჩემო მაიკო,“ ეტყოდა ელენე, „შენ რომ მასპინძლობა იცი, ტყუილია, რომელი ერთი ვთქვა, ნაირნაირი სასუსნავები, თუ ეს ნაირნაირი დეტექტივები. ბედი ჰქონია ჩემს ზიზის, ბედი, ირაკლის აღარ ვამბობ, შენისთანა დედამთილი რომ შეახვედრა ღმერთმა“.

„ჩემს შვილსაც ჰქონია ბედი, ჩემო ელენე“, ეტყოდა მაიკოც და ირაკლის და ზიზის შემხედვარეს გული სიამით ევსებოდა, რა ბედნიერებაა, რომ ასე უყვართ ერთმანეთი, ამდენი წლების მანძილზე ასე შეინარჩუნეს მღელვარება და სინაზე ერთმანეთის მიმართო. „ჩვენი ცხოვრების წესია, დეიდა მაიკო, საფუძველი ჩვენი ურღვევი ბედნიერებისო“. – ეუბნებოდა ხოლმე ზიზი სიცილით თავის დედამთილს და გულისხმობდა იმას, რომ მათ თავიდანვე ასე არჩიეს, ირაკლი თელავში დარჩენილიყო, სადაც სკოლასა და ინსტიტუტში ისტორიას ასწავლიდა, ზიზი კი, პროფესიით ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და ცხრილი გაენაწილებინათ ისე, რომ კვირის ბოლო ორივეს თავისუფალი ჰქონოდა. მაიკოს კიდევ

რა ახარებდა და მალხაზიც ასე რომ შეეთვისა ზიზის, ნამდვილი დედასავით, პირველად ირაკლიმ რომ ჩამოიყვანა თელავში, მალხაზი შვიდი წლის იყო მაშინ და როგორ ეჭვიანობდა, გამოიკრავდა კოპებს, გამობუშტავდა ტუჩებს და განზე გადგებოდა, აკი ბეზიასაც შესტირა: რა კარგად ვიყავით, ბები, ჩვენ სამნი, რად უნდოდა მამას, რადა, ამ ზიზის ჩამოყვანაო, ალბათ, მე აღარ ვუყვარვარ და იმიტომო. არა, გენაცვალოს ბებია, ამშვიდებდა მაიკო, აი, ნახავ, თუ უკეთესად არ ვიქნებითო. და მართლაც, სულ მალე, როგორ შეუყვარდა მალხაზსაც, როგორ ელოდა ხოლმე ზიზის ჩამოსვლას: ჩამოვა და ტყეში წავალთო, ჩამოვა და კარგ წიგნებს ჩამომიტანსო, ჩამოვა და ინგლისურს მამეცადინებსო, ბეზიან ტორტს გააკეთებსო, ნაძვის ხეს ერთად მოვრთავთ, ერთად ვითამაშებთ კიდეც და რა მხიარულად ვიქნებითო... ქ-ნ ელენესაც გამზრდელ ბებიაში ლამის აღარ არჩევდა. დიდი ზრუნვაც გამოიჩინეს, განსაკუთრებით მალხაზის სტუდენტობის დროს, მართლა შვილივითა და შვილიშვილივით უვლიდნენ, არც არსად გაუშვეს თავისგან, არც საერთო საცხოვრებელში და არც ლეიფლ ბიძასთან, დედისძმასთან, როდამის, ირაკლის პირველი ცოლის ალალ ძმასთან. მერე ასპირანტურაშიც რომ სწავლობდა, მოსკოვში, იქაც ზიზის ძმასთან, როგორც ნამდვილ ბიძასთან, მოსიყვარულე და მზრუნველ ბიძასთან, ისე ცხოვრობდა. ზიზის ძმარევაზი ბიოლოგი იყო, გენეტიკოსი, და სწორედ იმან მისცა გზა მალხაზს, მისი მეცადინეობითა და ხელშეწყობით გაგზავნეს მალხაზი ამერიკაში, და აგერ ახლაც, ისე არ დარეკავს ბოსტონიდან, პირველ რიგში ზიზი და ბებო ელენე არ მოიკითხოს, მამას სული არ ჩაბეროს, რა იქნება, ჩამოხვიდეთ, რამდენი ხნითაც გინდათო... და განა მალხაზის ზრუნვით არ არის, თავისიანებს რომ ამაგს უფასებს, და ამ სასტიკი გაჭირვების დროს, თვითონ სამ-სამი ბავშვის პატრონი, ამათაც ხელს ატანს და ასულდგმულებს. ღმერთო, რომ იცოდეს მალხაზმა... დედა რომ წამოახედა სამარიდან... არ დაიჯერებენ, არა... ამ საშინელებას... ან როგორ უნდა დაიჯერონ! გაგიჟებულხართო, რალაც სნება შეგყრიათო... ისედაც დარდი აქვს მალხაზს აქაურობის და

უთხრას და დარდზე დარდი მოუმატოს? და სიყმანვილიდან აკვიტებული კითხვა რატომ? რატომ? რატომ? სიბერემდე მოჰყვა და ახლაც, დარდითა და ბალღამით სავსე, ისევე ამ კითხვას იმეორებდა. რატომ ასეთი დაბნელება ტვინისა, გადაბრუნება გუნებისა! რატომ ასე აცრუება გულისა? ამდენი ხნის ერთობის შემდეგო...

ველარ, ველარ, ველარასდროს ზიზის იმ ამობნელებულ, სასტიკსა და გაბოროტებულ მზერას, ასპიტის გამყინავ მზერას, სულ ცოტა ხნის წინაც, უსაყვარლესი ქმრის, ახლა კი მტრად დასახული ქმრის დანახვა ველარ გააქარწყლებს და ველარ გაანათებს. რა ზუსტია ფრანგული ანდაზა, სიავე სილამაზის მტერიაო. რა სილამაზე, რის სილამაზე, ავად მოქცეული სახე და ასავსავებული, გაფარჩხული ხელები! ნამდვილად ქოქოლას აყრიდა! „დოცენტი ქალი“, მთელი სიცოცხლე რომ ეგონა, ულამაზესი თვალები ჰქონდა... და მთლიანადაც, თავით ფეხებამდე... ღმერთო, ეს რა ნახა, ეს რა განიცადა... შემზარავი თვალები... ლამის ამოუხტა ბუდეებიდან... და წყევლა... წყევლა... ვერასდროს რომ ვერ წარმოიდგენდა, თუ ასეთი წყევლა შეეძლო... გამრა და გაშეშდა, სუნთქვა შეეკრა, გული მჩვარავით გაუხდა, თითქოს ერთი წუთიც და გაჭრიდა წყევლის ნესტარი... ვალიდოლი უნდოდა ამოელო პიჟამის ჯიბიდან და გადასძლია თავს, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ყურადღების ნახაზი გამოეჩინათ... არავითარი... თავისი ფანციფუნცების მოკრეფა დაიწყო და ჩანთაში ჩალაგება. ქ-ნი ელენე ხელებში ეტანებოდა, მე შემინდე, მე შემინდეო, ემუდარებოდა. ზიზი კი კარებების ჯახუნით გადი-გამოდოდა აბაზანასა და საწოლ ოთახს შუა და ატკიებულ თეძოზე ხელს იბჯენდა. არც შეცოდებია, ირბინოს, ირბინოს ასე თავალერილმა, მოუხდებო, ბოლმიანად გაიფიქრა ირაკლიმ. მაგრამ ზიზისაც სიტყვა არ დასცდენია, დედამ რომ უთხრა ირაკლისთვის მანქანა წაურთმევიათო, ისე იყო გამეხებული წყევლა-კრულვით, იქნებ ხეირიანად ვერც გაიგო და ეგონა, ჩვეულებრივ, თავისი მანქანით უნდა გაბრუნებულიყო უკან. ოდესღაც ბავშვობაში გაგონილი სიტყვები ამოუტივტივდა, გაგანია კოლექტივიზაციის დროს, სოფლის ორლობებში, ჩამორთმეულ ხარ-ძროხას





სახრით მოერეკებოდა კომკავშირელი ბიჭი და გააფთრებულ პატრონებს მხარუკუღმა მოსძახოდა: „წყევლა მანყევარსა, წყევლა მანყევარსა...“ ესეიგი წყევლის გამანეიტრალებელ ფორმულას მოსძახოდა. გაახსენდა ირაკლის და ცალყბად გაეცინა. თურმე ჩაპრესილია ადამიანში ყველაფერი... ცივილიზაციის სანყისებიდან მოყოლებული, პირველყოფილი ცრუ რწმენებიდან, პირველყოფილი რელიგიებიდან მოყოლებული, და კაცმა არ იცის, რა კატაკლიზმები, რა რყევები და მიწისძვრები გაარღვევს ნაპრალებს, ამოაფრქვევს საუკუნეების წინ ჩაქვესკნელებულ სიტყვებს... ასე ეგონა შიგ გულში გაუყარეს შხამიანი ნესტარი, მონამლეს და საძრაობა დაუკარგეს...

რაც თავისუფლების ტალღა აგორდა, თუმცა თავიდან ორივე ერთნაირად იყო მოცული თავდატეხილი კატაკლიზმებით, სულ მალე ზიზიმ ისე იფეთქა, ისე აღელდა და სიამაყით აივსო, რაღაც უცნაური ამპარტავენბაც კი დაეუფლა, ერთი-ორჯერ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდა და ტრიბუნიდან გადმოიძახა, რომ „ახლა შინ ჯდომა და გულხელის დაკრეფა ღალატის ტოლფასია“, და აღინთო სურვილით თავისი საყვარელი ქმარიც აქტიური მომიტინგე და ტრიბუნი გაეხადა. „მე ხომ მომისმენია, იკაკუნა, შენი საჯარო ლექციები თელავში, და უფლება არა გაქვს, ჩემო ძვირფასო, აქაც არ დაიმკვიდრო ის სახელი, რასაც იმსახურებ და რისი ღირსიც ხარ“. ირაკლი კი, თუმცა თელავიდან ჩამოსვლისას, ამოუდგებოდა ხოლმე ზიზიმ მხარში და დაჰყვებოდა მიტინგებზე, აკი ხუმრობით დოლორეს იბარურსაც ეძახდა თავის ცოლს, ეს ვინ მყოლიხარ თურმე და არ ვიცოდით, მაინც ეჭვებით იყო მოცული, რა იქნება და როგორ განვითარდება მოვლენებიო, ხოლო რაც შეეხება მიტინგებზე სიტყვით გამოსვლას, არც სურდა და ვერც წარმოედგინა. „რა მახსენდება, იცი? ბლოკს, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, ამხანაგებმა ლამის ბოიკოტი გამოუცხადეს იმის გამო, რომ ყველა მიტინგზე წავიდა და მხოლოდ ის დარჩა აუდიტორიაში. ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ბლოკი იყო მაშინ მართალი,

და სულ არ იყო საჭირო იმ მიტინგებზე სიარული, რამდენი სისხლი დაიღვარა... და იმ მიტინგებმა შეცვალეს ქვეყნის ისტორია...“

„არ გამაგიჟო ირაკლი, რა შუაშია ახლა სისხლი! ეს ყოველად მშვიდობიანი მიტინგებია...“

ირაკლი მოიდრუბლა: „სამწუხაროდ, სისხლი ყოველთვის შუაშია... და მე არ მინდა ერთი ახალგაზრდის სისხლიც კი დაიღვაროს...“

9 აპრილის შემდეგ კი ირაკლი კრიტიკულად განენწყო ნაციონალისტური ორიენტაციის მომხრე ლიდერთა მიმართ, და მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, თავისდა სამწუხაროდ, ირაკლი და ზიზი დაპირისპირებულთა შორის აღმოჩნდნენ, სხვადასხვა ნაპირებზე და თავთავიანთი ნაპირებიდან ყველაფერს სხვადასხვანაირად ხედავდნენ და სხვადასხვანაირად აფასებდნენ.

თანდათან მათი ურთიერთობა ჯერ კამათად, მერე კინკლაობად, ჩხუბად, და ბოლოს კი საშინელ შერკინებადაც კი იქცა. ირაკლის თბილისში წამოსვლა აღარ ახალისებდა, იშვიათადაც მოდიოდა. ზიზიც, რომელიც პრეზიდენტის, ხოლო შემდეგ ექს-პრეზიდენტის თავგადაკლული მხარდამჭერი გახდა, უმალ სამუშაოს თავს გაანებებდა, ვიდრე მიტინგებს, შეკრებებს, მსვლელობებს უღალატებდა. და უნდა ითქვას, აღარც დრო ჰქონდა, აღარც სურვილი თელავისკენ პირი ექნა.

იმჯერადაც ირაკლის ფეხი უკან უდგებოდა, თითქოს გრძნობდა რა სკანდალური, წყევლა-კრულვიანი აპოთეოზით უნდა დამთავრებულყო მათი შეხვედრა. მაგრამ წინა დღეებში ზიზიმ დაურეკა: „არ ფიქრობ, რომ ასეთი ძნელბედობის დროს ცოლქმარი ერთად უნდა იყოსო?! თანაც, ჩვენი ლექტორის რძალი ჩამოვიდა ბოსტონიდან, მალხაზს 150 დოლარი გამოუტანებიაო“. ეჭვი არ ეპარებოდა, ფული რომ არა, არც დაურეკავდა. ცივი ხმა ჰქონდა. გამყინვარებაა ჩვენს შორის ჩამომდგარი და ალბათ, ვერავითარი დოლარები ვერ გააღლობს ამ ყინულსო, და შინაგანად მყისვე ყალყზე შედგა, დოლარები კი არა, „ძნელბედობა“ ჩაეჭრა გულში, უნდოდა ეთქვა „გააჩნია ქვეყნის „ძნელბედობას“ ვინ როგორ აფასებსო“, მაგრამ ირაკლიმ თავი შეიკავა: „მანქანაა შესაკეთე-

ბელი, ვეცდები გაემართო და ჩამოვიდეო“. ასე უთხრა. სტენოკარდიული შეტევის შესახებ კი, ცოტა ხნის წინ რომ დაემართა, სიტყვა არ დაუძრავს... უგუნებობა ჰქონდა მოძალებული, დიდი ხანია გული დაეხურა, ალარაფერი ახალისებდა, იმ კვირას კი, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემამ გაუვალ უსასოობაში ჩააგდო. ეს სწორედ ის ლოდიაო, იმპერიის ნგრევიდან გადმოტყორცნილი, პირდაპირ თავში რომ მოხვდა ჩემს ქვეყანასო, ჩვენ ყველასო. ოო, როგორ გულჯავრიანად, როგორი გულისტკივილით იგონებდა ჩვენს უჭკვიანეს ფილოსოფოსს, ასე სავალალოდ დაღუპულს სამი წლის წინ, რომელიც დაუცხრომლად აფრთხილებდა თავის მსმენელებს, თავის მრავალათასიან აუდიტორიას: „ინგრევა იმპერია და ჩვენ თუ არ მოვუხმეთ ჭკუას, ჩვენ თუ არ დავადექით ძალისხმევის მძიმე გზას, საშიშია, საბედისწეროდ საშიშია! ნანგრევებში არ აღმოვჩნდეთო“. მე როგორ შევედრები იმ სულმნათ ადამიანსო, ფიქრობდა ირაკლი, დარდითა და ჭმუნვით მოცული, მაგრამ სხვა სიტყვებით, ჩემებურად, განა იმასვე არ მოვუნოდები მიტინგების ტალღით ატაცებულ ჩემს სტუდენტებსო? იმასვე არ ვეჩიჩინებოდი ურაპატრიოტული ლოზუნგების ყვირილით გაყრუებულ ჩემს მონაფეებსო?! „დაიხსომეთ, ყმანვილებო, თავისუფლების უღელი მონობის უღელზე მძიმეა, რადგან უდიდესი სულიერი ძალების კონცენტრაციას მოითხოვს. თავისუფლების გზა ნარეკლიანია და თუ გინდათ იართო თავისუფლების გზაზე, არ უნდა დაიხაროთ საკუთარი ხელით ამ ნარის გლეჯა. თავისუფლება ჩვენისთანა პატარა, გზაზე გართხმული ქვეყნისთვის ათი თვალისა და ათი ყურის გამობმას ნიშნავს, ანუ წარმოუდგენელ ძალისხმევას, და თქვენ მზად უნდა იყოთ ამ ძალისხმევისათვის, თქვენ მზად უნდა იყოთ ნიადაგ ჭკუის მოხმობისათვის. ჩვენი ენის ნიაღში, აბა, დააკვირდით, რამდენი რამ არის ნათქვამი ჭკუაზე: ჭკუა დაეზნაო, ჭკუა დაეფანტაო, ჭკუა დაკარგაო, ჭკუა გამოეცალაო, ჭკუა დანაყაო, და მეორე მხრივ: ჭკუას მოუხმოვო, ჭკუა მოიკრიბაო, ჭკუაში ჩავარდაო, ჭკუა მოემატაო, ჭკუით გაივსოვო, ესეიგი, ჭკუა არ არის ისეთი რამ, რაც ერთი და ერთი უცვლელად არსებობს, შეიძლება ჩაიდო გულის

ჯიბეში ტკბილი კვერცივით, და როცა მოგინდება, ამოიღო და ჩაკბიჩო, მუდმივი გარჯაა საჭირო, ყმანვილებო, თავისუფლად მოაზროვნე, „ჭკუაში ჩავარდნილ“, „ჭკუამოკრებილ“ ადამიანებად ჩამოყალიბდეთ, რომ ძალგიდეთ თავისუფლების დაცვა და სამშობლოს გონივრული მსახურება“.

მაგრამ რა!! იჯდა ახლა გულგასენილი თავიანთი ტირიფის ქვეშ, დარდისა და უგუნებობის დროს ამ ტირიფს შემოეფარებოდა ხოლმე, ოდესღაც, პატარა ბიჭობისას, მამასთან ერთად, სანერგედან მოიტანეს პანია ნერგი ტირიფისა, რომელიც ამ წლების მანძილზე მგლოვიარე ქალივით თმაჩამოშლილ, ულამაზეს ხედ იქცა. და განსაკუთრებით უყვარდა ეს ხე, მითუმეტეს, უსამართლოდ დაღუპული მამის სახსოვრად თვლიდა, დარგვის შემდეგ მამამ გარშემო სარები ჩაუსვა, მაღალია და დაცული იყოსო, ნყალი უყვარს და სანამ პატარაა, აუცილებლად უნდა მოვრწყათ, მეტადრე გვალვისასო. ფრონტიდან გამოგზავნილ, დეპეშასავით მცირესიტყვიან, სამკუთხა ბარათებშიც კი, ირაკლი აუცილებლად მოიკითხავდა, ჩვენი ტირიფი როგორ არისო. ჰოდა, იჯდა ახლა თავიანთი ტირიფის ქვეშ, გვერდით ცელოფანში გამოხვეული ცომის გუნდა დაეგდო, სახეზე ხელები აეფარებინა და ვერა და ვერ მშვიდდებოდა. იმ დღეს დილიდან ცომის რიგში იდგნენ. უშუქობის გამო პური ველარ ცხვებოდა და ცომს არიგებდნენ. როგორც ყოველთვის დიდი რიგი იყო. მასთან ახლოს მათი უზნელი, შინაური კაცი, შოთა ჩიტალაძე იდგა. როდამის კლასელი იყო, ამხანაგობდნენ კიდეც, მაშინაც, იმ უბედურების დროს პირველმა სწორედ შოთამ მიირბინა მათთან და ირაკლის არასდროს ეს არ ავიწყდებოდა. ისინი ერთნაირად განიცდიდნენ ქვეყნის მდგომარეობას და ყოველთვის უზიარებდნენ ერთმანეთს ომის ამბებს. შოთა ნაკითხი და განათლებული კაცი იყო, ამავე დროს ნესიერი და პატიოსანი და ირაკლის ყოველთვის სიამოვნებდა მასთან ურთიერთობა. დღეს კი დაღვრემილი მისალმების შემდეგ, შოთა განზე გადგა, პატარა ტრანზისტორი ჰქონდა ნამოღებული და სულ იმას უჩხიკინებდა. ეს რიგები ყოველთვის შავი იუმორით იყო ხოლმე გახალისებული. იმ დღეს





კი ყველას სახე ჩამოსტიროდა, ყველა მოქუფრული და მხრებჩამოყრილი იდგა, ხმას არავინ იღებდა, თითქოს რაღაც საშინელების მოლოდინში არიანო... მხოლოდ ახალგაზრდა ყმაწვილი, ასე თექვსმეტი წლისა, დროდადრო დაურბენდა გრძელ რიგს, გაიქცეოდა წინ და მაღაზიის შესავალთან ახლოს მდგომებს სთხოვდა: ცომი რომ მოვა, თუ შეიძლება ურიგოდ გამატარეთო, როგორ გავბედავდი ამის თხოვნასო, მაგრამ ალავერდში მივიღივარ, დღეს ხომ ალავერდობაა, ჩემი ძმაა, სოხუმში იბრძვისო. ძალიან მძიმე მდგომარეობააო, და უნდა ვილოცოთო, ალავერდის წმინდა გიორგის შევევედროთო, ჩვენები ნუხელვე წავიდნენ, ცეცხლები ექნებათ დანთებული, ცომსაც იქ გამოვაცხოვბოთ... მთავარია მოვიდეს ცომი და გაგატარებთ, მაშ, რას ვიზამთო, ეუბნებოდნენ. წინა რიგებიდან ვილაცამ დაიძახა: შოთა, კაცო, რა ხდებო?! შოთა ჩიტალაძემ ტრანზისტორი ასწია მაღლა, თითქოს ისე ვერ გაიგონებდნენ იმ საბედისწერო სიტყვებს, და თვითონვე დაუმატა: „ცუდი მაცნე ვარ, ხალხნო, სოხუმი დაეცა!“

ერთბაშად ისეთმა ვაებამ მოიცვა, ბედუკულმართობის ისეთმა განცდამ, ეგონა არასდროს ასე არ გავმწარებულვარო, სუნთქვა შეეკრა, სული ველარ მოიბრუნა, მაღაზიიდან პატარა ჭიქით წყალი გამოურბენინეს... ამ დაცემამდეც სულ ნუხდა, თავის გულს ასკდებოდა, დაუშვებელია ეს ომიო, შენს ძმებთანო, შენი მიწაწყლის ხალხთანო... მიუხედავად იმისა, რომ პირველი სისხლი სწორედ ჩვენ კი არა, მათ დაღვარეს, ყველაფერი უნდა გველონა, წელებზე ფეხი დაგვედგა... გვეფიქრა... გვეფიქრა... გვეფიქრა... თავის გახეთქვამდე გვეფიქრა... და არასდიდებით! არამც და არამც! ფეხი არ წაგვეცდენოდა! არ ჩაებმულიყავითო! როგორც უნდა დაეყაჩაღებინათ მატარებლებიო, როგორც უნდა წაელოთ ფქვილი და სურსათიო... და აგონდებოდა ბისმარკის ანდერძი, თავის შემდგომ მესვეურებსა და თანამემამულეებს რომ უბარებდა: არავითარ შემთხვევაში რუსებთან ომი არ წამოიწყოთ და არ აწარმოოთო! და რა მართალი იყო, თუნდაც კავკასიის მაგალითზე! ახლა კი წელმოწყვეტილი დაბრუნდა შინ, ზევითაც არ ასულა, ტირიფის ქვეშ ჩამოჯდა, ბალის სკამზე,

ცომის გუნდაც იქვე დააგდო, სახეზე ხელები აიფარა და ქვეთინი ამოსკდა... ასეთი მიუსაფრობა მართლა არასდროს უგრძენია, მაღაზიი უნდოდა გვერდით ჰყოლოდა, თავისი ვაჟი, არა, ნუგეშისთვის კი არა, იმისთვის, რომ ერთად ევაგლახათ თავისი ქვეყნის უბედურება. ღვართქაფით მოაწყდა სიტყვები და სახეზე ხელებაფარებული, გულამოსკვნით სწორედ მაღაზის შესტიროდა ოკეანის გაღმა: „მაღაზი, ჩემო ბიჭო, შენ ხომ იცი, რამდენი ჭირი და უბედურება გადამხდენია, რომელი ერთი ჩამოვთვალო, 37 წლის დიდი ტერორით დაწყებული, რომელი ერთი გითხრა... მაგრამ დღეს... ალავერდობას... სოხუმი დაეცა! გესმის, მაღაზი! დამიჯერე, ჩემო ბიჭო, შენი ქვეყნის უბედურებაზე უარესი სხვა არაფერი ყოფილა! თავზეც რომ გადაგდიოდე ქონება და ცხოვრება, შეუძლებელია ბედნიერი და დალხენილი იყო... თუ შენი ქვეყანა ამ დღეშია... თუ შენს ქვეყანას ასე უჭირს...“ შესტიროდა და შესტიროდა თავის შვილს, და იქამდე ივაგლახა, გულმა ჩხვლეტა დაუნყო, ხალათის ჯიბიდან ვალიდოლის ფირფიტა ამოიღო და სახლში ავიდა, ნავთქურა აანთო, ჩაიდნით წყალი დადგა სათბურისთვის, ვალიდოლი ჩაიდო ენის ქვეშ და იქვე, სამზარეულოში, ვინრო ტახტზე წამოწვა, მერე ბარემ ცომსაც დავაგდე ტაფაზე და გამოვაცხოვბო. თან გულს მიუგდებდა ყურს, მიწყნარდება თუ არაო. ამერიკიდან მაღაზიის გამოგზავნილ გულის აბებს უფრთხილდებოდა, ვალიდოლი თუ არ უშველიდა, ჩხვლეტას არ მოუხსნიდა სათბურთან ერთად, მაშინ გაიმეტებდა ხოლმე. ამ ერთი თვის წინ კი, თბილისიდან ჩამოსვლისას, ზიზისთან შეხლა-შემოხლისა და უსიამოვნების შემდეგ ვალიდოლი და გულის აბები კი არა, პრომედოლიც კი გაუკეთა ეკამ, იცოდეთო, უთხრა, ასეთი შეტყვის შემდეგ, სულ ცოტა, სამი დღე მაინც უნდა იწვეთო. ახლაც, თითქოს ფრჩხილში ჩაიხედაო, ეკა მოვიდა. არ ეგონა, თუ ამ ჩამოხენლებულ გუნებაზე რაიმე ესიამოვნებოდა, არადა ეკას დანახვამ, სამზარეულოს კარი რომ შემოაღო და „აბა, ბ-ნო ირაკლი, როგორ ხართო...“ წყნარად უთხრა და ფრთხილი ნაბიჯებით მისკენ წამოვიდა, წამდვილად შვეება და სიამე აგრძნობინა. მოსწონდა ეკა, სულ ახალგაზრდა კარდიოლოგი

სასწრაფოსი, მაგრამ ისეთი დაფიქრებული და დაკვირვებული, თან ძალიან სანდომიანი, შეუძლებელია პაციენტი ნდობით არ გამსჭვალულიყო. „აი, დაგინახე, ჩემო ეკა, და სულ გამიარა ჩხვლეტამო“, უთხრა.

„აქ ვიყავით, ბ-ნო ირაკლი, თქვენს უბანში, და ვიფიქრე ერთი წუთით შევირბენ და დავხედავ მეთქი, დღეს ისეთი დღეა და...“

„საშინელი... საშინელი... აქეთ ვისთან იყავი, მძიმე შემთხვევა?“

„მძიმეა... ყველაფერი გავუკეთეთ, მაგრამ არ ვიცი... ისევ იქ უნდა გავბრუნდე. იცით თქვენ, შოთა ჩიტალაძე“. „უჰ, რა კარგი კაცი, დღეს ერთად ვიდექით ცომის რიგში ჩამოწყდომამდე...“ დანანებით თქვა ირაკლიმ და ეკას წინასწარ მომზადებული სათბური მიაწოდა. ეკამ ჩაიძინა და ცხელი წყალი ჩამოასხა, „ნავთქურა ჩავაქრო?“

„არა, არა, ბარემ ავდგები და ცომს დავდებ... განა არა; თქვა კიდეც, ვერ ვგრძნობ თავს კარგად... მძიმე დღე გაგვითენდა, მძიმე...“ სათბური ჩაიდო გულთან და წამოიწია ასადგომად. „კარგით რაა, ბ-ნო ირაკლი, ცომის დადებას რაღა უნდა!“ თაროდან ღრმა ტაფა ჩამოიღო, ფქვილიმორილი ცომი გადმოაგდო ცელოფნიდან, ხელი მიაშველა, მსუბუქად, თითქოს კლავიატურაზე ამოძრავებს თითებსო, გააბრტყელა და ხუფი დააფარა. ხელები დაიფერთხა და ჩანთა გახსნა, კოლოფი ამოიღო აბებისა. ირაკლიმ თვალი მიადევნა ეკას ხელების მოძრაობას, მშვენიერი ხელები ჰქონდა, მოვლილი, ფრჩხილები ვარდისფერი ლაქით დაფარული. რა მყუდროა ქალის ხელებიო, გაიფიქრა, და მაშინვე ისევ შოთაზე ჰკითხა, რა მოსვლიაო. „ელისომ გვითხრა, ცოლმა, დანა პირს არ უხსნიდაო, თან ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა თურმე, დადიოდა, დადიოდა, დადიოდა... ჩავიდოდა დაბლა ეზოში, შეუსვენებლად გადი-გამოდიოდა, მერე ამოვიდოდა და ადგილს ვერ პოულობდაო, ვერაფრით ვერ დავაწყნარე, ვერ დავამშვიდეო, დავდევი კუდში და ხან წყალს ვანვდიდი, ხან წამალს, ძლივს ვენეოდი; ცეცხლნაკიდებული გეგონებოდათო, სანამ აი, ეს არ დაემართა და ტახტზე არ გადავარდაო...“

„ოჰ, ღმერთო ჩემო...“ ამოიოხრა ირაკლიმ, „ნადი ეხლა, ჩემო ეკა, ნადი... და დიდი მადლობა. მიხედე იმ კარგ

კაცს...“

„ღმერთმანი, ნამდვილად არ მეპატიება ასე დაწვრილებით რომ გითხარით შოთას ამბავი, მაგრამ თქვენ ისეთი ხართ... გულშემატკივარი... ყოველთვის მინდა ხოლმე გაგიზიარო...“

„მადლობთ, მადლობთ, რომ გამიზიარებ ხოლმე და მოხედავ ბერიკაცს...“

„კარგით რაა, ბ-ნო ირაკლი, წლებმა ხომ გადაინია, სიბერე ახლა ოთხმოცი წლის ზევით იწყება, და თქვენთვის არც მაშინ არ დაიწყება, მე მითქვამს, ენდეთ ექიმის აზრს!“ მომხიბლავად გაუღიმა და ალერსიანად გაუსვა ხელზე ხელი.

„იცო, ჩემო ეკა, რაც ჩემმა გულმა ცელქობა დაიწყო, გამახსენდება ხოლმე მადამ დე-რენალი... ჩვენ ხომ ლიტერატურაზე გაზრდილი ხალხი ვართ და...“

„წითელი და შავიდან? გიკრძალავთ, ბ-ნო ირაკლი, გთხოვთ იმაზე იფიქრეთ, რაც თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებით გაგხარებიათ, კარგით? შავბნელ ფიქრებს ნუ მიეცემით, ძალიან გთხოვთ“.

„ეკა, ჩემო ეკა, რომ იცოდე, მე გარდასული დროის შეცდომებს მივამტკიცებ ხოლმე გულს, და ხშირად ისე მწვავედ, თითქოს ახლა ხდებოდეს... ვერ წარმოიდგენ, როგორ დამნანებიან ის სპილოებიც კი, ჰანიბალმა ალპების ბილიკებსა და კორნოხებს რომ გაუყენა, სანეკრე რომ ნახა და სახტომი ვერ მოუსინჯა... და შენ მეუბნები ჩემი ქვეყნის... ჩემი... როცა ამ დღეშია... შავბნელი ფიქრები არ შემომესიოს?!“ ირაკლის ხმა გაეზარა, ნიკაპი აუკანკალდა, ეკას შეეშინდა, ტირილი არ დაიწყო, და გამამხნივებელი, მტკიცე ხმით უთხრა: „დავიბრუნებთ, ბ-ნო ირაკლი, შეუძლებელია ჩვენ ამას შევეგუოთ, აი, ნახავთ, თუ არა! როგორ! რანაირად! ვისა აქვს უფლება, ვის!“

„ოოჰ! მთელი ისტორია კაცობრიობისა ძლიერის უფლებას ღალატებს! რომ დაიპყროს, დაიმორჩილოს, ჩაწიხლოს და დაიმონოს!“ და მღელვარების ახალმა ტალღამ გადაუარა.

„ბ-ნო ირაკლი! ახლა უკვე გიბრძანებთ დამშვიდდეთ!“

ეკამ აბი გაუნოდა: „აბა ახლა, ეს აბი გადაყლაპეთ, დავაწყნარებთ, დავამშვიდებთ და კარგად დავაძინებთ“. ეკას გაეცინა და ალერსიანი დაყვავებით განაგრძო: „ჩემი უფროსი დეიდა მიამბობდა თქვენზე, ომიდან რომ დაბრუნ-





და, მთელი თელავის გოგოები შეყვარებულიები იყვნენ ბ-ნ ირაკლიზეო, მერცე, ჩვენი სკოლის უფროსკლასელები ვგიჟდებოდით და რომ დაქორწილდა, ძალიანაც ვიეჭვიანეთო... ინსტიტუტში ხომ ლექსებს უწერდნენო, აი, ასე...“ სურიდან წყალი ჩამოუსხა ჭიქაში, უწყლოდაც შეიძლებოდა, მაგრამ თუ გნებავთ დააყოლებოთ. ირაკლიმ აბი გადაყლაპა, წყალი დააყოლა და ეკას გაუღიმა: „ოჰ, რა ეშმაკუნა ხარ, ჩემო ეკა“.

„ხვალ აუცილებლად ამოვალ, კარდიოგრამა გადავიღოთ... ჩასვლისას დეიდა ლიზიკოს შევეძახებ, ამოგხედოთ, კარგით?“ ხელი დაუქნია და ის იყო უნდა გასულიყო, შემობრუნდა, ბარემ პურს გადმოგიბრუნებო, ტაფას მიხედა, ცომი გადააბრუნა, სახურავი თაროზე შემოდო, ისევე დაუქნია ხელი, გაუღიმა და წავიდა. და თუმცა სოხუმის დაცემა ლურსმანივით ჰქონდა თავში ჩაჭედული და გულს უკლავდა, თუმცა შოთას ამბავმაც ძალიან შეაწუხა, ეკას მოსვლამ, ეკას ნახვამ ამ ჩამოლამებულ ყოფაში შვევა მოჰგვარა. ეკას ხმა ყურში ედგა, რა რბილი და სასიამოვნო ხმა აქესო, კილოც, ხანდახან მოლულუნე და მოკრძალებულიო... ასეთ კარგ გოგოს, ვინ იცის შეხვდება კი თავისი ტოლი და სწორი?.. ბებია გაახსენდა, მორაკებით რომ უყვარდა ლაპარაკი: ჩიტია შემომჯდარი ლობზე და წივნივებსო; კარგს ცუდიო, ცუდს კარგიო, კარგს ცუდიო, ცუდს კარგიო, მერე ერთხელაც იქნება და დაიძახებს: კარგს კარგიო, მსგავსს მსგავსიო, და აი, მაშინ ორივე კარგი და მსგავსი შეხვდება ერთმანეთს, კარგადაც შეეწყობიან და თავის წუთისოფელსაც ბედნიერად გალევნენო. ბებია ყოველჯერზე დარწმუნებული იყო, რომ ჩიტმა საიმედო სიტყვა დასძახა თავის საყვარელ შვილიშვილს. აკი ზიზისთან ერთად რამდენჯერ სიცილით მოუგონიათ ბებიის ეს ნათქვამი, ჩვენ ნამდვილად ლობზე შემომჯდარმა ჩიტმა „კარგს კარგიო“ დაგვძახა და დაგვლოცაო. და რა გამოვიდა!? ახლა რომ წამოახედა ბებია და დაანახვა ეს დამარტოებული სახლიო... ყველა რომ წავიდა ჩემს მეტიო... მე თუ შემხვდა ჩემი ტოლი და სწორი, მგონი იმიტომ არ დავრჩი მართოვო... და მიუხედავად იმისა, რომ ეკას მოსვლამაც, ეკას წამალმაც დაამშ-

ვიდა, გულიც ჩაუწყნარდა, თითქოს იმედიც ჩაუსახა: მართლა ჩალით ხომ არ არის დახურული ქვეყანაო, მარცხს გამარჯვება მოსდევს და ტანჯვას სიხარულიო, მაინც კი ეკას წასვლის შემდეგ მარტოობის ჭმუნვა შემოაწავა, მწვავე სურვილი იგრძნო გვერდით ჰყოლოდა ხმის გამცემი და ჭმუნვის გამქარვებელი, მისი ხელი სჭეროდა, მისი სიტბო ეგრძნო... სავაგლახოზე ერთად ევაგლახათ, ერთად ევაგლახათ ამ თავსდატეხილ უბედურებაზე და ალერსითა და სიყვარულით დაცხროთ დარდი და ვარამი... სურვილი... სურვილი... სიცოცხლის თანმდევი, როგორც სუნთქვა... ადამიანთან ერთად რომ იბადება და ადამიანთან ერთად კვდება... მხოლოდ ფერს იცვლის დრო-ჟამის ცვლასთან ერთად... და ჭმუნვის გასაფანტად წარსულზე დაინყო ფიქრი, თავისი ახალგაზრდობა დაუდგა თვალწინ, ის ბობოქარი სურვილები, ის გზნება და გატაცება, ის ჟინი აღმა-დაღმა ქროლვისა და დროსტარების, ის შუშპარობა და დაუოკებელი ვნებები... როგორც მუქაფა, როგორც ჯილდო და საჩუქარი ომის შემდეგ, მთელი ოთხი წლის ჭექა-ქუხილისა და სისხლის ნიაღვრის შემდეგ, პირველი დღიდან ბოლო დღემდე, თვალისმომჭრელი პროჟექტორებით გაჭახჭახებულ, დანგრეულ ბერლინამდე. ომის ზათქით იყო გაყრუებული, სისხლისღვრით გახვეებული და თავისი გადარჩენით გაოგნებული. თუნდაც ქერჩის ცეცხლსა და ქარიშხალს როგორ გამოაღწია, როგორ გამოიხსნა, რამდენი ხანი სულ ამას ჰყვებოდა, ის შთაბეჭდილება მთელი სიცოცხლე გაჰყვა, გაჟიებული შინლით, დამბალი ჩექმებით, დიდ ნავს მისეულ ჯარისკაცთა ჯგროში ჩაჭყლეტილმა, ყველა რომ იდაყვების გააფთრებული ქნევით ცდილობდა სრუტიდან თავის დაღწევას და როგორმე ნავში აბობლებას, როგორ მოახერხა ნავის ნაპირისთვის ხელი ჩაეწყო და აღარ გაეშვა, არავითარ შემთხვევაში, არასდროს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაფრენოდა, როცა აქეთ-იქიდან ეჭიდებოდნენ და მალლიდან კი გერმანელების მესერშიტები ყუმბარებს აყრიდნენ... ეს იყო წარმოუდგენელი იღბალი, ენით აუწერელი და საარაკო, იმ ცეცხლიდან სალსალამათად გამოღწევა, ვინ მოთვლის რამდენმა ჰპოვა სამარე იქ,

ქერჩში... მაგრამ ხდება თურმე ასეთი საოცრებაც, და ფონს გამოსული, სამშვიდობოს გამოღწეული, თავისი საველე ტომრიდან ამოღებულ, მლაშე სრუტეში დამბალ ორცხოხილას რომ შეექცეოდა, ასე ეგონა თავის სიცოცხლეში ამაზე გემრიელი არაფერი ეჭამა. ალბათ, მამა რომ დამილუპეს 37-ში, ისე უღმერთოდ და უსამართლოდ, ღმერთს ჩემი დაღუპვა არ უნდოდაო, ალბათ, პაპასი და პაპას მრევლის ლოცვამაც გადამარჩინაო. პაპა მღვდელი იყო, დედის მამა, ეკლესია დაუხურეს, ასე ვთქვათ, გაკრიჭეს, მაგრამ მას ღვთისმსახურებისთვის, რა თქმა უნდა, ჩუმად, თავი არ დაუნებებია, ნათლობა იქნებოდა, აღსარება-ზიარება, თუ ანდერძის აგება, ჰოდა, მომენია, მომენია მათი ლოცვა-კურთხევით... თან უბრალოდ კი არ გადავრჩი, თურმე არაფერი უნდა დამკლებოდაო, ხეიბრად დაბრუნებაც სჯობია სიკვდილს და ხეიბარიც კი არა ვარო, არც დავჭრილვარო, მაგრამ რა ჩემი ბრალიაო, თითქოს თავს იმართლებსო, მე ხომ არასდროს ბრძოლისთვის თავი არ ამირიდებიაო... სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი... ამდენმა სიკვდილმა ლამის გაახევა, მაგრამ ერთი პატარა ბიჭი კი, ოჰ, როგორ ებრალებოდა, მერე არასდროს არ დავიწყებია და ომისა და საშინელების სიმბოლოდ განიცდიდა. ჯერ ჩვიდმეტის არ იყო, სამი თვე მიკლია ჩვიდმეტსო, ნორჩი, სალუქი სახე ჰქონდა და მოკლედ შეკრეჭილი, ჯაგარივით ყალყზე მდგომი თმები, რა კარგი, რა სუფთა ბიჭი იყო, უკრაინის სოფელთან შეეკედლა მათ ათეულს, გულდანწყევით ამბობდა ჯერ ქალთან არ ვყოფილვარო და კოცნითაც ჯერ არავისთვის მიკოცნიაო, უჰ, შეყვარებული რო მყავდეს, ისეთ წერილებს მივწერდიო. ყველაფერი წინა გაქვსო, ეუბნებოდნენ, მილიონი კოცნა, ლოყანითელი გოგოები, გულისძგერა, ცას ქუდად რო არ მიიჩნევ და დედამინას ქალამნადო, რალაცნაირად ელიმებოდა ხოლმე, თითქოს სანყლად, თითქოს თან სჯერა, თან არაო. დედა ენატრებოდა, დედაო, ისეთ გალუშკებს აკეთებსო, თუ დავბრუნდები, მაშინვე გალუშკებს გამიკეთებსო. ვერ დაბრუნდა, ვერა, პატარა ბიჭი, მალევე დაიღუპა, ყუმბარის ნამსხვრევმა იმსხვერპლა. მეკავშირე გოგომ აკოცა, უკვე მოკლულს. თვითონ კი დაბრუნდა... დაბრუნდა...

და პირველ ხანებში მაინც რეტდასხმულივით იყო, გრგვინვით და გრიალივით გაყრუებული და სისხლის სუნით გაჟღენთილი... რა იყო შვილო, წარამარა თვალი რო გიშტერდებო, გაიხარე, გენაცვალოს დედა, გაიხარე, რომ გადამირჩი და დამიბრუნდიო, შესძახებდა ხოლმე მაიკო თავის შვილს. შვილმა კი მერეც იგრძნო სიხარული... თბილისში წამოვიდა, უნივერსიტეტში ამბის გასაგებად. ომი რომ დაიწყო, მაშინ აბარებდა სახელმწიფო გამოცდებს და ვერ მოასწრო. რექტორის სახელზე განცხადებას შევიტან, რომ შემოდგომისთვის დამინიშნონ დარჩენილი გამოცდების ჩაბარება, მთელი ზაფხული წინა მაქვს, კარგად მოვემზადებო, ჩავაბარებ და დიპლომსაც ავიღებო. მითუმეტეს, ომიდან დაბრუნებულეებს, მას, როგორც ისტორიკოსს, გოგა მეხრიშვილსა და შალიკო მარკოზაშვილს, ფიზიკოსებს, მაშინვე შესთავაზეს სექტემბრიდან სკოლებში პედაგოგობა. და აი, თბილისში ყოფნის დროს ჭრელ აბანოში წავიდა. დიდ სარკეში ვილაცის შიშველი სხეული დაინახა, მოენონა. იყო რალაც რენესანსული ამ სხეულის უზადო აღნაგობასა და მოყვანილობაში, მკერდის კუნთებისა და მუცლის პრესის ბიჭურ სისუფთავეში... ირაკლიმ ფეხი გადადგა და გამოსახულებაც მისკენ წამოვიდა, მაშინლა მიხვდა, რომ თვითონ იყო, თვითონ, და მის სხეულს ნაკანრი არსად ემჩნეოდა, ყველაფერი ადგილზე ჰქონდა, გაოცებული მისჩერებოდა თავის გამოსახულებას, თითქოს პირველად ხედავსო... მექისე რომ ზელდა და ხეხავდა, წყლით სავსე სათლს თქაფუნით გადაავლებდა, ნეტარებით ხუჭავდა თვალებს, ღმერთო რა ბედნიერებაა სიცოცხლეო... რა ფანტასტიური სიხარული და ნეტარებააო, და ნამდვილად უფლის წყალობად მიიჩნია სიცოცხლე. და დაენაფა სიცოცხლის სიამეს... დროს არ აცდენდა. იმდენი ვიომე და ვიტანჯე, ნამდვილად მეკუთვნის თვალში გამოვიხედოვო და სულ არ ფიქრობდა დაოჯახებაზე. „როდემდე, შვილო, როდემდე,“ შეაგონებდა პაპა, „დრო-დროთი, თორემ ჟამი ყოველთვის იქნებაო“. „ხომ გაგიგონია, გენაცვალოს ბებია, სწორმა სწორს რითი აჯობა და ცოლითა და შვილითო,“ – წარამარა ჩაუნისკარტებდა ბებია. დედა ხომ: „სანამ შემიდ-





ლია და სანამ ჯანი მომდგავს, მინდა გიშველო და მოგეხმარო შვილების გაზრდაშიო“. აქეთ-იქიდანაც, ვისაც ეკუთვნოდა და არ ეკუთვნოდა, ყველა ამას ეკითხებოდა და დასძახოდა: „არ დაქორწინებულხარ? ცოლი ჯერ არ მოგიყვანია? რალაც უცდი, ადამიანო, რალას!“ აკი სიცილით ეუბნებოდა ხოლმე თავისიანებს: „აღბათ, მარტო ამისთვის ღირს ცოლის შერთვა, რომ არავინ აღარაფერი არ მითხრასო“. ხან ვის გააცნობდნენ, ხან ვის აჩვენებდნენ, ხან ვისზე ეუბნებოდნენ, ხან ვის ურჩევდნენ. არა და არა, მთელი შვიდი წელიწადი ძვრა ვერ უყვეს. დაოჯახებისთვის, თორემ ძვრა კი არა, შუშუ-ნასავით იყო, მჩქეფარე და დაუდგრომელი. ლევან ზაუტაშვილს, მის უმცროს ამხანაგსა და ამფსონს, მამამ, ქალაქში ცნობილმა ექიმმა, ამერიკული მოტოციკლეტი „ხარლი“ უყიდა, ნავიანი. ჩაისვამდნენ ლეგიონის ქალებს და ჰერიი, დაჰქროდნენ აღმა-დაღმა, თუ ალაზანზე, თუ სვიანაზე, თუ ლოპოტაზე და ფიქალებზე, და სად აღარ...

კიდევ კარგი, თავისი საქმეც ასე უყვარსო, თავს ინუგეშებდა დედა, თორემ ნამდვილად ხელს გადაჰყვებოდაო. მაგრამ სულაც არ ფიქრობდა დროსტარების გულისთვის თავისი საქმისთვის ელატა, ნიჭიერი და ინტერესიანი იყო და ყველაფერს ასწრებდა, და ამ შვიდ წელიწადში სანამ როდამს შეხვდებოდა და დაქორწინდებოდა, საუცხოო პედაგოგისა და ლექტორის სახელიც დაიგდო და დისერტაციაც დაიცვა. ინსტიტუტიდან ერთი წლით გაგზავნეს რუსეთში, ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე მუშაობდა კახეთის მეფე ალექსანდრედან დაწყებული, მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკებში იძიებდა მასალებს, და საინტერესო მონოგრაფიაც დაწერა. მშვენიერი გადმოცემის უნარიც ჰქონდა და მის გაკვეთილებსა და ლექციებს არც არასდროს აცდენდნენ მონაფეები და სტუდენტები. და აი, ერთ მშვენიერ დღესაც, ეს იყო 52 წელს, ივნისის დასაწყისში, კბილმა შეაწუხა (წლების გავლის შემდეგ ამბობდა ხოლმე კბილი გახდა ჩემი ბედისწერაო), და სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მივიდა ცნობილ სტომატოლოგთან, ვარია ლიჩელთან. როგორც ყოველთვის, ვარიასთან რიგი იყო, კაბინეტის შესასვლელში, გრძელ

სკამზე ხალხი იყო ჩამწკრივებული, ფეხზეც იდგნენ და ისიც ფეხზე გაჩერდა. შემინული კარიდან ხედავდა: გვერდით, ახალგაზრდა ქალთან არავინ იჯდა. ქალს ქათქათა თეთრი ხალათი ეცვა, იჯდა ცარიელი სავარძლის გვერდით, მაღალ ტაბურეტზე, სევდით, თუ სულაც სასონარკვეთით მიეპყრო თვალები ვიტრინასავით დიდი მინისთვის, რომლის გადანეული ფარდიდან ქურჩა მოჩანდა. ქალმა მოიხედა, შემოსასვლელს გამოხედა, ირაკლიმ დაინახა ფაქიზად მორკალული, შეჭმუნული წარბები, და თითქოს ეცნო ეს ახალგაზრდა ქალი. შეეცოდა. ვინც მოდიოდა, ყველა ისევ რიგში დგებოდა, ამ ახალგაზრდა ქალთან კი არავინ ჭაჭანებდა. ირაკლის ისიც კი მოეჩვენა, რომ ქალმა ვედრებით გამოხედა. ვარიას მიმართ პროტესტი დაეუფლა, ნუთუ არ შეუძლია, დამწყებ ექიმს გვერდში ამოუდგეს და მოუწოდოს თავის კლიენტებს, უანგარიშოდ რომ ჩარიგებულან შემოსასვლელში, ერთი მაინც დაჯდეს ამ ახალბედსთანო. რატომღაც ეჭვი არ შეეპარა, ვინმეს თუ წაუცდა ფეხი და ამ საწყალი გოგოს სავარძელში ჩაჯდა, ძალიანაც მოინადინებს და კარგადაც გაუკეთებს ყველაფერსო. ქალმა თითქოს იგრძნოვო, ისევ მოიხედა, გამოხედა რიგს, მზერა შეაყოვნა და ისევ მოეჩვენა ირაკლის, რომ მეტად სევდიანი მზერა ჰქონდა. ირაკლიმ კარი შეაღო, ვარია თავის მანიპულაციებში იყო ჩართული, მაინც ღიმილით ახედა ირაკლის, პაციენტზე ანიშნა და გაკვირვებული დარჩა, რომ გვერდით სავარძელი ვილაც უცხომ და უცნობმა კი არა, მისი კარგი ახლობლის, მაიკოს ვაჟმა დაიკავა. „არცკი გკითხეთ, ხომ შეიძლებოდა თქვენთან?“ ზრდილობისთვის ჰკითხა, თორემ შეიძლებოდა კი არა, ქალი შინაგანად თითქოს შეფრთხილდა, ისე შეარხია მხრები და გაიღიმა: „ო, რა თქმა უნდა, აბა რაა“.

„და დავალო პირი?“ ირაკლიმაც გაუღიმა ქალს, „კარგი თაბა“.

„ოო, რა მშვენიერი ფასადი გაქვთ!“ თქვა ქალმა და ირაკლის ჩამოხედა, ალერსიანი კილო ჰქონდა და სულ პატარა გოგონას ჰგავდა.

„ფასადი?“

„დიახ, ჩვენ ასე ვამბობთ, კბილების ნყოფა და ხარისხი“

„და თქვენ ფიქრობთ, რომ კარგი ფასადი მაქვს?“ შეჟუჟუნების გუნება-

ზე დადგა ირაკლი, გახალისდა.

„ფიქრი რა შუაშია, ეს ხომ ზედაპირ-ზე ძევს, ყველას დასანახად“. და ქალმა მოულოდნელად შუბლი შეიკრა, ვითომ სიანციისთვის არ მცალიაო, „მოდით საქმეს შევუდგეთ, აი, მეექვსე კბილი გაქვთ დასაბჭენი, დიდი კარიესი არ არის, მგონი პულპამდე არ მივა საქმე, ძალიან ვეცდები, არ გატიკნოთ“.

მართლაც, ძალზე ფრთხილად უსუფთავებდა კბილს, ესიამოვნა კიდევ ვარდისფერი, ფუნჩულა ხელის ცაცუნის, თან თავის ფაქიზად მორკალულ, მშვენიერ წარბებს ისე ლამაზად ჭმუხნიდა, ირაკლიმ გაიფიქრა, სიამოვნებით ვაკოცებდიო. და გაუკვირდა, რომ სტომატოლოგიურ სავარძელში მჯდომი ინტერესითა და სიამოვნებით შეჰყურებდა ამ ახალგაზრდა ქალს, და უცებ მიხვდა საიდანაც ეცნობოდა, ნამდვილად ის იყო. ამ შვიდი წლის წინ, ომის დამთავრების შემდეგ რომ დაბრუნდნენ, 45 წლის მაისის ბოლოს, მას, გოგა მეხრიშვილსა და შალიკო მარკოზაშვილს პედაგოგობა რომ შესთავაზეს, ეპატიჟებოდნენ დილებსა და საღამოებზე, უმართავდნენ შეხვედრებს. და აი, როგორც მომავალი პედაგოგი პირველი სკოლისა, გამოსაშვებ საღამოზე დაპატიჟეს. ეს ნამდვილად ის გოგონა იყო, მაშინ იმ საღამოზე რომ გამოვიდა, ახლად სკოლადამთავრებული. იყო სიტყვები, მისალმებები, ლექსები, სიმღერები. მაგრამ აი, სწორედ ეს გოგონა ჩაახსომდა და რალაც ხანი გაჰყვა კიდევ ის შთაბეჭდილება. გოგონა აშკარად ამოვარდნილი იყო საზეიმო საღამოდან თავისი ჩაცმულობითაც და არა-საზეიმო ლექსითაც. თავიანთი მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, ყველა შეეცადა თურმე საზეიმოდ გამოწყობილიყო. გახსნეს ბებიების სკივრები, გადაიკეთეს, გადმოიკეთეს, მარჯვედ მოირგეს და ყველა კობტად გამოცქრიალდა სცენაზე. ამ გოგონას კი სრულიად უბრალო შავი სატინის კაბა ეცვა. შავი ფილდეკოსის წინდები და აგრეთვე შავი, ასევე უბრალო, მგონი მეჯღანის შეჯღანული, ჩუსტები. თუმცა კეთილადნაგ მომცრო სხეულზე მოხდენილად ედგა კაბა, აწვდილ ყელზე კი, ვითომ მოსართავად გაზის პატარა შარფი ჰქონდა მოგდებული, გრძელი, მსხვილი ნაწნავი მხარზე გადმოეგდო, ბოლოში შებმული შავი აბრეშუმის დიდი ბანტიო. რატომ

აცვია ასე თავით ფეხამდე შავებით, დაინტერესდა ირაკლი, და გვერდით მჯდომმა ნაცნობმა პედაგოგმა უთხრა: მარტის ბოლოს მოუვიდათ მამის დალუპვის ცნობაო. არ უნდოდა ალღუმში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ძალიან სთხოვეს, კარგად იცის ლექსის თქმა, თან ფრიადოსანია და დაარწმუნეს, რომ ტოლებს არ უნდა ჩამორჩენოდა, უთუოდ უნდა გამოსულიყო და ან სიტყვა ეთქვა, ან ლექსი. ცხადია, სწორედ გლოვის გამო იყო, რომ საზეიმო და სააღლუმო განწყობილებით გამსჭვალული ლექსის მაგივრად, გალაკტიონის სრულიად არა-მხიარული, არარიხიანი, მაგრამ გულში ჩამწვდომი ტაეპები გაისმა: „ამ ბნელი ღამით ვილაც დადის საქართველოში, ამ ბნელი ღამით ვილაცა კენესის, ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში, სადღეგრძელოში, ვახსენოთ ჩვენ ის...“ მღელვარედ გაისმა გოგონას ხმა, მონოდებასავით, მართლაც ეს იყო მონოდება, მორალური და ღრმად ადამიანური იმპერატივი, ყველას, ყველას, ბნელ ღამეში მოხეტიალე მკვნესავი მარტოსული გახსენებოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ვინ იცის, ეს იყო სული დალუპული მამისა, გზა რომ ვერ გაუგვინა და ვერსად დამკვიდრებულა... გოგონამ ლუფტ-პაუზა გააკეთა და შემდეგ უკვე მწუხარე ხმით განაგრძო: „ამ ბნელი ღამით სადღაც ისმის ხმა დაირისა, თვალი მეცხება ცრემლების წამით, უკვე ცისკარმა შორი მთები დააირისა, ის კი... კვლავ კენესის ამ ბნელი ღამით“. გოგონას მართლაც ცრემლით ჰქონდა თვალები „დანამული“.

„იცით, მე თქვენ გამახსენდით,“ თქვა ირაკლიმ, „გამოსაშვებ საღამოზე გალაკტიონის ლექსი რომ თქვით... აი, დიდი ნაწნავი კი მოგიჭრიათ.“

ქალმა დასაბჭენი ფხვნილი გადმოყარა მინის პანია ფილაზე, სითხე დაასხა და არევა დაიწყო. მერე დაილო თავი და ირაკლის შეხედა: „მე ის ლექსი მამის ხსოვნას მიეუძღვენი... არც მივიღებდი საღამოში მონაწილეობას... იმ ლექსის გარეშე“. მესმის თქვენი, ძალიან კარგად... მეც ჩვიდმეტი წლის ასაკში დავკარგე მამა... და, უნდა გითხრათ, მძიმედ განვიცადე“.

„მეც, მეც,“ აღმოხდა ქალს, „სიცოცხლე აღარ მინდოდა, წარმოგიდგენიათ?“ და თითქოს ამაზე საკვირველი





არაფერი იყო, ისე განაგრძო: „თვენახ-ევრით ადრე ომის დამთავრებამდე, კურსკთან არ დაილუპა... სტალინ-გრადათან არ დაილუპა...“ „თქვენ ამ-ბოთ კურსკი და სტალინგრადიო, ომის ბოლო დღეებში, აი სულ ბოლოს, იცით რამდენი დაილუპა? რამდენი?“ „საშინელებაა! მე თმაც იმიტომ შე-ვიჭერი, გავშმაგდებოდი ხოლმე და ერთხელაც შევუგდე მაკრატელი. ოო, რა მძიმედ გადავიტანე...“

„და ნაწნავზე იყარეთ ჯავრი, არა?“ „ღიას“. მოწაფესავით დაეთანხმა ქალი, თან ნიკელის პატარა ნიჩბით ზელდა და ზელდა დასაბჭენ გუნდას. ირაკლი სიამოვნებით მისჩერებოდა ქალის საქმიანობას. მერე გაუმშრალა კბილის ღრუ რეზინის ბალონით, გუნდა ჩაუდო, დაუბჭენა, მერე დაუტკეპნა და ნარჩენების განმენდას მოჰყვა... ირაკ-ლი კი შეჰყურებდა ქალს და ფიქრობდა: თავისდღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ სტომატოლოგს შეეძლო ჩემი ყურად-ღების მიპყრობაო, არადა, რა სისულე-ლეა, წინასწარ იმისი დადგენა, ვინ შეიძ-ლება მოგეწონოს და ვინ არაო.

„რა არის, იცით,“ უთხრა ქალმა, „ეს მეექვსე კბილი, მთავარი საღეჭი კბილია და ალბათ, სჯობს ოქრო გა-დაიკრათ, რომ კარგად შეგენახოთ, ... გექნებათ და გექნებათ.“

„თუ თქვენ გადამაკრავდით?“ ირაკ-ლიმ გაუღიმა, „მაშინ იქნებ კიდევაც გადამეკრა. მაგრამ მე უფრო ის მაინ-ტერესებს, ცეკვა თუ გიყვართ?“

„ღმერთო ჩემო, რომელ ახალგაზრ-დას არ უყვარს ცეკვა?!“ ლამის შეიცხა-

და ქალმა.

„მაშინ წავიდეთ სალამოს ნადიკვარ-ზე და ვიცეკვოთ, კარგი?“

„ოო, რა თქმა უნდა...“ სიამოვნებით დაეთანხმა ქალი.

„მართლა, რა გქვიათ?“

„როდამი“.

„რა კარგი სახელი გქონიათ, ძველე-ბური“.

„მე გვარიც ძველებური მაქვს, სოლ-ოლაშვილი. მამაჩემის ბებიას რქმევია როდამი და მამას უთხოვია დედაჩემ-ისთვის, მართალია მოდამი აღარ არის ძველებური სახელები, მაგრამ არ მინ-და ბებიჩემის სახელი დაიკარგოსო. მე კიდევ პატარაობისას განვიცდიდი, რა-ტომ ბელა ან ლეილა არ მქვია მეთქი“.

„როდამი სულხან-საბას მამიდას ერ-ქვა, შაჰნავაზის მეუღლეს“. თქვა ირაკ-ლიმ და სავარძლიდან წამოდგა.

„გამახსენდა, გამახსენდა!“ გაუხარ-და როდამს, „რომ მეფის ძენი სულხან-საბას მამიდაშვილები იყვნენ, ასე კი არ არის საქმე, მეც რაღაც ვიცი...“ და თაფლისფერი თვალები მომხიბლავად გააჟუჟუნა, თუმცა მაშინვე საქმი-ანად დაუმატა, „თუ აგტიკვდებოთ, არ შეგეშინდეთ, ახალმა დაბჭენილმა იცის ზოგჯერ და მალევე გაგივლით“. „კარგი აბა, ნადიკვართან დაგიცდით შვიდი საათისთვის“.

თვალი გააყოლა გაბრუნებულ პატა-რა ქალს და თავისდა მოულოდნელად გაიფიქრა: „ვინ იცის, შაჰნავაზივით ჩემს მეუღლესაც როდამი უნდა ერ-ქვასო“.

„ინტელექტი“ გთავაზობთ



ნიკოლო მინიშვილი

„ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“

„ოცდაექვსი წლისა ვარ... ჩემი ანგარიშით მე კიდევ გავძლებ თხუთმეტ წელს...“ – წერდა ნიკოლო მინიშვილი 1922 წლის 11 დეკემბერს. იგი ზუსტად თხუთმეტი წლის შემდეგ – 1937 წელს დახვრიტეს.

„ინტელექტის“ მინიატურულ გამოცემაში „ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“ შესუ-ლია ცნობილი პოეტისა და ცისფერყანწელის, პუბლიცისტისა და მოაზროვნის რჩეუ-ლი ნაწარმოებები – პოეზია, მინიატურები, დოკუმენტური პროზა, გახმაურებული წერილი „ფიქრები საქართველოზე“, რომელსაც დიდი ვენებათაღელვა მოჰყვა მწერ-ლის სიცოცხლეში და უფრო გვიან, XX საუკუნის 90-იან წლებშიც.

წიგნს ერთვის **გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიცინან ტაბიძის, შალვა აფხაიძის, გრიგოლ რობაქიძის, აკაკი ბაქრაძისა და ლევან ბრეგვაძის** მო-საზრებები ნიკოლო მინიშვილის პიროვნებასა და შემოქმედებაზე.

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

ბაჩანა ბრეგვაძე

მარადისოვის მოციქული

როგორც ცნობილია, „ახალი აღთქმის“ კანონიკური ტექსტი, თავისი საბოლოო სახით, ძირითადად, ჩვენი წელთაღრიცხვის I-IV საუკუნეებში რომ ყალიბდება, 27 წიგნისაგან შედგება: 4 სახარება („წმიდა ოთხთავი“), წმიდა მოციქულთა საქმენი, 7 კათოლიკე ეპისტოლე, პავლეს 14 ეპისტოლე და იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადება“ („აპოკალიპსის“).

მათ გარდა, მეტ-ნაკლებად სრული თუ ნაკლებად სრული, ჩვენამდე მოაღწია ე.წ. „აპოკრიფულმა“ სახარებებმა (ბერძნული სიტყვიდან „აპოკრიფოს“, რაც „ფარულს“, „დაფარულს“ ნიშნავს, თვით ეს ზედსართავი სახელი კი წარმოსდგება ზმნიდან „აპოკრიფტო“ – „ვმალაჟ“, „ფვარავ“). მართალია, ქრისტიანული ეკლესიები არ აღიარებენ, მაგრამ არც კრძალავენ მათ, რადგანაც ისინი გვამცნობენ იესო ქრისტეს ცხოვრების ბევრ ისეთ დეტალს, რაც უცნობია კანონიკური სახარებებისთვის.

ჩვენს წიგნთსაცავებში ამოდდავეძებდი მათ ბერძნულ დედნებს და უცხოურ თარგმანებსაც. 2002 თუ 2003 წელს „საჯარო ბიბლიოთეკაში“ გახსნილ „ფრანგული წიგნის მალაზიაში“ შევიძინე ფრანგი სწავლულის ფრანს კერეს (France Quéré) წიგნი „Evangiles apocriphes“ („აპოკრიფული სახარებები“), გამოცემული 1983 წელს, საიდანაც ვთარგმნე ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ყველაზე მნიშვნელოვანი აპოკრიფული სახარება, რომლის ავტორადაც ისტორია თვით მაცხოვრის „ძმას“ (იოსების ძეს) მიიჩნევს. თარგმანი გამოქვეყნდა 2007 წლის 8 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის ტრაგი-

კული სიკვდილიდან 170 წლისთავის აღსანიშნავად „ილიას ფონდისა“ და შპს „კალასის“ მიერ გამოცემულ გაზეთში „ილიას გზა“ (გვ. 6-7).

იაკობი (იოსების ძე) ისტორიული პიროვნებაა. ორიოდ ფრაგმენტი სახელგანთქმული იუდეველი მწერლის იოსებ ფლავიუსის (37-100 წ.) წიგნიდან „იუდეური სიძველენი“, რომელთაგანაც პირველი იესო ქრისტეს, ხოლო მეორე – მის „ძმას“, იაკობს ეხება:

I. „დაახლოებით ამ დროს ცხოვრობდა იესო, ბრძენთა-ბრძენი ადამიანი, თუკი მართებულია მისი მიჩნევა ადამიანად, რადგანაც ის ახდენდა სასწაულებს და იყო მათი მოძღვარი, ვინც ხალხით იღებდა და აღიარებდა ჭეშმარიტებას. მან მიიზიდა უამრავი ებრაელი და წარმართი. ის იყო ქრისტე, და როცა პილატემ, ჩვენი თავკაცების ნაქეზებით, მიუსაჯა ჯვარცმით სიკვდილი, იესოს მოყვარენი არ განდგომიან თავიანთ მოძღვარს, რადგანაც მესამე დღეს ცოცხალი მოველინა მათ, თანახმად წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებისა, ამ და ათი ათასობით სხვა სასწაულზე რომ ლაპარაკობენ, რომელთაც უკავშირებენ მას. ხოლო ქრისტიანთა ტომი, მისგან რომ მიიღო სახელი, დღემდე არსებობს“ („იუდეური სიძველენი“, XVIII, 33).

II. აი, მეორე ფრაგმენტიც, სადაც იოსებ ფლავიუსი ეხება იუდეველი მღვდელთმთავრის – ანანას „ღვანლს“:

„ხოლო უმცროსი ანანა, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, მღვდელთმთავარი გახდა, მტკიცე ხასიათისა და უდრეკი ბუნების კაცი იყო. ის ეკუთვნოდა სადუქველთა



ფოტოზა

მარიამ ღვთისმშობელი ყრმასთან (1900 წლის ბიბლიის ილუსტრაცია)



პარტიას, რომელიც, როგორც უკვე გიჩვენეთ, ყველაზე სასტიკნი და მკაცრნი არიან. და რაკი ანანას ამნაირი ხასიათი ჰქონდა, გადანყვიტა... მოენვია მსაჯულთა კრება, რომლის წინაშეც სხვებთან ერთად წარსდგა იაკობი, იესოს, ეგრეთ წოდებული ქრისტეს ძმა. კანონის დარღვევაში რომ დაადანაშაულა ისინი, ანანამ ქვებით ჩაქოლვა მიუსაჯვამათ“ („იუდეური სიძველენი“, XX, 91)...

ანონიმ ავტორს მარჯვედ კი შეურჩევია ფსევდონიმი: თავის „სახარებაში“ ისე დაბეჯითებით და დამაჯერებლად გადმოგვცემს ყოფითი ხასიათის ცალკეულ დეტალებს თუ ეპიზოდებს, თითქოს, თავისი პროტოტიპით, პირადად ყოფილიყო მათი თვითმხილველი. ავიღოთ თუნდაც „იაკობის პირველსახარების“ XII თავი („სახარება“ სულ 25 მომცრო თავისაგან შედგება), რომელიც უშუალოდ მარკოზის სახარებიდან (თ. II) უნდა აეღო ავტორს:

I. მარკოზი, II, 1-7:

1. იმ დღეებში გამოქვეყნდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება, აღწერა ჩაეტარებინათ მთელს ქვეყანაში...

3. და ყველამ თავ-თავის ქალაქს მიაშურა ჩასაწერად.

4. ნავიდა იოსებიც გალილეის ქალაქ ნაზარეთიდან იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ბეთლემი, ვინაიდან დავითის სახლისა და გვარისა იყო.

5. რათა ჩაწერილიყო მარიამთან, თავის დანიშნულთან ერთად, რომელიც ფეხმძიმედ იყო.

6. და იქ ყოფნისას მოანია მისი მშობიარობის ჟამმა.

7. და შობა ძე, თავისი პირმშო, ჩვრებში შეახვია და ბაგაში ჩაანვინა, ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მისთვის.

II. იაკობის პირველსახარება, XVII, 1-3 – XVIII, 1:

1. იმხანად გამოქვეყნდა მეფე ავგუსტუსის ედიქტი აღწერის თაობაზე, ჩასაწერად რომ უხმობდა

იუდეის ბეთლემის მკვიდრთ. იოსებმა თქვა: „ავდგები და ჩემს შვილებს ჩავწერ; მაგრამ რა ვუყო ამ ყმანვილ ქალს? ჩემს ცოლად ჩავწერო? რა უფლება მაქვს? ჩემს ქალიშვილად? მაგრამ ყველამ იცის, რომ ქალიშვილი არა მყავს. რაც არის, არის. დაე, დღეს უფალმა გადანყვიტოს, როგორც თვითონა ნებავს.

2. შეკაზმა ვირი და ქალი ზედ შესვა. სადავე მის ვაჟებს ეჭირათ...

3. შუა გზაზე მარიამმა უთხრა: „ხელი შემამშველე და ვირიდან ჩამომსვი. მგონი მოანია ჩემი მშობიარობის ჟამმა“. იოსებმა ძირს ჩამოსვა და ჰკითხა: „სად წაგიყვანო, ან რას შევაფარო შენი სიმორცხვე? ხომ ხედავ, ტრიალ მინდორში ვართ.

XVIII, 1: მაგრამ მალე მიაგნო მღვიმეს. შიგ შეიყვანა და მცველად თავისი ვაჟები მიუჩინა. თვითონ კი ბეთლემისკენ გასწია ბებია ქალის საძებნად“...

მაგრამ აქ ანონიმი ავტორი ანაზდეულად ნყვეტს სიტყვას და თავის მაგივრად საკუთარ გმირს – იოსებს ალაპარაკებს. მთხრობელის ეს მოულოდნელი შენაცვლება და იოსების თვალთ დანახული უჩვეულო სურათი უფაქიზესი და უღრმესი მისტიური აზრის შემცველია, რომლის ბადალიც იშვიათად თუ მოიძებნება მთელ ქრისტოლოგიურ და არა მარტო ქრისტოლოგიურ ლიტერატურაში:

XVIII, 2-3:

„მივდიოდი მე, იოსები, და არც მივდიოდი. თვალი მივაპყრე ცის თალს და უძრავი მეჩვენა იგი. თითქოს გახევებულიყვნენ ცაში მოფრთხილვე ჩიტები. მერე დაბლა დავხარე თვალი და ვეება ჯამი ვიხილე. სასადილოდ წამოწოლილ მუშებს შიგ ჩარჩენოდათ ხელი. ვინც ილუკმებოდა, თითქოს არც ილუკმებოდა, და ვინც ახლა იღებდა ლუკმას, თითქოს არც იღებდა მას. ხოლო ვისაც პირთან მიჰქონდა, თითქოს არც მიჰქონდა იგი. ყველას ზეცად აღეპყრო სახეც და თვალიც.

ფოტოზა
 „დიდება მალალთა
 შინა ღმერთსა“
 (კარავაჯოს ნახატი)

მერე ვიხილე ცხვრის ფარა, რომელსაც მიერეკებოდნენ, მაგრამ ადგილიდან კი ვერ დაეძრათ. მწყემსს მალლა შეემართა ხელი შოლტის გადასაჭერად, მაგრამ ჰაერშივე გაშეშებოდა. თვალი გავაყოლე მდინარეს და დავინახე თხები, ნყალს რომ უცმაცუნებდნენ პირს, მაგრამ სმით კი ვერ სვამდნენ.

ანაზდეულად ცხოვრება კვლავ თავისი გზით წარემართა“.

აი, უჩვეულო პასაჟი:

მარად მოძრავი, დინამიური, წამითი-წამად ცვალებადი სამყაროს ნაცვლად, განცვიფრებული იოსების წინაშე იშლება უჩვეულოდ გარინდებულ-გახევებული, უძრავი და სტატიური სინამდვილე, თითქოს შეწყდა დროის დინება, ყველაფერი გაშეშდა, გახევედა, გაყუჩდა და გაირინდა, როგორც ზღაპრულ „ქვათა ქალაქში“. მაგრამ აქ ზღაპრულ სინამდვილესთან როდი გვაქვს საქმე. სწორედ ამ წამს ბეთლემის მახლობლად მდებარე მღვიმეში იბადება ღვთაებრივი ყრმა, რომელმაც უნდა იხსნას ცოდვის მორევში დანთქმული წუთისოფლის მკვიდრნი. იბადება, მაგრამ ჯერ არ დაბადებულა. ჯერჯერობით ის ორი სხვადასხვა – „საუკუნო სოფლისა“ და „წუთისოფლის“ მკვიდრია და მისი დროც ჯერ კიდევ მარადისობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ეს მარადისობა კი რადიკალურად როდი განსხვავდება მარადისობის როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული (პლატონი, ნეტარი ავგუსტინე და სხვ.) გაგებისაგან.

დროისა და მარადისობის ორიგინალური კონცეფცია პლატონის გენიალური „ტიმეოსიდან“ იღებს დასაბამს. „ტიმეოსის“ მიხედვით, კოსმოსის მონესრიგებული და ჰარმონიული მოძრაობა, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს დინამიზმი სხვა არა არის რა, თუ არა იდეალური სინამდვილის უძრაობის, მისი სტატიურობის პროეცირება ქმნადობის ნიაღში; ზუსტად ასევე, დროც – ამქვეყნიურ საგანთა და მოვლენა-

თა არსებობის, მათი მოძრაობისა და ცვალებადობის ფორმა – უცვლელი და უძრავი მარადისობის ანალოგიურ პროექციად გვევლინება. „მარადისობა“ (αἰών) პლატონისათვის ძირეულად განსხვავდება ამ სიტყვის ჩვენი თანადროული გაგებისაგან. ამ ტერმინით „ტიმეოსში“ აღინიშნება არა ცალსახად და უკუმოუქცევლად მედინი დროის (χρόνος) უსასრულო გრძლივობა, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს ანმყოს, არამედ ერთგვარი ექსტრატემპორალური (დროის მიღმური, დროის გარეშე არსებული) უცვლელი რეალობა (რუსთველის „უჟამო ჟამი“, ალბათ, ყველაზე სრულად და ამომწურავად გამოხატავს ამ ცნების შინაარსს). დღევანდელი გაგებით, „დრო“ სასრულია, „მარადისობა“ კი უსასრულო, მაშინ როდესაც, პლატონის აზრით, ამ ორ ცნებას შორის რაოდენობრივი (კვანტიტატიური) კი არა, თვისობრივი (კვალიტატიური) სხვაობა არსებობს.

„ტიმეოსის“ მარადისობა ინტეგრალური, ცალკეულ მომენტებად (წარსული, ანმყო, მომავალი) განუწილველი დროა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიული, წარუვალი ანმყო, რომელიც ხასიათდება ერთადერთი პრედიკატით – „არის“ (ἐστίν). და პირიქით, საკუთრივ დრო ცალკეულ მომენტებადაა განწილული. მას თავისი ნაწილები (μῆρη) და თავისი სახეები (εἶδη) აქვს. დროის ნაწილებია დღეები და ღამეები, თვეები და წლები, სახეები კი – „იყო“ და „იქნება“ (ესე იგი, წარსული და მომავალი). „არის“, პლატონის მიხედვით, მარტოოდენ მარადისობის ატრიბუტია. რაც შეეხება დროის იმ მომენტს, რომელსაც ანმყოს ვუნოდებთ ჩვენ, ის თითქოს კიდევ არსებობს და არც არსებობს, რაკი-ლა მხოლოდ და მხოლოდ წარსულია და მომავლის ერთმანეთისაგან გამმიჯნავ ზღვრად, მსწრაფლწარმავალ წამად თუ დროული ნაკადის ერთგვარ „ატომად“ გვევლინება.





შეადარე არისტოტელე: „ამრიგად, რამდენადაც „ახლა“ (არისტოტელეს „ახლა“ – სხვა არა არის, თუ არა ზღვარი, ის არ არის დრო და მხოლოდ თანხედომითაა ნიშნული დროისათვის, ვინაიდან ზღვარი ეკუთვნის მხოლოდ იმას, რის ზღვრადაც ის გვევლინება“. ასევე აღიქვამდა „ანმყოფ“ ძველი ბერძენი სოფისტი ფსევდო-არქიტა (ზოგიერთი ელინისტის აზრით, ფსევდო-არქიტა ძვ.წ.ა. III საუკუნეში ცხოვრობდა, ზოგი კი ახ.წ.ა. III საუკუნის მწერლად მიიჩნევს მას), ვისი აზრითაც, დრო, საერთოდ, არარეალურია, რადგანაც „ახლა“, ანუ ანმყო, მისი აღქმისთანავე უკვე აღარ არსებობს, და თუმცა დროის ნაკადი უწყვეტია, მის ნაწილებს – წარსულსა და მომავალს არსებულად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც პირველი უკვე აღარ არსებობს, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ ზიარებია არსებობას. ფსევდო-არქიტა „ახლა“-ს მომენტს სამკუთხედის წვეროს ადარებს, რომელიც თანაბრად ეკუთვნის ერთი გვერდის დასასრულს და მეორის დასაწყისს. მართალია, ამნაირად გაგებული „ახლა“ გამუდმებით იცვლება რიცხობრივი თვალსაზრისით, მაგრამ თავისი სტრუქტურით უცვლელი რჩება. სამკუთხედის აღმავალი გვერდი მომავალს გამოხატავს, დაღმავალი – წარსულს, გარდამავალი წერტილი კი – „ახლა“-ს, ანუ ანმყოფს. მაგრამ წარსულისა და მომავლისა არ იყოს, არც ანმყოფ არსებობს, რადგანაც მას, როგორც განზომილების არმქონე წერტილს, არავითარი ვრცეულობა არ გააჩნია...

აქვე მოვიხმობ ერთ ეპიზოდს V–VI ს. სახელგანთქმული რომაელი მოაზროვნის ბოეციუსის ბრწყინვალე წიგნიდან „De consolatione philosophiae“, – „ფილოსოფიით ნუგემუცემისთვის“, მისთვის ჩვეული ოსტატობით რომ გადმოგვცემს

დიდი არგენტინელი მწერალი ხორხე ლუის ბორხესი:

„მაყურებელი ჰიპოდრომზე ზის და თავისი ტრიბუნიდან ერთიმეორის მიყოლებით ხედავს სტარტს, რბოლის პერიპეტიებს და ფინიშთან პირველად მისულ ცხენს. მაგრამ ბოეციუსი წარმოსახვით ხედავს კიდევ ერთ მაყურებელს, მზერით რომ აღიქვამს პირველ მაყურებელსაც და რბოლასაც. ეს, რა თქმა უნდა, უფალი ღმერთია. უფალი ხედავს მთელ რბოლას, ხედავს მარადისობის ერთი წამის განმავლობაში. თავისი წამიერი მარადისობიდან ხედავს სტარტს, რბოლის პერიპეტიებს, ფინიშს. მყისიერი მზერით აღიქვამს უკლებლივ ყველაფერს, მათ შორის, მთელ მსოფლიო ისტორიასაც. ასე შემოაქვს ბოეციუსს ორი ცნება: თავისუფალი ნებისა და პროვიდენციისა. იმ მაყურებლის მსგავსად, თვალს რომ ადევნებს მთელ რბოლას, მაგრამ არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს მასზე (გარდა იმისა, რომ მკაცრი თანმიმდევრობით აღიქვამს მას), ღმერთი მთლიანად ხედავს ჩვენს რბოლას – დაბადებიდან სიკვდილამდე. ის გავლენას არ ახდენს ჩვენს მოქმედებაზე; ჩვენ თავისუფლად ვმოქმედებთ, მაგრამ უფალმა იცის, ანდა, ვთქვათ, სწორედ ამ წამს იცის ყველაფერი, რისი ატანაც მოგვინევს. უფალი ღმერთი ასევე ხედავს მსოფლიო ისტორიასაც და იმასაც, რაც მოსდის მსოფლიო ისტორიას; ყველაფერს ხედავს ერთ თავბრუდამხვევ წამში, რომელსაც სახელად ჰქვია მარადისობა“.

*

„ანაზდეულად ცხოვრება კვლავ თავისი გზით წარემართა“.

ამ სიტყვებით მთავრდება იოსების ხილვა.

ქრისტე იშვა. ღმერთი განკაცდა... რითი მიაგებს სანაცვლოს ადამიანი?

ფოტოზა
„წმინდა იოსები
ახალშობილ იესოსთან“
(გვიდო რენის ნახატი)

ფრიდონ ხალვაში

ბადაღმეთელ (თურქეთელ) ჩვენებურებაში
გურამ ფანჯიკიძესთან ერთად

იყო სიმყუდროვე თითქოს, მაგრამ აფხაზური მარცხის შემდეგი, მომდევნოდროინდელი საქართველო იმ შეჩვეულ საქართველოს აღარ ჰგავდა. ხომ გაგიგონია, – ჩვენში სააქაოს ტყვილ დუნიას ვეძახით. ჩვენ კი იმჟამინდელ მამულ-მემლექეთს ტყვილი საქართველო დავარქვით.

არ ვამბობ, ხშირად ჩამოდიოდა-მეთქი, მაგრამ ისე, **გურამ ფანჯიკიძე**, მიუხედავად მწერალთა კავშირის სახელის ჯერ ისე შენარჩუნებული საყოველთაო მაღალპატივცემულობისა, რომლის თავმჯდომარეც იყო (თანამედროვეობის მართლაც მართლად აღმწერელი) ისე მისებური უბრალოებით, სისადავით, თავმდაბლობითა და კაიბიჭობით გვამახსოვრებდა თავს.

ჰოდა, 1993-ის გაზაფხულის ერთი დღეა. დამირეკეს, გურამია ფანჯიკიძე, გეძებო. ქობულეთი უყვარდა. იქაურ „ივერიაში“ ვიკითხე, ჩვენთან არააო. დაველოდე. თუ მეძებს, მნახავს.

გურამი გულის და სულის წამალი კაცი იყო. ლაპარაკს რა საგანზეც მოწადინებდა, ის ძირფესვიანად იცოდა. ერთი სიტყვით, ფიზიკოსიც იყო და ლირიკოსიც, ერთად („Что-то физики в почете, что-то лирики в заго-не“, **ბორის სლუცკი**). პროზა, გურამისა, იმ აჯანყების მოწადინე დროში, ჩვენი წუხილიანი ყოფის ყველაზე მართალ მთხრობელად გვეგულეობდა. საოცრებაა, – ძალიან მაგრად აკრიტიკებდა იმ დროს საბჭოურ წყობას, მაგრამ მის პიროვნებაში მოწინააღმდეგეს მაინც არ ხედავდნენ. არ უჯავრდებოდნენ. სხვისი კალმის ოდნავი ხიტიციც კი პარტელიტას აღიზიან-აფორიაქებდა ხოლმე. გურამ ფანჯიკიძესგან კი, მაინცდამაინც არ იწყებდნენ. ის ეთავისიანებოდათ, ეშინაურებოდათ. ყველასთან ერთად ყველაფრის თანამონაწილეობას არ აერიდებოდა, ყოველდღიურობაში აქ-

ტიურობდა. ზოგჯერ, „რესპუბლიკის პირველი პირის მიერ მონონებულ“ წამოწყებებსაც, „პირველი პირის“ ნდობამოხვეჭილებთან ისე ჭკუამახვილურად მიაქილიკ-მოაქილიკებდა, გამოლმელ-გალმელი ერთად გაერთობოდა.


მგონი სამოცდაათის მახლობელ წელს, მაჩაბლის 13-ს მივადექი თუ არა, გურამი სასახლიდან გამომავალი შემომეფეთა. ნაშუადღევია. მარტოა.

– ოჰო! – და წამავლო ხელი, – წამოდი. ერთ ალაგას მივალთ. ძალიან საჭირო ხარ იქ შენაო. მთანმინდის ზემოუბნისკენ ავუყვებით. იქ, ძველი სახლის ღია ფანჯრიდან, მახსოვს, ვილაც ბიჭი, თითქოს **ბესო ყლენტი** ფიფი სახით, ხელს გვიქნევს. თან თითით გურამს უჩვენებს, აი, იმ კარებში შემოხვალ და იქიდან ზემოთო.

ავედით. შინ მარტო დაგვხვდა ტალიკ-თვალნიწკალა ახალგაზრდა, სულ კისკის-ლიმილად რომ იღვრებოდა. ცოტა ჩაიანგლ-ჩაიიმერულეს და **თამაზ წივნივაძე** ესაო, გურამმა გამაწოდებინა ხელი. ჯერ კიდევ სტუდენტი, თამაზ წივნივაძე, როგორც შევატყვევ, ლიტერატურაში კარგა გაშინაურებული და მწერლური ყოფის ოღრო-ჩოღროვან ხათქა-ხუთქებზე უკვე კაიმაგრა თვალმიდევენებული ჩანდა.

ახლავენა გითხრანა, ჩემო ემინ, მერე, კილამ თლათ დაშლილ-დაფელერგებულ საქართველოში, გაჭირვებულ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქტორობასა და მწერალთა მოფამფალეზული კავშირის თავმჯდომარეობისას, ისეთივე წამოწეულ-გაფაქიზებული ყურადღებანიობით და ახლობლურობით უვლიდა თამაზ წივნივაძე ჩვენს ურთიერთობას.

ჰოდა, ვართ მე და გურამი ფანჯიკიძე სტუდენტი წივნივაძესთან, ალბათ, ნაქირავებ ოთახში. დევს მოდაბლო მა-



მ ივლისს, თავის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში (ქედის რაიონი, აჭარა) 85 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი ფრიდონ ხალვაში, მრავალი პოეტური და პროზაული კრებულის ავტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1975 წ.), თბილისის საპატიო მოქალაქე (1999 წ.). ბატონი ფრიდონი ჩვენს ყურნალთან სიამოვნებით თანამშრომლობდა. ეს ფრაგმენტი მოგონებათა („ომრი“) ჯერ გამოუცემელი მეორე წიგნიდან თვენახევრის წინ გამოვიგზავნა. სამწუხაროდ, მის გამოქვეყნებას იგი ვეღარ მოესწრო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი იყოს მისთვის მშობელი მიწა.



მისიონარი

ფრიდონ ხალვაში – გამორჩეული სახელი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, თხემით ტერ-ფამდე პოეტი, შემოქმედი და კიდევ ოდნავ მეტი იმაზე, ვიდრე თვითონ არის ან ჩვენ წარმოგვიდგენია.

მან შექმნა თავისი სახე, თავისი სტილი და, მაღალფარდოვნებაში თუ არ ჩამეტყულება, თავისი მითი, რომელიც ჩვენ თვალწინ არსებობს როგორც სახასიათო ფორმა და შინაარსი, როგორც ადვილსაცნობი ისტორია, როგორც ტრადიცია, წინაპართა კვალის გამგრძელებელი.

არის მის ბუნებაში რაღაც ისეთი, რაც შეიძლება მისიონერის ხასიათს მოგვაგონებდეს. არა მართო იმიტომ, რომ ბედმა თავიდანვე დააკისრა საგანგებო პოეტური როლი ქართულ სინამდვილეში, არამედ იმიტომაც, რომ პრაქტიკული ინტელექტის ამოუწურავი შესაძლებლობები უბოძა ღმერთმა და ამ პოტენციალს დღემდე ცხებულის ზემთაგონებითა და თანმიმდევრობით ახორციელებს ქვეყნისა და ერის ინტერესებისათვის.

ეს არის ადამიანი, რომელიც მუდმივად იწყებს რაღაც ახალს, რაღაც მოულოდნელს, მნიშვნელოვანს. ზოგჯერ იწყებს ისეთ რამესაც, რისი შესრულებაც, ერთი შეხედვით, არ ძალუძს, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ სწორედ ეს ყოფილა მისი საქმე, მისი ხვედრი, მისია, ვალი.

მისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად კვლავაც რჩება ქართველობის სამსახური და სამშობ-

ფოტოზე ფრიდონ ხალვაში, გურამ ფანჯიკიძე, დალი ფანჯიკიძე

გიდის შუაგულში ახალმობარშული ობ-შვივარადენილი, ბარკლებაშვერილი ინდაური. იქვე მთვარესავით სახესე ჭადს თვალით ვჭამ. გვერდით კი, – ტკეჩით მოქსოვილ ათლიტრიანში ალბათ იმერული ცოლიკაურია.

მახსოვს, ოდესღაც, სად, არ ვიცი, ჟურნალ „დროშა“-ს გარეკანზე დანახული ნახატი, – მწყემსი ბიჭი კამეჩებს მიდენის, – მომეწონა. ახლა კი, აქ, გადაკრულში რომ ვართ, გურამი იხსენებს და მპირდება: ის ნახატი, ორიგინალი... ვიცი სადააო. შენი იქნებაო. მოჟამული დროჟამი თუმც ყველაფერს ანგრევდა, ათი წლის შემდეგ, ბათუმში, გურამი მართლაც შინ მომიტანს **დინარა ნოდის** იმ ნახატს. ხომ დაგპირდიო.

ისეთი ცარიელი, ფუხარა დღე იყო. „კუხნაში“ ნასოფლარ კარდალს ქენერებზე ფხალლობის გადმონალაფები ეცხო მხოლოდ. და სწორედ ამ დროს, გურამი ფანჯიკიძე, უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მოპლაკუნობს კიბეზე.

კართან მივიჭერი. შემომეფართქალა. აიო, ეს დაპირებული მოგიტანეო. კედლის ერთ ცარიელ ალაგს მიაზომბა, აქ მოუხდებაო. გამეხარდა, გამიკვირდა. გამიკვირდა ის არმოგონილი შინაურულობა და არა მოგონილი ის სიკიბრე, რამაც ისე გამოაბჟუტურა სოციალისტური მაშინდელიობა, ხოლო დასაცოდავებული საქართველოს ახლანდელიობას, ახლა, რაც ჭირს, ამაზე ვილას შევჩივლოთ, – პოლიტიურო მკედარია.

შინ მარტვაი ვარ. თბილისიდან მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მესტუმრა. რანდა ექნა? ჰოდა, სოფელეობამ მიხსნა. ჩლეჩილა ყველი და ჭადის გაფიცებული ნატეხი, ცოტა ღვინოც მოვაჭყატუნე.

* * *

დღეს კი, ახლა სულ სხვა დროა, ახალფეხადგმული დამოუკიდებლობაა, მარა თლათ ფეხადგმული ვერაა. მზია და ლევანი გვაგანმშებენ. მთავარი სტუმარი გურამია ფანჯიკიძე.

სარფის კარის გახსნაზე სადღეგრძელო ვთქვით. ართვინის მერი, **ყადირ ხალვაში**, და მასთან ჩვენი სტუმარობისაც მოვიგონე.

– აუ, როგორ მინდა, ბიჭო, ერთხელ ვნახო იქაურობა! – ჩაისევდიანა გურამმა.

– მერე? ნავიდეო! მოვსინჯავ-მეთქი. ხომ ჯერ იქნებით აქეთ? – ვკითხე. ვფიქრობ. **ასლან აბაშიძე**, ფანჯიკიძეს თუ ვუხსენებ, ალბათ, წამოხმარებაზე უარს არ გვეტყვის, **სერვეთი ვერძაძე** ჩემია. მანქანა იცის, მანქანა ჰყავს, კინოკამერაც აქვს. გაღმურ შეხვედრა-საუბრებს გადაიღებს, რაც, მერე, მჯერა, საინტერესო და იქნებ გამოსადეგიც გახდება (წინდანი გეტყვი: მთელი ორსაათიანი ჩანაწერ-ჩანახატი მაშინდელი თურქეთული შეხვედრებისა გაუხსნელ-გაუმჟღავნებელი დღესაც სერვეთთან ინახება. ვერ დავანტერესე ჩვენი ვერცერთი ტელევიზია. არადა, ამისთანა ნამდვილი ნედლი სინამდვილე ჩვენი ეროვნული აწენილდანიწილობისა სხვა სადაა).

აფუსხენი ასლანს, ასე და ასე-მეთქი. ფანჯიკიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეაო, ჩემთან ლაპარაკისას, გვერდით, ვატყობ, ვილაცას ეუბნება ყურმილმოუშორებლად. ორ კაცზე გააკეთე, ხვალ, დილას მოვა ბატონი ხალვაშიო. რაღაცა კაის რომ გვიფეშქაშებდა, ნადღი იყო.

ჰოდა სადამოს **ლევან თურმანიძისას**, დოქტორ ტრიანდაფილიდის ყოფილ სახლში, შევიკრიბენით. **მზია ხალვაშის** ნახატებს ინტერესით და პატივით მოავლო გურამმა თვალი და თქვა, ესაო, ყველგან გამოსაჩენი ნამუშევრები ყოფილაო. გავაკეთოთ გამოფენა თბილისშიცო. მერე, ერთ ნახატთან საგანგებოდ შეჩერდა. ჩემი ეზოს ფიჭვები ეხატა. სოფელი, სახლი, სიტყვალე, სიმეჩხრე. ცა ფიჭვების წინწვიანი თითებით ჩახუტებული; იმ წინწვებში ჩაცრილი სილურჯე ლაჟვარდისა. სიმყუდროვე, სევდა, სინათლე და საოცარი სიხარულიც იმ სევდით მოყუდებული. გურამ ფანჯიკიძე უცებ მოშორდა ნახატს, მონახა ოთახში მზია და უხმოდ, უსიტყვოდ მოეხვია, არაო, ეს ნახატები თბილისს ვაჩვენოთ უნდაო, გაიმეორა.

სუფრა ნაუცბათევი გვეგემრიელა. შუქი ჩვეულებრივ გამოირთო (93 წელია!), ნავთის ლამპა ჩვეულებრივ აინთო. ღვინომ, მერისულმა ჩხავერ-

მა, გურამს ლამპის შუშა მოათხოვია. მონახა სუფთა მეორე შუშა. დაიყენა შუშა წვერით ხელის გულზე, პირთამდე წააპიპინა და წამოდგა. მზიან ლევანის ოჯახობაც ჩემს ოჯახად თქვა და ყველანი ზეაღმავლობის ზავით აგვანია. აი, ამ ჩხავრის მშობელ მიწას ვლოცავო, თქვა. ნამეტანი ესავსა ლამპის შუშა, ტუჩით მოსვრიბა ცოტაზე და განაგრძო. ჰოდა, ამ ჩხავრის მიწის სახელში ნაგულისხმევ მთლიან მიწას, ქართულს, ვადღეგრძელებო.

ამ დროს გურამის წინ, სუფრაზე, ლევანმა საგანგებოდ რაღაც კონვერტი დადო, მეორეც ისეთივე ჩემ წინ გაჩნდა. გურამმა პირი ოდნავ გაუხსნა კონვერტს და მაშინვე ჯიბისკენ გააქანა, ამისთანა ძვირფას წერილს ჩუმად ნავიკითხავო, (კონვერტებში, როგორც მერე გავიგეთ, 300-300 დოლარი იდო, საჩუქარი სამგზავროდ).

08.08.08.

მძიმე და გულისდამჩაგვრელია იმის შეგნება, რომ მონინაღმდეგეს (ამჯერად რუსს) კიდევ ერთხელ თავი დავამარცხებინეთ.

მძიმე და გულისდამჩაგვრელია, 6 აგვისტომდე რაც იყო, ისიც რომ სანატრელი გავგიხდა. ვინ დავგმართა, ვინ ნაგვკიდა ესა?! მოიკითხავენ, გაარჩევენ. მერე რაღაც გვიშველის მიზეზის ჩხრეკა. სამშობლო კენესის. სახლები იწვის. ქალბაღანა ტირის. სისხლი იქცევა.

და მაინც, ამ ყიამეთში, კინაღამ მთელი მსოფლიოს ამ მხარდაჭერა-თანადგომას თუ ჭკვიანურად გამოვიყენებთ, შეიძლება დამარცხება დამარჯვებად ვაქციოთ.

ერთი აუცილებელი და გულსატკეპნიც გავამჟღავნოთ: ჩვენი სახელმწიფოს წინაკაცები (იქნებ მეჩვენება) სრულიად უგულუბელყოფენ უფროსი თაობის გამოცდილებას, არ აქვთ მოთხოვნილება მოუსმინონ ხანდახან მრავალჭირგამოვლილ პატრიოტთა რჩევა-დარიგებებს. რაც, ვფიქრობ, მიუტევებელია.

მიწა წყენას გავს, მუხა – გოდებას ცაში ყორანი ქრის და ქორია? ეჰ, რა ხანია, – ნუხან ტოტები, – გამარჯვების ქარს არ უქროლია.

05.09.09

ამ წუთას ბელორუსეთში კალათბურთში ბელარუს-საქართველოს ნაკრებების შეჯიბრს ვუყურებ. ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა. დღესვე, თბილისში, იტალიის ნაკრებს, მსოფლიო ჩემპიონს ფეხბურთში, ვხვდებით. ვნახოთ. ბურთი მრგვალია. მაგრამ...


მწარეა არა ნაგება, არამედ მონინაღმდეგის მაგიერ შენ რომ შეიგდებ ბურთს საკუთარ კარში. ასეთი დაიმართა იმ დღეს **კახი კალაძემ**. ჩვენი ნაკრების კაპიტანმა, თავით, მერე ფეხითაც, თავის კარში შეისროლა ორჯერ ბურთი. რას ჰგავს ეს?

ეს რუსეთ-საქართველოს შარშანდელ ომს მაგონებს. რით და რატომ? – თავად იანგარიშე.

იცი რანდა გითხრანა?.. (ნუ გამამტყუნებ, სიტყვის ჩვენებურა მიღრეკ-მოღრეკა თუ დამენწყება).

სერვეთმა თავისი „ჟიგული“ მორთო-მოაკაპინა. რაც სამოგზავრო სათადარიგოები მომაცრია, სულ მისებურა ჩააბარგებარხანა. გურამმა მარტო ერთი პორტფელი გამოაჩინა. იქ რაები ეწყო არვინ იცოდა.

ხალათი, ანუ პერანგი, საყელოჩახსნილი უყვარდა. აგვისტოს მიწურული ინრიტებოდა. ცხელოდა, სარფელები და მისი „ტამოყნელები“ მოგვაცვიფდნენ. ვილაცამ დუქნიდან, საიდანაც შეპინკინებული თევზის ნერწყვომომგვრელი სურნელი გამოქროდა, გამომძახა, აქეთ, ფრიდონ, შემოიხედეთო. ვიცი ეს რასაც ნიშნავდა. გურამმაც ბაგე მოილოკა, მაგრამ ამ დროს წინ ჭიშკარი გავგიღეს და სარეგისტრაციო სარკმელ-ფორტოჩისკენ საბუთების მიგვიწვიეს. მერე, გაღმა, თურქმაც კაიხანს გვაყურყუტა. იმათი მხრიდან დღევანდლისნაირი შარაგზა ჯერ სარფამდე მოღწეული არც იყო, მაგრამ ისეთი სამუშაოები გაეჩაღებინათ, გურამი მჯინქვავს, გახედე რას ბუღარობენო. გაზომილ-გახაზულობით თუ მიხვეტ-მოხვეტილობებით კარქა მიხვდებოდი რა ყოვლისგამაპობელი წყვილი შარა თეთრ სტრიქონად მოარღვევდა ლაზურ ღელეღურდნებს და ზღვისპირითებს, რათა სტამბულიდან თურქულ სარფამდე, მერე,



ლოსათვის მაქსიმალური ხელშეწყობის სტატუსის მოპოვება.

სამშობლოზე ზრუნვის გარეშე ერთი დღე არ დაულამებია.

საქართველო არის იმისი მაცოცხლებელი წყარო, იმედი და არსებობის გამართლება.

ამქვეყნად მოვიდა იმისათვის, რათა თავისი ადგილი დაეკავებინა, დამდგარიყო იქ, სადაც მის გარდა ვერავინ დადგებოდა, ეკეთებინა ის, რასაც სხვა ვერ გააკეთებდა, ეთქვა ის, რასაც სხვა ვერ იტყოდა.

იცის, რა უნდა და რას აკეთებს. ამიტომაც არ კარგავს შინაგანი ძალის შეგრძნებას, შემოქმედებით აქტივობას, პოეტური ექსტაზის მოტივებს. ყოველთვის ახერხებს იყოს განსხვავებული, ახალი და სტერეოტიპებისგან თავისუფალი.

მისთვის პოეზია არ არის მხოლოდ წყობილი სიტყვით გადმოცემული ემოცია, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ყოფიერების შინაარსი, არსებობის ფორმა, ცხოვრების აზრი და მიზანი, რომელიც, რა თქმა უნდა, სამშობლოს უკავშირდება.

მოვალეობის შეგნება და მაღალი პასუხისმგებლობა გამოარჩევს ფრიდონ ხალვაშის სიტყვას და საქმეს.

მას აქვს უნარი ეროვნული ენერგია შეკრიბოს თავის თავში და თვით ყველაზე ძლიერი ემოციაც კი რაციოდ, სამომავლოდ გასათვალისწინებელ აზრად ჩამოაყალიბოს.

როგორც ჩანს, დაბადებიდან მოსდგამს ზომიერების გასაოცარი შეგრძნება, რომელსაც ყოველთვის ამჟღავნებს, როცა საჭირო ხდება ოქროს შუალედის დაცვა თვითშეფასებასა და ობიექტურ რეალობას შორის.



თავისი თავის კარგად მცნობელი კაცია როგორც პოეტური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ალბათ ამანაც შესძინა ხასიათის გამოკვეთილი თვისება – სწრაფვა სიახლეებისა და მოულოდნელობებისაკენ, რისი თვალსაჩინო შედეგიც არის შემოქმედებითი აქტივობის ბედნიერი გრადაციები პოეზიიდან პროზაში, პროზიდან – მეშუარეობაში, მეშუარეობიდან – პოეზიაში („ომრი“).

მის პოეტურ ქვეყანაში თანაარსებობს ორი სანყისი – ლირიკული და ორატორული.

ორატორული სანყისის გამოკვეთა სულაც არ არღვევს პოეტურობის საზღვრებს, პირიქით, თავისებურ ხიბლსაც კი მატებს პუბლიცისტურ კრემენდოს. მას ჰყავს ადრესატი, ჰყავს მსმენელი და პოეტური აზრის სწორად გამგები. ფრიდონ ხალვაშის პოეზიის ლირიკული ნაკადი წლების განმავლობაში იცვლება, ივსება და მრავალფეროვნდება, თუმცა უცვლელ რჩება მთავარი – გამოხატვის უშუალოება, სინარფელე და სილამაზე, ანუ ის, რაც მაღალი პოეტური კულტურის მაჩვენებლად მიიჩნეოდა ყველგან და ყველა დროში.

ფრიდონ ხალვაშის სახეობრივი პოეზიის მიმდევარია. იგი ხატავს, ძერწავს, აქანდაკებს ფერწერულ და პლასტიკურ სახეებს, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. პოეტური ნათელხილვის შედეგად შექმნილი ეს სახეები ჩვენში ზადებენ ისეთ ემოციას, რომლის ახსნა ადვილი არ არის, მაგრამ საგრძნობია, საცნობია, გულმისაგავლია.

ჩვენზე გადავლით, იდინოს და იდინოს მთელმა ევრაზიამ. ყოველ მთავორაკს საგვირაბე საბურღავებით შეხობოლებულები უკვე შიგნავდნენ. ისმოდა ბრანაბრუზი და მიმოფენილიყო მტვერბულები იქაურობა.

ნახე, ნახე, რა ქვალოდები მოუზიდჩაუგორებით ზღვის სამაგრებისთვისო, – მაჩვენებს ფანჯიკიძე.

– ჩვენი ნანგრევებით ესენი იშენებენ.

რამდენჯერ ვიყავი თურქთ მხარეში, ვინ დათვლის, მაგრამ ახლა, რადგან გურამს ვახლდი, ახალად მივდიოდი თითქოს. მიხდოდა იქაური ჩვენებურები, როგორც უფრო ჩემიანები, მისთვის უფრო შიგნიდან გამეცნო. ვატყობდი, თავადაც ალბათ ამიტომ ჩემთან ერთად მოისურვა გამგზავრება. (მე და სერვეთი ამ მგზავრობას ფანჯიკურს ვეძახით). მე ხომ აქეთურ-იქითურში მარტო ნიგნ-გაზეთური ენაქავილა ატეხილობით არ მიბლაცულია. ერთგვარად ის უბედურნახევიარი სამყარო ჩემი ყოფაცხოვრებაცაა და ჩემი ბედობალიც. იცის გურამმა ეს.

17.09.09

მირეკავს გოგი გიგაური, პოეტი, მეგობარი, თბილისიდან. „ასავალდასავალში“ ვილაც ჩემი სეხნია წერსო, ფრიდონ ხალვაშში, ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლის სხვაგან გადატანას მოითხოვსო. არ მომეწონა. კაცს ეგონება, შენ ილიას ძეგლის აღება მოგინდომებიაო.

და, რალაცა ისეთმა წყენ-სიმწარემ მიმომითუთქა გულ-ტანსხეული, გალახულმა თავი დავხარე. ესე იგი, მე, ფრიდონ ხალვაშში, ჩემი ქალაქიდან, რომლის ქართული სიცოცხლის გადარჩენას ილიამ მთელი სიცოცხლე მოახარჯა, მისი ძეგლის აღებას ვაპირებ?! ასეთის, არა თქმას, გაფიქრებასაც კი, მგონი, უბრალო მარტო ჩემდამი სიძულვილი არ ეყოფოდა, ეტყობა რალაცა უფრო მასშტაბურ სიძულვილს ფლობს ამის დამწერი.

ორმოცდაათი წლის წინათ, აჭარის გადარჩენაზე ფიქრისას ილიასადმი ლექსად მითქვამს:

იმ ერთადერთ გზას ხედავდა იგი, რომ მოყვები და ვერვინ მაშინებს, ჩვენ მას ვეძახით სამშობლოს სინდისს,

სულს და ქვეყანას ვინც აკავშირებს. და თუ მადლობა ეკუთვნის კაცს, ჩემი გულისა და ჩემი კუთხის, იგი ეკუთვნის ვინც სულში დგას, იგი ილიას უწინ ეკუთვნის.

მე ჩემი ხალხის და ჩემი ენის სიყვარულისათვის რაც მიგემნია, „ომრი“ წაიკითხონ, კმარა!

ჩვენი ფანჯიკური მგზავრობა კი, იმ დღეს შებინდებულზე, პანია ქალაქ ფაცას მიუახლოვდა.

ქვებიან ჩოლო ნაპირებს ზღვა მოქნულ კალთებს აფენდა, ეთამაშებოდა, ჰავა მარილიან ბლონდებიდან გამოცრილ სიმსუბუქედ გვესუნთქებოდა. ფაცა სულ მგონია თურქულად თარგმნილი ქობულეთია. ზუსტად ვერ ვამბობ, მაგრამ იქ მცხოვრებთა კილამ ასი პროცენტი ჩურუგსუელია (ქობულეთელი). ნუ დამძრახავ, – ჩვენებურანა გიგიმეორონა: რავარცკი რუსი შამოვიდა, 1878-ში, იმ დღიდან რალჯა ორ-სამ თვეში, აჭარა სამუჰაჯიროთ მოსკვდაო, მეტყოდა ბაბაი. ჰემაც (თანაც) ზორისგან თვალეზი უშყირმიზდებოდა. ზეგნელები, ქედა-შვახეე-ჭვანელ-ხულველები, უმფო ზეგან ჩვენისთანა ალაგებისკენ გუუპირიეს თურმი: ბურსა-ინეგოლიზნიქ-იზმითებისკენ. ამათ კი, ქობულეთურაებმა, ზღვის ფელუკადან ფაცას ეტრაფებს თვალი რომ მოჰკრეს, თურმი აყვირდენ, ეს მემლექეცს გავს ჩვენსას, აქ გიგვიყვით, აქნა ვიმოსახლოთნაო? თავშესანახ სარჩოს ჰელბეთ, აქავრი მინა არ დიგვიშლისო და მიაყენებეს ფელუკაი ზღვისპირაის ფენქევებთან.

და, აი, ჩვენც, იქით, ბოლოში, ზღვასთან, წანახევიარკუნძულებულზე, ერთი ჩვენებური, გვარმივიწყებულ (მათებურა, – გვარგადამქართულებულ გადამქართულდა. – გადამაყინყდა.) გოგიტიძის პოტელს მივადექით. ცარიელობა ეტყობოდა ეზოკარს. ვთქვით, აქ გავათითოთ ამელამი. მარა ვინ გაცალა შით შესვლა. მოგვეყუდა ვილაც, კევრივით ბრტყელი, თავზე გრძელკოზირგებრიანი, შეახელა კაცი და ჩემი სახელიც ამოიძახა.

სულემანაი ვარ ინაიშვილი, ბატონებო, რავარ ველარ მიცანითო. საყვედურგარეული სიცლით მოგვეხ-

ვია თითოეულს ცალცალკე და თვა-
ლებამდე ამოგვიკოცნა პირსახეზე
ყველაფერი. ჩამოგვართვა ჩანთები.
ამფერ ჩემ ხისიმებს (ნათესავებს) რა-
ვია გეკადრებიან ჰოტელშიო. ჰაით, ახ-
ლავენ, ჩემთან, შინაო. ჩაყარა ჩანთები
ისევ სერვეტას მანქანაში, მოგვაბრუნა
ჩვენც უკან, დაგვიხობოლდა წინა საჯ-
დომზე და, ჰაითო, ხელმეორედ დაიძა-
ხა. თან ლავაშივით ხელი წინ გაბზიკა.
ვატყობდი, გამოვლილით კი არა, მის
მიერ ამორჩეული სხვა ქუჩით მივყ-
ავდით. ნიფლის ტეზივით ხოშორი მხ-
არი გარეთ გადაეყო, გაღმა-გამოღმა
მიმავალ-მომავალებს ლაფერა ხელის
ქნევით თან ესაღმებოდა, თან ეპაიჯე-
ბოდა, – ჩვენებურები მიმყავს და ჩემ-
თან ამოითო.

მეც, თითქოს კი მეცნო, მარა,
მაინც თლათ არ მეცნო. თუმცა, როცა
მითხრა, შენაო ჩემი ლექსი რომ გიმის-
ტორე და თიფლისის გაზეთში დამიბე-
ჭდეთო... იმ წუთშივე ყოლისფერი მომა-
გონდა.

ურუმარად შესწავლილი ქართული
ანბანით თავისი გულის ოხშივარი
ამოეთქვა და ქალაღზე, ოღრო-
ჩოღროდ, მაგრამ საგულდაგულო
სიფაქიზით აეთესპა (კრიალოსანი).
ლექსი ვილაცისთვის, ფაცელისთვის
გამოეთანებია. ესაო აჭარის მწერლებ-
ში გადაეცი ქვეიან მეკალმეს, ყურის
მთხოვებელსო. ლექსის სათაური
მახსოვს ახლაც – „საქართველოს სუ-
ლის დიდ ბაბას, ილია მეორეს“.

ალაგ-ალაგ იმნაირი სიტყვათ სი-
წრფელ-სიმდულარე მომეცხუნებოდა,
დანერილი სიტყვას კი არა ანბანსაც
მოსაგლეჯად ან მისანვე-მოსანვეად
ვერ ვიმეტებდი. რალაცები ქენერ-ქენ-
ერ მაინც ვუნამლე, მივაქან-მოვაქა-
ნე და რაცხაფრათაც ჩამეზარდ-
ჩამიგორგვალდა, ისეთი, ჩაუტანე
თამაზ ნივნივაძეს, „ლიტერატუ-
რულ საქართველოში“. ჩაიკითხა და
მითხრა, მოდი ამას პატარა წაუნერე,
სადაურია ავტორი, ვინ მოგიტანა, ან
რამე ამნაირი და ზეგის ნომრისთვის
ახლავე გადაცემო. დაიბეჭდა, კი. ის
ნომერი გაზეთისა, ჩანს, სულეიმან
ფაცელის ხელშიც მოხვედრილა. ქუჩა
რომ გათავდა და დუბერფერდობის
მიღრეკილ-მოღრეკილ შეღმართს ნელ-

ნელა ავუყევით, მხრები ოდნავ ჩვენ-
კენ მოაბრუნა, პირზეც, ალბათ არვის
გაიგონოსო, გვერდიდან ხელი აიფარა
და ჩავვიჩურჩულა, – ამის მემრე, (ე.
ი. ლექსის გამოქვეყნების შემდეგ)
თბილისს ჩვეელი, **ილია მეორე** – წინ-
დაც ვნახევი, ჰემაც იქავე მევენათლე
ქრისტიანულათო. ჰამა აქავრო-ბაში
არ ვამბობო. გედემეკიდებიან, ოჯალ-
საც გიმილანძღვენ და... რა ვქნა აბა!..

თან, ბოლოს, იმ თავისი ბაბალაუცა
თოთო ლექსიდან რამდენიმე სტრიქო-
ნი ძვილძვილაი მოგვახარა:

**საქართველოს ცოცხალ სულის
დიდებაი ხარ,
მემლექეთის ქითაბი ხარ, ამბავი ხარ.
შორელი ვარ, მარა მაიც ვარ
ახლობელი,
მალლობლო, ჩვენიც შენ ხომ ხარ
მშობელი.
ჩვენებული ჩემში ვინმემ მოკლა
ვითამ?
მოსლა მინდა, შენ მუხლებთან
ჩოქვა მინდა.**

უკანა საჯდომიდან, გურამ ფანჯიკ-
იძე, მგონი ოდნავ, უსიტყვოდ, ძლივს
წამოიწია და თავმობრუნებულ სულეი-
მანს ლოყაზე ემთხვია.


ეზოში როგორც კი შევედით, სულეი-
მანი შემობრუნდა, ისევ ისე, ბაგეებზე
ხელისზურგმიფარებული გვეტყვის,
– შინ, ჩოლულ-ჩოჯულთან (ქალ-ბა-
ლანასთან) ჯერ არ გამამუღავნოთ, მეი-
ნათლაო... მაგას, მემრენა მენა მუუვა-
რონაო.

შინ შევლისას, წინაკართან, მუსლიმ-
ურა, ფეხგახდაა. შეწუნდა გურამი. და-
ლუნვა უჭირდა მგონი.

– ბიჭო, ეს ფეხი გახდილი უფრო
ბინძური არაა?! ჩაიჩივლა, ჩაიჩოქა და
ორივე ტუფლი მუყაითად წაიძრო. იქვე
ჩლარტები შენიშნა, თითები ძლივს
შეეტია, მაგრამ წამოიქირდილა მაინც
და ჩლარტა-ჩლურტით შეგეყვა ოთახ-
ში.

– მუსაფირები, მუსაფირები! (სტუმ-
რები, სტუმრები) – გვესმოდა ეზოდან
ბავშვების ხმები.

შემოვიდა გოგონა და ხელებზე რა-
ლაცნაირი წყალსუნამოიანი სითხე
შეგვაფრქვია. გურამმა დაისუნა, არ
მოეწონა, წყალი მოქებნა, გადავიბანო.
იქით ონკანი ჩანდა, მაგრამ წყალი არ



იგი წარმატებით იყენებს ქარ-
თული ლექსის სხვადასხვა სახე-
ობებსა თუ კომბინაციებს, სალიტ-
ერატურო ენის ტრადიციულ
სტრუქტურასაც სრულყოფილად
ფლობს და არც სიტყვის ასოცი-
აციური ველი აქვს შეზღუდული,
მაგრამ მაძიებელმა ბუნებამ თა-
ვისი გაიტანა და მოითხოვა რალაც
ახალი, განსხვავებული, საკუთარი
არსის უშუალოდ და ორიგინალუ-
რად გამომხატველი ფორმის შე-
ქმნა.

ასე გაჩნდა სამყურები – ფრი-
დონ ხალვაშის ექსკლუზიური მი-
გნება, ახალი ქართული სალექსო
ნაირსახეობა, რომელსაც თავისუ-
ფლად შეგვიძლია ვწოდოთ „აჭა-
რული ტერცეტები“, რადგან სი-
ტყვიერ და ინტონაციურ მასალად
უმთავრესად აჭარულ დიალექტს,
ამ უცნაურად მყდერ და კეთილ-
სასიმენ კილოკავს იყენებს.

მხატვრის ფიზიკური, დაკვირვე-
ბული თვალი იგრძნობა სამყურებ-
ში. ეს არის აჭარული კოლორიტით
დანერილი ბგერითი პეიზაჟები,
სადაც აზრიც კი რალაც გრძნეული
ტონალობით არის შეფერული.

ეს ტონალობა წინამდებარე კრე-
ბულს თავიდან ბოლომდე გასდევს
და ჩვენს საყვარელ პოეტს წარ-
მოგვიდგენს ისეთს, როგორც ჯერ
არ გვინახავს და როგორც გვინ-
დოდა გვენახა – მრავალფეროვანი,
მრავალხმოვანი, მრავალწახანაგო-
ვანი, ჭეშმარიტად ლირსსაცნობი
შემოქმედი, რომელიც დღეის-
დღის მატანეს წერს ტკივილით,
განცდით, მომავლის თვალთახედ-
ვით.

ივანე აშირხანაშვილი

(ფრიდონ ხალვაშის უკანასკნელი
პოეტური კრებულის – „ბენდის“
ინტელექტი, 2010) ნინასიტყვაობა)



გამოდინდა. სერვეთი ეცა კუთხეში ჩამწკრივებულ ჭურჭლებს. ერთი ესავსა, აილო, მოხსნა საცობ-სახურავის-ნაირი და მიიწვია გურამი, დაგისხამო. შეუშვირა, მაგრამ სულმთლათ აულო-პიანდა გურამს ხელები. რა სითხეს ათქაშუნებდა სერვეთი ვერავინ ავხსენით. ამასობაში თავად სულეიმანი გამოჩნდა. შეხედა გურამს, შებრუნდა, მოიტანა ნამდვილი წყალი, გადაავლო ხელებზე და სახოციც უმაღლ გაუნოდა. რაღაცა ძალიან დაირცხვინასავით თავი, თუმცა, რატომღაც, არ გაგვიმხილა რა წყალი იყო წელანდელი სითხე. წყალი, სადენ მიღში, გვიან მუვაო. მივიდა მერე, ტახტზე დაფენილი ფოსტი (სალოცავად სახმარი თხის ტყავი) აილო, – ახშანამაზის ვახტია (სალამოს ლოცვის დროს), დედაბერი ჩემი ილოცავსო და გააფრიალა მეორე ოთახისკენ. მალე შემობრუნდა, მეო, გაპარ-ჭკლა ხელები, რა ვქნა, თავიდანაც ვერ ვიმუხლებოდი ამ ნამაზებიზაო. ხამეში უმფო კი, შინ – ვერაო.

ვახშმად მართლაც, როგორც იტყვიან, ზულბიეთები მოგვართვეს. მომცრო ბოთლით თურქული „რაკიც“ (რახი) გამოჩნდა.

მეორე დილაზე სტამბულისკენ გავუდექით. სანამ გორაკს მივეფარეთ, სულეიმანი თავის ეზოდან ვეება ლავაშა ხელს მაღლა-მაღლა გვიქნევდა და გვიქნევდა.

– რა ეშველებათ ამ შენებურ ჩვენებურებს, თუ იცი?.. – ოდნავ ნალღლიანად, არ მობრუნებულა, ისე მეკითხება, ფანჯიკიძე.

თითქოს მესიამოვნა ეს შეკითხვა. მესიამოვნა მისგან, დიდი აზრების კაცისგან, თვარა სულ ამგვარი კითხვების კოლოებით არ ვარ დაკბენილი? მაგი რომ ვიცოდე, რა გვეშველება, ან რით ეშველებათ იქაურ ჩვენებურებს, რა ჯობს მაგას.

ჩემი დუმილი ისევ თავად გაფრინა. სანახევროდ შემობრუნდა (ის წინ, სერვეთის გვერდით, იჯდა).

– ჯერ ჩვენებურ ჩვენებურებს რა ეშველებათ, ეს ვთქვათო რატომ არ მეკითხები?! – მეუბნება. – ვერც ამაზე ვთქვი ვერაფერი. იმიტომ, რომ კითხვაში ცოტა პასუხიც იკითხებოდა.

ძალიან მიყვარდა გურამ ფანჯიკიძის

მოსმენა. რომელი დარგი ცხოვრებისა უნდა ხსენებულიყო, რომ მას ამომწურავი, მეცნიერულად, უწვრილმანესად გაანალიზებული, აწონილი პასუხი არ ჰქონოდა. ხშირად, უბრალოდ, ინჟინერ-მეტალისტი (მელიტონე) ვარო, იტყოდა. ერთხელ შევეკალამბურე, – ბატონო გურამ, მელიტონე კი არა, თქვენ მიმდონე ინჟინერი ხართ, ზოგიერთ ასტროფიზიკოსთან შეფარდებით ფარდობითობის თეორიასაც უკეთ გვაგებინებ-მეთქი. სპორტის, განსაკუთრებით ფეხბურთის ხომ მართლა თავშენიერული ქომაგი, ტრფიალი და გამომდგარი ბაშუსტა იყო.

ბენზემ, ანუ ბათუმის ნავთობქარბანამ პირდაპირ აგვიმყარა ბათუმი (საბჭოეთის ბოლოჟამნობა), გავბედეთ და ამ აუტანლობაზე ხმა ამოვიღეთ. ზოგიერთმა ბათუმელმა, ეგებო შენ ეს ჩვენი სიხლეითი (გასაჭირი) გაახმოვანო ფართოდო, მასმენილა. მე ამას ვერ შევძლებდი. შევჩვივე გურამ ფანჯიკიძეს. თბილისში, მწერალთა კავშირის კაბინეტში იჯდა. მიფიქრია მეც მაგაზეო, მითხრა. და, მაშინდელ „კომუნისტში“ მალე მთელი ორი გვერდი ეჭირა, მაღალინჟინერულ-ტექნიკური პროფესიულობით განჭვრეტილი და უფაქიზესი მწერლური ემოციებით შეკაზმულ, გამანადგურებელ წერილს, რასაც გურამ ფანჯიკიძე აწერდა ხელს. შეიშუმუნა მთელი ის საბჭოთა ელიტა. მაგრამ, მალე, ჩვენმა უმნიფარმა, ბალნურ ხოხოლასნაირმა დამოუკიდებლობამ ისე დაანგრია „ბენზე“ და ისე გაყიდა ჯართად, ჩვენ, აქაურებს, რკინის ნაფხეკიც კი არ გვიანახავს. მახსოვს, ამბობდნენ, ბენზე ასლანმა დაანგრია და ჯართად თურქებს მიჰყიდა თლათო. არ იკადრებდა ამას ასლანი-მეთქი, – მიპასუხნია. აბა, ასლანის უნებართვოდ ბენზე რკინებზე ხელის ნაკარებას ვინ გაბედავდაო, მომიხაზავდნენ.

ყოფილ ბენზეს მიდამოებში, მინის სიღრმეებში, წლების მანძილზე, ჩანურულ-ჩაბუდებულ-ჩაჩათლახებულ იმდენი ნავთობწუმპეა, საშინელი სუნი ახლაც შეგანუხებს, თანაც იმ ე. წ. წყეულ წუნუნებიან წარსულსაც გაგახსენებს. ჰოდა, ახლანდელით გადილხორებულს რაღაცებს კიდო მოგანატრებს.

– ო, რა ქვეყანა ამოიდეს იღლიაში, ბიჭო!.. – ამოიგვენუა გურამმა, სადღაც სინოპის მახლობელ სანაპიროებთან როცა მიფშუკუნებდა ჩვენი „ნოლსედ-მოი“. მომცრო ქალაქუნებიც კი აჭექ-ჭექულ-აციცინათელივით იყვნენ, ამის მნახველთ ჩვენი მაშინდელი ჩაბ-უუკულ-ჩანყვდიადებული მშობელი ქუჩების გახსენება გულს უფრო გვიჭიგჭკავდა.

ამფერობაში სულის მოსათქმელად მწერლობაზე, მის საცოდაობაზე ლაპარაკს შემოვიშველიებდით. გვენადა გვეცადა სტამბულში თურქ მწერლებთან შეხვედრა-საუბარი, რამენაირი კავშირების თუ ურთიერთ თარგმნის შესაძლებლობების მოსინჯვებით სამომავლოდ. **აზიზ ნესინთან** შარშან შენახვედრი ვიყავი, მისი ტელეფონის ნომერიც ვიცოდი. ხოლო, ჩვენი, ქართული მწერლობა რომ აღარავის ახსოვდა საქართველოში, ესეც მოვიჩივლ-მოვიტირეთ (დღესაც ეგრე არაა?).

ქალბატონი **დალი კოკაია-ფანჯიკიძე** (უნიჭიერესი და უსპეტაკესი მეუღლე გურამ ფანჯიკიძისა) რატომ ვერ მოვიპატიჟეთ ამ ჩვენს მოგზაურობაში-მეთქი, დადანაშაულებულივით ვიკითხე, სხვათაშორის. ამისთვის სად ეცალა დალისო, – გავიგონე. ალბათ შემოქმედება, ოჯახი იგულისხმებოდა? იმ წუთას კილამ ოცდაათი წლის წინანდელი (1970, „ხომლი“-ს მე-4-5 ნიგნი) **მაქს ფრიშის** დალისეული თარგმანი გავიხსენე, მწყურვალვით რომ


დავაცხრი მაშინ, მაგარია-მეთქი. ფრიშისეული სტილი და მისეული თხრობა რა მოხვენილი ქართულითაა მოთიკრული, აი, ამან მომხიბლა-მეთქი.

– იჩაგრება, ბიჭო, ჩემი იქ ყოფნის გამო... (ალბათ კავშირის თავმჯდომარეობა) მეგრელები გაუნაწყენდნენ ცოტა, ფანჯიკიძეს დაინერა და... რა ვქნა, შვილები რა გვარისაც არიან, მეც ისა ვარო.

ზაფხულის დღე ილევა. ზღვა ხან გვიახლოვდება, ხან გვიშორავდება. ალაგ-ალაგ, კორტოხზე, ოდასახლი, ეზო-ბელელ-ნალიითაც კი, გადმოგვდგომია. დაგიფიცებ-მეთქი, ვთქვით, რომ დავიძახოთ ქართულა, ქალბალები იმ ოდიდან აქ ჩამოცვივდებიან.

უშველებელი, უმშვენიერესი ისტაბული შორიდანვე გხიბლავს. ქალაქის თავზე მიმოლენკილად გაბიზინებულ მოშავო ნისლებს საკვამურებიდან აკლანკილ-აზოზინებული ფუტები კიდეე უფრო ასქელებს და აბინდბუნდბს. ამიტომ გეგონება, ზაფხულის მზე იქ ოდნავ უფერულია, მაგრამ ჰორიზონტებში, ალაგ-ალაგ, მაინც ეშხიანად კაშკაშებენ, კოსმოსურ რაკეტებივით ბევრად სწორფერდება ზეაზიდული მინარეთები. სადღაც სივრცეში აიასოფიის ოქროსფერი გუმბათიც გამონათდა. გურამმა იცნო, მგონი პირჯვარიც გადაინერა. ეგაო მართლმადიდებელთა დედოეკლესიააო.

დასასრული შემდეგ ნომერში



„ინტელექტი“ გთავაზობთ

სელესტენ ფრენე

„პედაგოგიური ინვარიანტები“

XX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი პედაგოგი **სელესტენ ფრენე** (1896-1966) ავტორია ორიგინალური პედაგოგიკური სისტემისა. მისი შეხედულებები შორს დგას ფსევდომეცნიერული, აბსტრაქტული, სპეკულაციური თეორიებისაგან.

სელესტენ ფრენეს ახალი სკოლის მეთოდიკამ აპრობაციის ოცდაათწლიანი გზა განვლო და ფართოდ გამოიყენება როგორც საფრანგეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. საკუთარ გამოცდილებასა და ახალ ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლების ფრენესეული სისტემა გმობს ავტორიტარულ პედაგოგიკას.

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, ნაშრომი საინტერესო უნდა იყოს ქართველი პედაგოგებისა და მშობლებისთვის.

რუსულიდან თარგმნეს **ციალა კალმანელიძემ** და **კახმეგ კუდავამ**.

Advertisement for 'INTELLIGENCE' magazine, featuring the text 'სელესტენ ფრენე' and 'პედაგოგიური ინვარიანტები'.



მანანა ამირეჯიბი

ორი ეტიუდი

ისევ და ისევ „სულიკო“

პოეზიაზე ლაპარაკი ისევ ძნელია, როგორც ლექსის თხრობით მოყოლა. დაზეპირებაც დიდად არ შევლის საქმეს, თუ არ ჩახვდი რა გრძნობამ დაანერინა პოეტს ლექსი. ეს იმიტომ, – უცხოთა ციტატებს არ მოვიყვან, მშობლიურ ფესვებს გავიხსენებ, რომ პოეზია „საღმრთო საღმრთოდ გასაგონია“ და „გრძელი სიტყვა (ღრმა აზრი. – მ. ა.) მოკლედ ითქმის“.

შალვა დადიანმა გვითხრა:

„პოეზია პატარაა, თუ ყოველდღიური ჭირ-ვარამის პროზით შეეხე, იგი ჩამოსჭენება“.

ჰო, „ფოთლები მიჰქრინ ქარდაქარ“, მაგრამ ეს რომ მხოლოდ ფოთლებსა და ქარს შეეხებოდეს და არა სანუკვარი ადამიანის გარეშე სიცოცხლის უაზრობას, ის ქარი იქნებოდა, რომლის გამოც, ხშირად უსიამოვნო წუხილს ვგრძნობთ-ხოლმე.

ეს კი ტარიელ ჭანტურიამ თქვა:

„რომელ ქართველსაც უნდა უთხრა „სულიკო“ არ გესმისო, ირონიული ღიმილით მოგაჩერდება...“

და ესეც:

„თუ პოეტებს იდუმალება ღირსებად ეთვლებათ, აკაკი თავისი „სულიკოთი“ ერთი ყველაზე „ბუნდოვანი პოეტი“.

ამ ლექსზე ბევრს აქვს სერიოზული მოსაზრება. შეჯიბრებასავით რომ არ გამოვივადეს, მათ არ შევეხები და არც ჩამოვთვლი – ისე გამოვთქვამ ჩემსას.

მოდით, ბოლო სტროფიდან დავიწყოთ:

**„ისევ გამეხსნა სიცოცხლე
დღემდე რომ მწარედ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი სადა ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!“**

როგორი ადამიანი იტყვის, ისევ გამეხსნა სიცოცხლე დღემდე რომ მწარედ კრულ იყო? მოვიშველიებ ერთ სამედიცინო ტერმინს, ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად რომ ვიყენებთ: როგორი და – დეპრესიაში მყოფი! ხოლო რატომ ვარდება ადამიანი ამ ნაცრისფერ, ნოტიო ღრუბელში, მგონი ძნელი მისახვედრი არ არის: იმ ძირითად და ყოვლადუცილებელ უნართა დაკარგვის გამო, რისგანაც შედგა და რატომაც დაერქვა მას **ადამიანი**. ნიაჲმაც ხომ უჩურჩულა, სამგან გაქვს ბინაო, და დღემდე დავეძებთ ამ „ბინებს“.

თვითონ აკაკიმ ბრძანა:

„... მაგრამ რადგან პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანაო“.

მე ეს გამოცანა ასე ამოვხსენი:

და, აი, ნიაჲსგან მინიშნებული ბინებიც:

1. ვარდი – სილამაზის და სიყვარულის სიმბოლო. ამის აღქმა და შეგრძნება რომ არ გვქონდეს, არც პრიმიტიული სულდგმულობა აგვცდებოდა. ხომ იპოვა, მამ რატომღა და რაღას დაეძებს?

2. ბულბული – შეთხზვის, შემოქმედების ღვთაებრივი ნიჭი, ურომლისოდაც სიცოცხლე ბლანტი ჭაობი იქნებოდა.

3. ვარსკვლავი – ოცნების დედა. არსებობს ვინმე, თავი რომ არ დავიწყებთ ვარსკვლავებით მოჭედულ ცაში ხეტილისას? უამისობას ხომ შავ მინაში წოლა სჯობია.

აქედან ერთ-ერთიც რომ დაკარგო, ხომ იქვეა სანიმუშო ერთგულებით ჩასაფრებული აპათია და „გულამოსკვნილი“ ტირილი?

ჰოდა, როგორც ჩანს, აკაკის ცხოვრებაშიც იყო პერიოდი, როცა თვლიდა, რომ არსებობას აზრი ეკარგებოდა და როგორ გადაიტანდა ამას პიროვნება, რომელსაც ერთი ნათელი წამი ერჩინა ბნელ, უგრძობელ საუკუნეს („რაც არ იწვის, არ ანათებს“)?

„სულიკო“ ორმოცდაათხუთმეტი წლის აკაკიმ დაწერა და ამით ყველაფერი თქვა, – აღარ გაეშიფრავ, ამ ასაკის ყოველი ადამიანისთვის ისედაც ნათელია. „ისევ გამეხსნა სიცოცხლეო“, ბრძანა და სწორედ ამის შემდეგ დაწერა მრავალი შედევერი და მათში განსაკუთრებულია პოემა „გამზრდელი“, რომელიც აკაკის ირაო-ფრაზის გამო ისე იოლად იკითხება, როგორც ათასწლეულებში გამოვლილი ხალხური სიტყვიერების ნიმუში, სინამდვილეში კი რთულზე ურთულესია და მსოფლიოში არსებულ პოემა-შედევერების რიგში – აუცილებლად ერთ-ერთი პირველი თავისი ფილოსოფიური არსით, ისევე, როგორც ლექსი „სულიკო“, რომლის მიმართაც ინტერესი დღემდე გაუნელებელია.

ორი დემონის დუელი
(ფიქრები „გამზრდელზე“)

„ეს ის ნაწარმოებია, რომელიც არა მხოლოდ აგვირგვინებს აკაკის შემოქმედებას, არამედ ახალ პერსპექტივებსაც ხსნის ქართული რეალიზმის მხატვრული ევოლუციის გზაზე“ – ასეთი სასიამოვნო ჭეშმარიტება თქვა ქართული კრიტიკის რაინდმა და ინტელექტუალმა გურამ ასათიანმა.

სწორედ ამით გათამამებულმა და ფრთაშესხმულმა გადაწყვიტე საკუთარი აზრი გამომეთქვა ამ ურთულეს პოემაზე.

უკვე შორს ვართ წინათ სკოლებში დანერგილი კომუნისტური ილუზიებისგან და ვიცით, რომ არ არსებობს ადამიანი მხოლოდ სიკეთე და არც მხოლოდ ბოროტება. ტატომაც იცოდა ლამის ორასი წლის წინ, როდესაც იდუმალ ხმას ჰკითხა, ანგელოზი ხარ ჩემში თუ დემონიო, რითაც დაადასტურა ორი საწყისის არსებობა, რომლებმაც ეს ეპითეტები ადამიანთან გამარჯვების თუ დამარცხების მიხედვით შეიძინეს.


პოემაში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრაზაა „რთულ ცხოვრების უარყოფი“, რომელიც ბათუს დასახასიათებლადაა გამოყენებული. „რთული ცხოვრება“ კარგის გვერდით არსებული ლალატი, ერთისგან მეორის შეურაცხყოფა და, არც თუ იშვიათად, სიცოცხლის ხელყოფაა. ეს იცის ბათუმ, რაც არ იცის, იმას ხომ ვერ უარყოფს!

ახალგაზრდა აფხაზი სხეულსულიანად მშვენიერ ნაზიბროლასთან ერთად ცასთან ახლოს დაბინავდა და ამით თავის სამყაროში შეამცირა დემონის მოქმედების არე. ეს არ ქნა უნებისყოფო საფარმა და ვნახოთ რა გამოვიდა აქედან.

იქ მიმსვლელს, მაშინაც კი, როცა ციცაბო გზას თუ ბილიკს მზე და მთვარე დაჰქაათქათებს, მარჯვე თვალი და მტკიცე გული სჭირდება, ცხენი-რაში კი – კლდიდან კლდეზე გადამფრენი. ამ ყველაფერს სრულად ფლობს ბათუ, როგორც ნამდვილი ჩუბინი.

ხოლო როდესაც კუნაპეტი სიბნელეა, კოკისპირული წვიმა და მეხთატეხაა და „თვით ეშმაკიც ეძებს ძრწოლით თავშესაფარს“, ასეთ გზას როგორი ადამიანი დაადგება? აუცილებელია კეთილი მამაცი იყოს და ბოროტი – მშიშარა? თუ დამეთანხმებით, რომ ეს ასე არაა, გამოდის, რომ საფარსაც (არ მემეტება, მაგრამ ფაქტია) არ აკლია სიმამაცე. მშვიდობიანად შედის ფაცხაში, ხმაც და შეხუმრებაც მშვიდობიანი აქვს და არ იცის, რომ თავშესაფრის ძრწოლით მძებნელი ეშმაკიც თან შეჰყვება, რომელიც ჯერჯერობით დუმს, შესაფერის მომენტს უცდის.

ბათუს ცეცხლი უკვე დაუნთია. ცითმონწყეტილი, იავარდიანი ნაზიბროლა სუ-



ფოტოზე აკაკი წერეთელი
(კორნელი სანაძის ნახატი)



ფრას შლის. მის ნატიფ მოძრაობას ეშმაკიც შენიშნავს და შემდეგში, მისგან დამ-
არცხებულ, ქალთან პირისპირდარჩენილ კაცს, ყოვლად უნმანურ აზრებს უტრია-
ლებს თავში.

მოსვლის მიზეზი, ცხენის მოპარვა, სტუმრისგან უკვე გამხელილია და შე-
ფასებულიც: „...თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს, ამას კაცი თავმომწონე“. პა-
სუხიც ასეთია: „... ვწუხვარ, რომ ეს საქმე უკადრისი გიკისრია“.

ერთი აზრის არიან...

ბრძენი ძიძიშვილი მოძღვრავს ბატონიშვილს (საფარი ხომ ბეგია, გლეხის
ოჯახში გაძიძავებული), თუმცა უდრეკი და მამაცი ხარ, აქაურობას რადგან არ
იცნობ, სიფრთხილე არ გექნება შესაფერისი, „შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა, ისე
როგორც სხვადასხვაა ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა“. ღვთის რისხვა – შიში,
ღვთის წყალობა – სიფრთხილე.

სტუმარი ცხენის პატრონს ასე ახასიათებს: „ვაჟკაცია თვალტანადი, ცხენოს-
ანი უებარი“, „ბიჭობით და სილამაზით ქალებიც კი გადარია“. მეტოქის სიამაყეს-
აც კი უსვამს ხაზს და ამით მის უპირატესობას აღიარებს. მომხიბვლელმა ზიამ
იცის, „რომ სხვადასხვა იმას ის ვერ იმსახურებსო“. ამ შესაშური უშურველობით
ყველა ქალის საოცნებო რაინდს ხატავს და არცერთ უარყოფით სიტყვას არ ამ-
ბობს თავისი განზრახვის გასამართლებლად. ზია-ხანუმი ერთი უბრალო ქალია,
რომელსაც თავყანისმცემელთა დამცირება ართობს, მას მხოლოდ დაუმორ-
ჩილებელი ინალიფა აინტერესებს და სხვა არავინ... „მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა და თუ ქალი მაჯობებდა, არ ვფიქრობდი, არ მეგონაო“,
– უყვება მასპინძელს.

საფარი შეჯიბრების ჟინით არის შეპყრობილი და არა სიყვარულის ჯადოთი,
ის აღმასხიტსა და ზიას შორის ბრძოლის უგუნური მსხვერპლი გამხდარა. არც
ისეა „სავსე გრძნობით“, რომ თავის ან სხვის არსებობას საფრთხე შეუქმნას და
მეტოქეს, თუნდაც რაიმე მიზეზით, პირისპირ შეეხას.

ბათუს კი ასეთი სიყვარული სწამს: „მის ოცნებას, მის გულისტყმას უნდა მი-
ჰყვე, დაემონო, გინდ სიცოცხლე შენი ტკბილი, მწარე სიკვდილს შეუნონო“.

და ბათუ ძიძიშვილის მაგივრად მიდის ცხენის მოსაპარად.

და ბათუ ბრუნდება ლურჯი ლაფშით.

იმის გამო, რაც შინ დახვდა, რისხვა მკვდარს გააცოცხლებდა. ბათუ დიდხანს
იყო რეტდასხმული, ნაზიბროლას ტანჯვა-წამებას უყურებდა და ალბათ ათას-
ნაირ შურისგებას გეგმავდა.

იქნებ გაბრაზდნენ ქალები, მაგრამ მაინც ვამბობ: ზოგი არ ეტყოდა ქმარს, იმ-
იტომ, რომ არ ეტყოდა, ზოგი იმიტომ არ გაუმხელდა, რომ შეეშინდებოდა. ზოგი
– საყვარელი ადამიანის დაკარგვის ეჭვით დაიმარხავდა მომხდარს გულში. სხვა
ზოგთა შორისაა ნაზიბროლა, რომელიც, თუნდაც ყველაზე ცუდ დასასრულში
დარწმუნებული, „ცის და მინის შუამავლად“ მიჩნეულ ქმარს სიცრუესა და ლა-
ლატს ვერ აკადრებდა. საფარისთვის ართქმა იყო ნამუსის შენახვა, ნაზიბროლას-
თვის – თქმა! ამ ყველაფერს ხომ ბათუც იფიქრებდა, „რთულ ცხოვრების უარყოფ-
ი“; იფიქრა და კიდევ მიიღო კაცური გადაწყვეტილება ცოლის მიმართ, მაგრამ,
იაკობ ხუცესს დავესხებები, რადგან „ეშმაკი თხრიდა მის გულს“, ასე ვერ მოიქცა
საფართან. აპირებდა კი: „... დღეიდან ჩვენ ორს შუა მოციქული არის ტყვიანო“,
მერე გადაიფიქრა, ვერ მოგკლავ, დედაჩემის გაზრდილი ხარო.

მკვდრისფერდადებული, გაქვავებული, თავისი ნებით ტყვიაზე მკერდმი-
შვერილი საფარი ეხვეწება: „ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობს, მომკალ, ტანჯულს
რამ მიშველე, მაზღვევინე...“

ძიძიშვილმა უბრძანა: ამისრულე უეჭველად, წადი შენს მოძღვართან და
მოუყვი რა სირცხვილიც დაგემართა, „პასუხს მისგან მოველიო“. იქნებ ამით
ნიშნს უგებს ჰაჯი-უსუბს – აი, ესეც შენი გაზრდილი! საკითხავია, საფარის
ცოცხლად დატოვება ვისთვის იყო შეღავათი – მისთვის? ნაზიბროლასთვის?
საფარისთვის? განა მომხდარზე ასჯერ უფრო მტკივნეული არ არის ცოცხლად
ეგულებოდეთ ადამიანი, ვინც მათი სიყვარული, ძალიან რბილად რომ ვთქვა,

**ფოტოზა აკაკი წერეთლის
ბიუსტი (მოქანდაკე
იაკობ ნიკოლაძე)**

შეურაცხყო? საფარი უყოყმანოდ ემორჩილება, არც უფიქრია გზიდან გადახვია, სადმე გაქცეულიყო, მიდის მასთან, ვის გარეშეც „ჭირი, ლხინი არ იქნება“. თავდახრილი და დათრგუნული მიუყვება ცოდვებრალიან გზას.

როგორ აღარ ჰგავს ახლა ეს ნაძირალა თავის თავს...

„არც გვართ, არც ვაჟკაცობით, არც სიმდიდრით, არც ქონებით, ჰაჯი-უსუბ ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით“. ეს არც... არც... აუცილებლად არის იმ შინაარსის დამტყვევი, რომ თუმცა გვარიც კარგი აქვს, სიმდიდრეც და ვაჟკაცობაც (სხვა შემთხვევაში თავადები შეილებს არ მიაბარებდნენ, თან ჰაჯიც იყო, – მექაში ნამყოფი, ლაჩარი და ლატაკი იქ ვერ წავიდოდა), მაგრამ სახელმწიფოეჭილი და ცნობილი მხოლოდ ჭკუითა და გონებით არის, როგორც ყველა დიდი პიროვნება. საფარი უყვება გამზრდელს „უნებურად რაც შეემთხვა“. ცისა და ქვეყნის მნახველმა „სიდიადე ამ მუხთლობის თვალწინ გაისიგრძეგანა“ და ბოლო წუთს, მორჩილებით თავდახრილ და სიკვდილისთვის მზადმყოფი გაზრდილის ნაცვლად თვითონ მიიჭედა საფეთქელში ცხელი ტყვია. ბათუმ მიიღო პასუხი, რომელიც, თუ ვინმემ არ იცოდა, ეს იყო საფარი.

სხვა მრავალი საკითხის გვერდით, მუდამ საკამათო იქნება – თვითმკვლელობა ვაჟკაცობაა თუ ლაჩრობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ახალგაზრდის დანდობა და მოხუცის განირვა, ლაჩრობას რაღაც არ ჰგავს. ისე, ამ პასუხით გამზრდელმაც მეტისმეტად მკაცრი სასჯელი დააკისრა გაზრდილს.

გატყდა ბათუ, მასაც აჯობა დემონმა და თანაც როგორ – ყველაზე ტრაგიკული ფინალით, რაზედაც თუ ვინმე მსუბუქად მაინც იეჭვებდა, ბათუ უნდა ყოფილიყო. ამ თავსდატეხილ უბედურებაში სრულიად უდანაშაულო ადამიანი ჩაითრია და რატომღაც არ იფიქრა, რომ აღზრდა ყველაფერი არ არის, „თუ ბუნებამც არ უშველა“. თითქოს ერთი მედლის ორ მხარესთან გვაქვს საქმე: ერთი სუფთაა, მეორე – შებლალული და მერე რა? ერთის აქტიურმა დემონმა დუელში გამოიწვია მეორის მთვლემარე დემონი და მიაღებინა კიდეც საშინელი გადაწყვეტილება, – კუთვნილი ტყვიის ნაცვლად, მთელი სიცოცხლის მანძილზე სააქაო ჯოჯოხეთის მდულარე კუპრში კვნესა. როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როცა სასჯელი დანაშაულს აღემატება. ეს არაადამიანურად სასტიკი განაჩენი ამ ოთხიდან ვისთვის იყო საშველი? არც ერთისთვის! არის ზოგი შეცოდება, შენდობა რომ არ უხერხდებაო, თქვა ბათუმ და აკი არც შეუნდო. შენდობა, ამ შემთხვევაში, ტყვია იქნებოდა, მით უფრო, რომ, გავიმეორებ, უკვე ნათქვამი ჰქონდა, „...დღეიდან ჩვენ ორ შუა, მოციქული არის ტყვიაო“. მხოლოდ პოემის ფარგლებში ვფიქრობ ასე, თორემ ჭკუათმყოფელი ვინ გაიხარებს თუნდაც რაიმე სულდგმულის სიკვდილით. გამოდის, ცის მახლობლად კი არა, ცას რომ გასცდეს კაცი, ამით საკუთარ დემონს საბოლოოდ და სამუდამოდ ალბათ ვერ ჩამოიცილებს, მიძინებული კი, როცა იქნება, აუცილებლად გაიღვიძებს და სწორედ მაშინ არის საჭირო თავგანწირული ბრძოლა მასზე გასამარჯვებლად.


არადა, ძალიან ცოდოა ცოცხლადდარჩენილი საფარი...

და შედეგის გამო პასუხი მხოლოდ ერთს მოეთხოვება?

* * *

ისეთმა ცნობილმა პიროვნებამ და ფასდაუდებელმა ლიტერატორმა, როგორიც ბატონი აკაკი ბაქრაძე იყო, თქვა:

„კრიტიკას მაშინ აქვს ფასი, თუ კრიტიკოსმა მხატვრულ ნაწარმოებში ნაიკითხა ის, რაც სხვამ ვერ ნაიკითხა. ეგ სულ ერთია, უარყოფითი თვალსაზრისით იქნება ნაიკითხული თუ დადებითით, იმიტომ, რომ კრიტიკამ სხვა უანრის ნაწარმოებს, რომელსაც იგი განიხილავს, რაღაც უნდა შემატოს“. პრეტენზია არა მაქვს რამეს ან ვინმეს რაღაც შევმატო, მით უფრო გენიალურ აკაკის. ეს ყველაფერი ასე ვიფიქრე და, თუნდაც ერთი ადამიანი დამეთანხმოს, სანანებლად არ მექნება ჩემი აზრის გამომზეურება ამ ურთულეს პოემასა და ლექსზე.



ფოტოზე აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ახალი გამოცემა ქართულ და აფხაზურ ენებზე (არტანუჯი, 2008)



ნინო ხოფერია

არისტოკრატიული საბა

დროის დისტანცია არისტოკრატიის ცნებას ოდენ სიტყვის საზღვრებში აქცევს. მის სოციალურ თუ პიროვნულ სტატუსს კი პარადიგმულ და, როგორც ყოველივეს, წარსულში არსებულს, ინერციულად ნოსტალგიური ინტონაციით წარმოგვიდგენს.

არისტოკრატია, როგორც არაერთმნიშვნელოვანი ცნება და რთული მეტაფიზიკური მოვლენა, შესაბამისად არაერთმნიშვნელოვან განმარტებას გულისხმობს...

გასული საუკუნის დასაწყისში, ფასეულობათა სტიქიური გადაფასების შემდეგ, როცა საზოგადოების ეს ფენა მხოლოდ სოციალური სტატუსით განიხილებოდა, ჩამოყალიბდა აზრი, რომ ისტორიული არისტოკრატია აპრიორულად არ ნიშნავს „საუკეთესოს“ ან „კეთილშობილს“.

საყოველთაო ძალადობის და უარყოფის ფონზე, ეპოქის მახასიათებელ ნიშნებთან ერთად, სხვა დიფერენციაც გაჩნდა: არისტოკრატია – სოციალური გაგებით და არისტოკრატია – სულიერი გაგებით.

თუ რამდენად გულისხმობს არისტოკრატიის სოციალური სტატუსი, ანუ შთამომავლობითი ფაქტორი, ადამიანთა პიროვნულ თვისებებს, თუნდაც, თვისობრიობათა მაღალ ხარისხს, ამის შესახებ სხვადასხვა ტიპის ლიტერატურასა თუ საარქივო დოკუმენტებში სხვადასხვაგვარადაა მინიშნებული, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ შეუძლებელია კონკრეტული ცნებითი ნიშნის, თუნდაც ისტორიულად კრისტალიზირებული, უპირობო განზოგადება.

არისტოკრატიის ნიკოლაი ბერდიავისეული განმარტება, რომელიც რუსული ფილოსოფიისა და ყოფის ნიაღში იშვა, არისტოკრატიზმს პერსონალიზმისგან რადიკალურად მიჯნავს, როგორც ინდივიდუალურ-პიროვნულს შთამომავლობით – კასტურისგან. იქვე მოცემულია თვალსაზრისი, რომ არისტოკრატიათა ძალიან უძნელდება ახლო-

ბლური (საკუთარი დონის სიმაღლის გათვალისწინებით) ურთიერთობა სხვა წრის ადამიანებთან, რაც ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც, განსხვავდება ქართული ისტორიული სინამდვილისგან, თუნდაც, ე.წ. ძიძიშვილობის ინსტიტუტის მაგალითით, როცა მაღალი წარმომავლობის ოჯახი საკუთარ პირმშოს სოციალურად დაბალი წრის ოჯახს ანდობდა აღსაზრდელად და ემოციურად ვითარდებოდა მათი ახლობლობის, დანათესაების, ერთგულების გამოხატულების არაჩვეულებრივი ფორმები...

და მაინც, რეალურად არსებობს და ისტორიის კულისებსა და კულუარებში თამაშდება არისტოკრატიისა და პლემოსის დაპირისპირება.

არისტოკრატია, ნებისმიერი გზით და საშუალებით არ მიემართება მიზნისკენ, არ მიილტვის მაღლა. გარეგნულად მაინც ინარჩუნებს ეტიკეტს, გნებავთ, პოზას, რომ ამ ტიპის ბრძოლა არაარისტოკრატიულია, რადგან ისედაც გარკვეულ სიმაღლეზე გრძნობს თავს მაშინაც კი, როცა სოციალური ნიადაგი სრულიად გამოცლილი აქვს.

მისი კასტური ჩაკეტილობა ერთგვარი თავდაცვის საშუალებაა, იზოლირება მათგან, ვინც იოლად ხელჰყოფს სხვათა ღირსებას...

გუსტავ ფლობერის პროტოტიპი („ბოვარი მე ვარ...“) ნაზად იღებს ხელში „ლამაზად დაკაზმულ, სატინისყდიან ნიგნს“ და უმეტესად წარჩინებულთა გვარებს აკვირდება... „ცახცახით შეუბერავდა სულს გრავიურაზე დაფარებულ თხელ ქალაღს, ოდნავ რომ წამოიშლებოდა და მერე ნაზად ისევ გრავიურას დაეცემოდა... აივნის მოაჯირთან, მოკლე მანტოში გახვეული ყმა გულში იხუტებდა თეთრად ჩაცმულ ქალწულს... ან კიდევ, ეს იყო ქერაკულულებიანი, ინგლისელი უცნობი ლედი, ჭილის მრგვალი ქუდით დაჩრდილული, დიდრონი, ნათელი თვალებით რომ შემოგვცქეროდა...“.

ემა ბოვარი, ერთ ჩვეულებრივ დღეს, უამრავ ვერცხლის ფულს ურიგებს მათხოვრებს. მისგან ამგვარი წყალობა ფსევდოარისტოკრატიულ, სავალდებულო ჟესტს უფრო ემსგავსება, ვიდრე დაბალი წრისადმი თანაგრძობას, რასაც მწერალი თავისებურად განმარტავს: „თუმცა, შემბრაღე არ იყო, როგორც გლეხობიდან წარმომდგართა უმეტესობა, რომელსაც გულში რაღაც უძევს მამა-პაპათა დაკოჟრილი ხელების სისასტიკისა“...

ისტორიულად, იგივე ფრანგულ სინამდვილეში, უამრავი მონა გახლდათ განთავისუფლებული, მაგრამ ბუნებრივია, განთავისუფლებულნი არ იყვნენ მიღებულნი, როგორც თანასწორნი...

პარალელი ისევ ქართული ქრონიკებიდან:

ის თავადაზნაურობამ აირჩია, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროზე მთელი ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკებს, ვინაიდან თავადაც ნაწილია მთელისა – პოზიცია თავიდანვე ასე განსაზღვრა **ილია ჭავჭავაძემ**. მან საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასთან ერთად პირველმა ჩამოაყალიბა სოციალური ერთობის თემა.

„მოსე, – წერს ილია თავის მოურავს, **მოსე მემარნიშვილს**, – მანდ, საგურამოში, ჯარი მოვიდა... თავადაზნაურობა ცდილობს ჯარების მისევა როგორმე ააცდინოს გლეხობას... თუ ვინცობაა, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონ ვთხოვ უფროსს, ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ...“

საიუბილეო მილოცვაში, რომელსაც 78 ოდესეული ქართველი მუშა აწერს ხელს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, თავად ილია ჭავჭავაძეს „შენობით“ მიმართავენ. ეს „შენ“ არ გახლავთ ფამილარობის გამომხატველი ნიშანი, არამედ ახლობლობის, ზღვარდაუდებლობის, „თავისიანად“ აღიარების გამომხატველი ფორმაა:

„ტვირთმძიმენი და მაშვრალნი“ გიგზავნით ჩვენს უღრმეს მადლობას იმ თანაგრძობისათვის, რომლითაც განმსჭვალულნი არიან შენი ქმნილებანი. შენ გვახსენებ, გვიძლიერებ ადამიანურ თავმოყვარეობას და სულით გვაშაქვებ მონამულ გარემოზე. შენი ნაწერებით კარს გვიღებ ჩვენ,

გადმოკარგულთ, დანარჩენ ქართველთა კრებულისაგან, გვაგრძობინებ ჩვენს ქართველობას, გვაცნობ საქართველოს წარსულს და აწმყოს, გვაყვარებ მას და ამით იხსნი ბევრ ჩვენგანს დაღუპვისაგან“...

1965 წელს, პარიზთან ახლოს მდებარე ქალაქ ისი ლე მულინოში (საფრანგეთი) გამომავალი ფრანგულენოვანი გაზეთი „ლა ნასიონ ჟორჟიენ“ (რედაქტორი მ. კერუელი) კავკასიის ხალხთა ისტორიულ გენოტიპს და ფსიქოლოგიას პოლიტიკური აქცენტებით განიხილავს. თვლის, რომ საქართველოს გლეხობას „რუსეთისგან ოკუპაციამდე არ უგრძენია მეტატონეთა ძალიან მძიმე უღელი და თავისუფლების განსაკუთრებული შეზღუდვა“...

და მაინც, მიუხედავად ანალოგიური მაგალითებისა, არისტოკრატიის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესები ცხადყოფენ, რომ დისტანცია ფაქტობრივად ასე თუ ისე არსებობს, ანუ უფრო მაღალი კულტურული დონე, უფრო დახვეწილი მანერები, დიდსულოვნება, კეთილშობილური აღზრდა, რაც ე. წ. სისხლის ფატალურობით (**ალექსანდრე ბლოკი**) არის საფუძველშივე მოცემული.

გრიგოლ რობაქიძის რომანში „გველის პერანგი“ გაინგლისელებული ქართველი არისტოკრატი არჩიბაღდ მეკეში (მაყაშვილი) ევროპიდან საქართველოსკენ მოემგზავრება. ის არ კარგავს, პირიქით, სამუდამოდ იტოვებს, ითავისებს ევროპულ ღირებულებებს.

სისხლის ინფორმაციას ის სამშობლოში ჩამოჰყავს და საკუთარ არისტოკრატიულ, პატრიარქალურ წარსულში დაბრუნება სიამაყის, გამორჩეულობის განცდას უღვიძებს.

ამბობს: „ჩემში ყველაზე ხმამაღლა სისხლი მეტყველებს... სისხლში დიდი მისტერიაა... სისხლი ამოძრავებს მთელი მსოფლიოს მაჯისცემას. სისხლი აკავშირებს. სისხლი თიშავს...“

გზა, რომელსაც არჩიბაღდ მეკეში ინგლისიდან საქართველოში (დასავლეთიდან აღმოსავლეთში) მიჰყავს, მრავალი სიმბოლოთია დატვირთული და აღიქმება, როგორც დინამიური მოდელი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან





აპოლონური და დიონისური ძალები. „უძღები შვილის დაბრუნების“ ალეგორიით, არჩობლდ მეკეში საკუთარ სისხლს მამისეული (წინაპრების) მოდგმის სტატუსს უბრუნებს, რადგან „სისხლი ყოველ საბუთზე უკეთესია“... (გრ. რობაქიძე).

ძველი ქართული არისტოკრატის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი ქალბატონი ბაბო დადიანი თავისივე ცხოვრების წესით განმარტავდა, რომ ამქვეყნიური არსებობისთვის მინიჭებულ დროს დამაჯერებლობას წარსულისადმი დამოკიდებულება ანიჭებს.

იგი სიონის ტაძარში მუხლმოდრეკით იდგა მაშინაც, როცა ეპოქათა მიჯნაზე, ომებისა და რევოლუციების ტლანქი ზემოქმედებით, წარსულისადმი ანუ დროში გამოცდილი ფასეულობებისადმი, უჩვეულო გულგრილობას გამოხატავდნენ.

ანალოგიური მკაცრი ხანა ევროპულ ცნობიერებაში „კრიზისის“ სახელითაა შეფასებული, უპირველესად, „ევროპული ელიტის გაჟღერის“ გამო (პოლ ვალერი)... მაგრამ საყოველთაო სასონარკვეთილების ჟამს ევროპის უეცარი გამოფხიზლება დაიწყო. წარსულის ტერიტორიებიდან გამოიხმეს თავიანთი წმინდანები, ეროვნული გმირები, არისტოკრატები, ნაციონალური პოეტები თუ წინასწარმეტყველები... განსაკუთრებული დაინტერესება დაიწყო გენოტიპებით და გენეტიკით, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არქეოლოგიურ შესწავლას გულისხმობდა.

„ახალი დროის ყველაზე აშკარა მსხვერპლი ეს გახლავთ არისტოკრატია – თანაგრძნობის ნამდვილი გამოხატულებით წერდა პოლ ვალერი, – განსაკუთრებით კი ფრანგული არისტოკრატია, დაქვეითებული, დაქცეული, დამდაბლებული რიშელიეს მიერ, დამონებული ლუი მეოთხემეტეს მიერ, გარხნილი რეგენტის მიერ, თავმოკვეთილი, განდევნილი რევოლუციის მიერ, ანგარებიანი ქორწინებით პატივყარილი, გაყიდული... აღარაფერი სახელის გარდა... აღარც ძალაუფლება, აღარც ავლადიდება... და ძალიან ცოტა სისხლი...“

ალექსანდრე პირველისაგან ბო-

ძებული ინსტრუქცია აცნობებდა პეტერბურგს, რომ საჭირო იყო ქართველთა მეფის და მეფის ოჯახის იზოლაცია საქართველოდან. რუსეთმა ბაგრატიონებს არსებობის ეკონომიკური ბაზა გამოაცალა. ოდესღაც სუვერენობაზე მეოცნებენი სასონარკვეთილებაში ვარდებოდნენ...

ექვთიმე თაყაიშვილს კრებულში „საქართველოს სიძველენი“ დაბეჭდილი აქვს ის მასალებიც, რომელიც ერეკლე მეფის შთამომავლების უკიდურესად უმწეო მდგომარეობას გამოხატავს. ერთ-ერთ ბარათში მეფის ასულ მარიამის თხოვნაა, ნათესავი ქალისადმი მიწერილი: „...ვიცი მწყალობელი ბრძანდები და ამისთვის ვიკადნიერე მოხსენება. ვითხოვ, ცოტა ბრინჯი მიბოძოთ თავისი ერბოთი, ეგების მეც მაგიერი სამსახური შევიძლო“...

ქართველი არისტოკრატები, ევროპელებისაგან განსხვავებით, სამშობლოს დაკარგვის შიშით შეძრწუნებული საზოგადოებაა, მაგრამ მათ სოციალურ სტატუსს თითქმის ყოველთვის საკუთარი ქვეყნის მტრის წინაშე ლოიალობა განსაზღვრავდა.

საქართველოში სამეფო ტახტის გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპის მსოფლმხედველობა, როცა ქართული ნაციონალიზმის იდეის პარალელურად რუსეთის იმპერატორის ერთგულებასაც გამოხატავდნენ. ამ პიროვნებათა შორის აკაკი ბაქრაძე ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ტრაგიკული ბედის პერსონას – დიმიტრი ყიფიანს მოიხსენიებს („ეროვნებით ქართველი, პროფესიით – რუსი მოხელე“).

თუკი კონკრეტული მაგალითს განვაზოგადებთ, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, საქართველოში ფეოდალიზმის კრიზისთან ერთად გაჩნდა ე.წ. მსახური არისტოკრატის ტიპიც...

მაშინაც კი, როცა ევროპის არისტოკრატია, როგორც სოციალური სტრუქტურა და როგორც იურიდიულად გაფორმებული კლასი, ძველებურად აღარ არსებობდა, „კეთილშობილის“ ექვივალენტი არასოდეს დაუკარგავს. დროთა განმავლობაში მათი პრივილეგიების რეაბილიტაციაც დაიწყო.

ევროპისგან განსხვავებით, საბ-

ფოტოზე
ალექსანდრე იოსელიანი,
მამია გურიელი, გიორგი
შარვაშიძე

ჭოთა რეალობა, ძალადობრივი, ანტი-ისტორიული დასკვნებით, წარსულს, უპირველესად კი არისტოკრატის ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ გაგებას (ღირსეულთა მმართველობას) სასტიკად დაუპირისპირდა.

გარდა შთამომავლობითი ტიტულებისა და ქონებისა, არისტოკრატია ქცევისა და მორალის გარკვეულ ნორმებს და შესაბამისად, ავტორიტეტს ფლობდა. „კეთილშობილთან“ ერთად სიტყვები: „მხედარი“, „მხედრული ღირსება“, „სიამაყე“, „მხედრული აღზრდა“, „დარბაისელი“ და სხვ. ამ წრიდან გამოსულ ადამიანებთან ასოცირდებოდა. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა სიტყვამ „მხედარი“.

გაჩნდა სიტყვათა შეთანხმება „თავისუფლება არისტოკრატულია“.

წარსულის სხვა ღირებულებებთან ერთად, ამ წრის მოსპობას და ასიმილირებას (რაც ყველა შემთხვევაში იდენტურია), საბჭოთა ოფიციალური სტრუქტურების არა ერთი მექანიზმი ანხორციელებდა. იქმნებოდა ახალი ტერმინოლოგია ისევე, როგორც პოსტრევოლუციური ადამიანის ახალი, წარსულის უარყოფელი ტიპი, „ახალი იდეები“ და ქცევისა და მორალის განსხვავებული ნორმებით.

ვინაიდან არისტოკრატია, როგორც კლასი, ერთგვარი ჩაკეტილი წრეა, გასაბჭოების შემდგომ ის ვეღარ ახერხებდა დაცულად, თავდაპირველი სიმყარით ეგრძნო და ოდინდელი ღირსებით შეენახა თავი.

ახალ პირობებთან შეგუების ფონზე დაიწყო მათი ინტეგრაცია – არისტოკრატის ინტელიგენციაში გადასვლის პროცესი. დიდი ნაწილი ინტელექტუალურ ელიტაში აღმოჩნდა მაშინ, როცა მათ წინააღმდეგ საბჭოთა ოფიციალის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

ვინაიდან ჭეშმარიტი ინტელიგენტიზმი, არისტოკრატის მსგავსად, სოციალური ნიშნიდან პიროვნულში გადადის, ამ წრის ადამიანთა რეაქცია არსებულისადმი, პროტესტის შინაგანი თუ დეკლარირებული ფორმით, მრავალჯერ გამოიხატა. პარალელურად ხელისუფლებამ დაიწყო მათი საზოგადოებისგან იზოლირების მცდელობა რეპრესიებით, დაპატიმრებებით, სისხლისღვრით, ძალადობის უკიდურესი საშუალებებით.

ხორხელის ბორხესი განმარტავს:

„ალორძინების ხანაში კაცობრიობას მიაჩნდა, რომ მონიფულობის ასაკს მიაღწია. მე-XVII საუკუნეში კი იგი სიბერის შეგრძნებამ შეაშინა. ეპოქაში, რომელიც ჯერ კიდევ ალორძინების შუქით იყო განათებული, ადამიანებმა იგრძნეს, რომ დროსა და სივრცეში არიან დაკარგულნი...“

უსასრულო შედეგების უსასრულო მიზეზთა მხოლოდ ანალიზი მარტოობისგან თუ გაუცხოებისგან ვერავის იხსნიდა.

„ჩემი სამოქმედო ასპარეზი დროა“ – საკუთარი დროების სახელით ამბობს **გოეთე** და XIX საუკუნის, როგორც თვისობრივად ახალი ეპოქის, სულისკვეთებას გამოხატავს. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ გასულმა საუკუნეებმა ფასეულობათა შკალა დაგვანახა და არჩევანი, როგორც ასეთი, უკვე მოცემული იყო.

XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის პროცესების შედეგებისდაგვარად ობიექტური კვლევა პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში დაიწყო. საქართველოს ისტორიისთვის ეს არის ერთგვარად გარდამავალი ხანა (არისტოკრატის თუ ჭეშმარიტი ინტელიგენციის დევნა, პოლიტიკური ემიგრაცია, რეპრესიები... ღირებულებათა გადაფასების და ახლებურად სახელდების დრო)...

ქალბატონ ბაბო დადიანის საოჯახო არქივში, რომელსაც, მოცულობის და მასშტაბის გათვალისწინებით, ალბათ უფრო იკონოთეკა უნდა ვუწოდოთ, საუკუნის მიჯნაზე მცხოვრები, სხვადასხვა თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პიროვნებების პორტრეტებია წარმოდგენილი. თუკი ადამიანის სახე და თვალები მართლაც სარკეა მისივე სულისა, ფოტოებზე მათ სულიერ ბიოგრაფიასაც ამოვიკითხავთ და იმ ეპოქის სულსაც, რომელიც ამ საზოგადოებამ შექმნა.

ქალბატონ ბაბოს სიცოცხლეში გამართულ არისტოკრატთა გალერეის გამოფენებს სწორედ მისი თანდასწრება ანიჭებდა უნიკალურობას. გიდობასაც თავად სწევდა. დამთვლიერებელთა განუწყვეტელი ნაკადი არ ღლიდა.

„უზარმაზარი პატივი დამდო ქალბატონმა ბაბომ, თავად წამძლოლო-



ფოტოზა
ტელემაქ გურიელი



ფოტოზა
ბაბო დადიანი

და გამოფენის დასათვალისწინებლად. გახარებული ვარ. გახარებული და აღელვებული...” – ჩაუწერია შთაბეჭდილებათა წიგნში მწერალ **რეზო ინანიშვილს...**

წლების შემდეგ, პერსონალიებზე დაკვირვებით, ცდილობენ ეპოქალურ კითხვებს გასცენ პასუხი. რა კავშირშია ერთმანეთთან სულიერებისა და მატერიალური არსებობის კანონები? სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების დროს, როცა მუდმივი შეუსაბამობაა სიტყვებსა და მოვლენებს შორის, კონკრეტული გარემოს იერი ადამიანებზე ისე, როგორც საგნებზე, სხვადასხვა კვალს სტოვებს. გაცრეცილ ფოტოზე შეჩერებული წამი სწორედ იმ მარადიულობას გამოხატავს, რომელიც პიროვნებათა სულიერებით თუ მათივე ცნობიერების ნიშნითაა აღბეჭდილი....

1998 წლის ოქტომბერში **საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ**, საკვირაო ქადაგებაში, თავისი ერთი მრევლთაგანი, საკუთარი არისტოკრატიული წარმომავლობისა და სამშობლოს ერთგულებისთვის რეპრესირებული ქალბატონი მოიხსენია: „მე ვიცნობ ერთ ადამიანს. ის 95 წლისაა და როდესაც მასთან მქონია საუბარი, ამბობს ხოლმე, რომ გუშინდელი დღე ჰგონია თავისი ახალგაზრდობა. თქვენ იცნობთ მას. ეს გახლავთ ქალბატონი ბაბო დადიანი, ძალიან კეთილი პიროვნება, რომელმაც ძალიან მძიმე ჯვარი ატარა. იგი ორჯერ იყო გადასახლებული, მთელი ოჯახით, არაფრის გამო და როდესაც მე ვკითხე, იმ გადასახლებაში როგორ ცხოვრობდით-მეთქი, მიპასუხა, რომ ცხოვრობდნენ ერთ პატარა ოთახში, მისი ადგილი იყო მაგიდის ქვეშ და თქვენ წარმოიდგინეთ, აი, ამ ტანჯულმა ადამიანმა, მრავალი განსაცდელის მიუხედავად, მაინც ღირსეულად ატარა თავისი ჯვარი, არ დაკარგა არც რწმენა, არც სიყვარული ღვთისა და მოყვასის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ვეღარ დადის წირვალოცვაზე, ის მაინც ცდილობს აკეთოს სიკეთე, ილოცოს და იმოღვაწეოს სამშობლოსათვის...“

ერთი წლის შემდეგაც, უკვე ჯანმრთელობაშერყეულ ქალბატონ ბაბოს, „ბარბარობას“ მიულოცავს საქართველოს პატრიარქი და ქვემოთ სიყვარულით მიაწერს – „ქალბატონო ბაბო, სიონს ძალიან აკლია თქვენი თავი“...

სოლოლაკის უბანში, პატარა, უფანჯრე ბინაში, კედლებზე, მაგიდასა თუ ტახტის ქვეშ, ძველ საკვოიაჟებსა და ჩემოდნებში ჩალაგებული ისტორიული რელიკვიები – ათეული წლების მანძილზე ტაბუდადებულ პიროვნებათა საოჯახო ფოტოები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა თუ ცალკეული, თვალისმომჭრელი პორტრეტები, ალბათ უფრო ჭაღებით განათებული, სალონური დარბაზებისთვისაა განკუთვნილი... ისინი, ქართველი არისტოკრატები, სოციალური კუთვნილებით თუ ფსიქოლოგიით, სულიერი ნყობით თუ აზროვნების წესით, გენეტიკურ სრულყოფილებამდე მისული ქართული ჯიშის უკანასკნელი წარმომადგენლები აღმოჩნდნენ... თუმცა, ვინ იცის, განმეორადობის დიადი კანონის თანახმად, „რაც იყო, იგივე იქნება“.

ქალბატონი ბაბო, დიდ თუ პატარა აუდიტორიაში, პირად საუბრებსა თუ წერილებში, დაუღალავად განმარტავდა, რომ ამ პიროვნებათა ადგილი მაღალ საზოგადოებაში არა მხოლოდ წარმომავლობით იყო განპირობებული, არამედ ურთიერთობის სტილით, კეთილშობილებით, მაღალი იდეალებისადმი ერთგულებით. სწუხდა, რომ ძალიან შეიცვალა ქართველების ცხოვრების წესი, რომ დღეს ვეღარ ახერხებენ უსახურ ყოფაზე მაღლა დგომას. გვიამბობდა მათი ბიოგრაფიის დეტალებს: „სადღა ნახავთ იმგვარ იერს და სტილს, რაც ასრერიცად ამშვენებდაო **ტელემაქ გურიელს, გიორგი შარვაშიძეს, ჯანსუღ და თათარხან დადუშქელიანებს, ნიკო ბაგრატიონ-მუხრანსკის, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, გოგიტა ფალავას, დიმიტრი ამილახვარს...**“ თავის სულიერ მოძღვართან ხშირად გამოხატავდა ამგვარ წუხილს, გამუდმებით ლოცულობდა მათ სულებზე...

ცნობილია, რომ პროლეტარიატის, მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ არისტოკრატები კლასობრივ მტრებად გამოაცხადა.

დიდი ისტორიული დრამის ეს პერსონაჟები, „ქართული რაინდობის მიმ-

ნუხრის შვილები“, პატრიარქალური ოჯახების სიმყუდროვეში თუ ბრძოლის ველზე, აშკარად გრძნობდნენ მათთვის არასასურველი დროების მოახლოვებას...

1863 წლის გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა, რომ XIX საუკუნის ორმოციან წლებში, მას შემდეგ, რაც დაგეროტიპის შექმნიდან სულ თხუთმეტიწლიანი წელი გავიდა, თბილისში მოღვაწეობდნენ ფოტოგრაფიული ხელოვნების მსოფლიოში განთქმული ოსტატები: **კერნერი, ბარტი, კონრადი, გაუპტი...**

პირველი მნიშვნელოვანი ფოტო-გამოფენა, თბილისის კავკასიის მუზეუმში, 1867 წლის 2 იანვარს გაიმართა. საქართველოს და ქართულ ტიპაჟებს წარმოადგენდნენ უკვე „თბილისელებად“ მონათლული უცხოელი ფოტოგრაფები: **გოლშტეინი, ლ. დუბელირი, ე. ვესტელი** და სხვ.

თბილისის ფოტო-სალონებში არჩევანის საშუალება გაჩნდა, ანუ ვისთან, როგორ, რა ფონზე და რომელი ფოტოგრაფის რეჟისურით გადაეღოთ სურათები.

ფოტოგადაღებებმა ერთგვარი რიტუალური ხასიათიც მიიღო, როცა საზეიმოდ გამოწყობილი ქართველობა, ოჯახის წევრებთან ერთად, სათანადო პოზირებით, თითქმის თეატრალიზებულად აფიქსირებდა საკუთარ თავს.

ფოტოგადაღება რომ არისტოკრატთა წრეში არცთუ უმნიშვნელო მოვლენად ითვლებოდა, ამაზე ილია ჭავჭავაძის ბარათიც მოწმობს – მომავალი მეუღლისადმი, თავად თავად გურამიშვილის ქალიშვილისადმი გაგზავნილი: „ოლოკო, შენი სურათები მივიღე, გადასაყრელია. შენ კი მარწმუნებდი, კარგად ვარ გამოსულიო. როგორ შეიძლება ვესტელთან სურათის გადაღება? იცი, რას გეტყ-

ვი? თუკი დამიჯერებ, შენ შეგიძლია კარგი სურათები შეიძინო რანესაგან. წამოჰყვეები ტროტუარს, მარჯვნივ, პირველ ალყაფში შეხვალ. მერე იარე პირდაპირ და დუბელირის ფოტოგრაფიის კარს მიადგები... შენ ნახავ, როგორი პორტრეტი გამოვა“...

დუბელირის თუ დუბელირის (პ. ინგოროყვა) გვარი, უკვე სხვა კონტექსტში, ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთ ძალიან სევდიან ფურცელს უკავშირდება: მაღალი არისტოკრატიული გვარის – ბარათაშვილების საოჯახო ალბომებში დიდხანს ეძებეს, მაგრამ ვერ მიაგნეს ჯერ კიდევ აუღიარებელი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ფოტო. საბოლოოდ ერთადერთი და უკანასკნელი სურათი-დაგეროტიპი დასთან, ნინო ბარათაშვილთან აღმოჩნდა, რომელმაც ის ილია ჭავჭავაძეს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების პირველ გამოცემელს, ათხოვა. თანამედროვენი იგონებენ, რომ მისი პოეზიით აღტაცებული ილია „ბოდავდა ბარათაშვილით...“ თუმცა, აქაც ფატალიზმი ან იქნებ ქართული ხასიათი თამაშობს საბედისწერო როლს. შეგიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მიმდობად იღებს გულის ჯიბიდან ილია ბარათაშვილის ფოტოს, პოეტის გამოსახულების ერთადერთ ფოტოდედანს და ასლის გადასაღებად, მისი აზრით, ყველაზე კარგ ფოტოგრაფთან მიაქვს. იგი, რა თქმა უნდა, არ ფიქრობს არასასურველ შემთხვევითობაზე და ფოტოგრაფს, შეთანხმებისამებრ, ბარათაშვილის ფოტოს დილამდე უტოვებს... იმ ღამეს დუბელირის ატელიეში ხანძარი გაჩნდა, ყველაფერთან ერთად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ის უკანასკნელი ფოტოსურათიც განადგურდა და დღემდე, ქართველებისთვის ესოდენ ძვირფასი პოეტის გარეგნობა მხოლოდ მკითხველის წარმოსახვას არის მიწოდებული....



დასასრული შემდეგ ნომერში

ფოტოზა

ბაბო დადიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან ერთად

პრობლემა

ლალი ავალიანი

გადარჩენის რწმენითა და იმედით
მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის გამო

სხვათაშორის, ჩვენ თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლა გადარჩენისათვის. საკმარისია დავმშვიდდეთ, დავდუმდეთ, ისე გავითქვიფებით დროჟამის დინებაში, ვერც კი შევამჩნევთ.

ოთარ ჭილაძე, 1994 წ.



გარდუვალი გლობალიზაციის კარიბჭესთან ვდგავართ. ამაზე არცვინ დავობს. ჩვენებრ პატარა ქვეყნისათვის გლობალიზაცია ორსახიანი იანუსივით არის, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, ის კიდეც აგვაშენებს და კიდეც დავამხოვს. საოცნებო ევროპეიზაციისადმი სწრაფვაც უფრო სხვაგვარად წარმოგვედგინა: თავად ევროპას უჭირს დღეს გლობალიზაციის (ამერიკანიზაციის) ლავასთან გამკლავება.

ქართული მსოფლალქმა შეუთავსებელია საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდევასთან. ქართველობას, მდგრად კულტურულ მეხსიერებასთან ერთად, უხვად აქვს მომადლებული სიახლის წყურვილი, „მარად დაბრუნებასა“ და ფესვების ძიებასთან ერთად, – ნოვაციათა მძაფრი მოთხოვნილება. ძველად, როცა მსოფლიოს ბევრ ქვეყანას კარჩაკეტილობა ხსნად მიაჩნდა, ინტელექტუალური საქართველო თვალსაწიერს იფართოებდა და სასულიერო-მნიგნობრულ კერებს უცხოეთშიც აარსებდა.

მოყვრად მოსული მტრის ორასწლოვანმა ბატონობამ პარადოქსული ნაყოფი გამოიღო: რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ჩვენს მწერლობას წინააღმდეგობისა და ეროვნული მეობის შენარჩუნების სურვილი გაუძაფრა. მეფის რუსეთის „სამართალმემკვიდრემ“ საბჭოთა კავშირმა ველიკოდერჟავნიკული პოლიტიკა კიდეც უფრო მახინჯი და უღმობელი მეთოდებით განავრცო; მწერლობამ ამა-საც გაუძლო, რასაკვირველია, დიდი ძალისხმევითა და დიდი დანაკარგით.

„გადარჩენისათვის განუწყვეტელი ბრძოლის“ მენინავეობა 19-ე საუკუნის დიდ სამოციანელთა ხელდასხმით, ქართულმა მწერლობამ იტვირთა. ამ მხრივ არც 20-ე საუკუნის ლიტერატურას შეურცხვენია თავი (დასაბამიდან 90-იანი წლების ჩათვლით).

ეროვნული ჩაგვრის, ტოტალიტარული რეჟიმისა თუ უმკაცრესი რეპრესიების მიუხედავად, ან უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული 20-ე საუკუნის ქართული ლიტერატურა ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის ღირსეული გაგრძელებაა. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან, მას აშკარად არ გაუმართლა. ტელევიზიით შევიტყვე, რომ ოქსფორდში ერთი უცხოელი მკვლევარი დისერტაციას იცავს ქუთაისელი კანონიერი ქურდების ისტორიაზე! ამ დროს ჩვენ 20-ე საუკუნის სრულყოფილი ლიტერატურის ისტორიაც კი არ გვაქვს.

21-ე საუკუნეში, საქართველოს დამოუკიდებლობის მეოცე წლისთავზე უნდა ვალიართ, რომ სიტყვის თავისუფლებამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას დიდი გასაქანი მისცა, მაგრამ წარსულის ინერციის დაძლევა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით. გასული საუკუნის 60-80-იან წლებში დანერგილი 20-ე საუკუნის „ლიტერატურის ისტორიებს“ ჩვენი დროება, სრულიად სამართლიანად, ანგაჟირებულად და დრომოჭმულად მიიჩნევს, ობიექტური კრიტიკის უქონლობისა და მცდარი იდეოლოგიური მეთოდოლოგიების გამო. უსაშველოდ გაიწელა ფასეულობათა გადაფასების პროცესიც: 90-იან წლებში დასტამბულ გამოკვლევებში უამრავ საბჭოურ კლიშეს აღმოვაჩინეთ, რაც აშკარა-

რა შეუსაბამობაა, რადგან მაშინ ცენზურა საერთოდ აღარ არსებობდა; სამწუხაროდ, ამგვარი რამ დღემდე გვხვდება.

იმთავითვე წარმოიშვა მეორე უკიდურესობა: ფასეულობათა გადაფასების ნაჩქარევმა, გაშმაგებულმა და დაუოკებელმა ვნებამ არანაკლებ დააზარალა 20-ე საუკუნის ლიტერატურის კვლევა; საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობა, ხელაღებით, ერთიანად, „საბჭოური“ დამლით დადაღეს; ნაკლებად წიგნიერმა „ნაციონალ-ნიჰილისტებმა“ პროკურორისა თუ არბიტრის მანტია მოიხრეს და ისე ჩაებნენ აქსიოლოგიურ თამაშებში.

ეს პროცესი (დესტრუქციით აღტკინება), მეტ-ნაკლებად, დღემდე გრძელდება. ზოგ სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებათა გარდა, ბეჭდურ მედიას თუ ტელევიზიასაც უძევს ამაში ლომის წილი.

უცხოური ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე თეორიებსა და მეთოდოლოგიებს რომ დავენაფეთ, ძალიან კარგია, მით უმეტეს, რომ ინტერნეტის ეპოქაში ეს დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს; უცხო ენების (არა მხოლოდ საკომპიუტეროდ დასწავლილი საყველბურო ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნაც და საზღვარგარეთ სწავლაც, გადაუჭარბებლად, დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ის, რომ საქართველოში ქართველოლოგია ვერა და ვერ გახდა „პრიორიტეტული“, კარგს არას გვიქადის. კერძოდ, ეს ეხება ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევასაც: ცოტა უტყირებულად თუ ვიტყვი, ის „მოდაში“ არ არის, „არაგაყიდვადია“, მისთვის გრანტებსაც არავინ იმეტებს.

სავალალო უფრო ის გახლავთ (თუმცა, რაღაც არ მახსენდება, განათლების რომელიმე მორიგი რეფორმატორი ვალალებდეს ამის თაობაზე), რომ 20-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის სრულყოფილი და სრული კორპუსის უქონლობა ჩვენი დიდი ეროვნული სირცხვილიც არის და, იმავდროულად, ევროპასთან კულტურული ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორადაც გვესახება.

„ევროსტანდარტი“ რომ აგვიჩემებია, ის მარტო „ევრორემონტი“ ხომ არ არის! ათობით მშობლიური ლიტერატურის ისტორია, ათობით გამონწვლილვითი მონოგრაფია 20-ე საუკუნის მწერლებზე (არა მხოლოდ კორიფეებზე), უამრავი ლიტერატურული ენციკლოპედია, ცნობარი, მწერლის თხზულებათა აკადემიური თუ საარქივო გამოცემები და ყოველივე ეს ელექტრონული ვერსიებითურთ – ასეთია „ევროსტანდარტი“ – მისაბაძი და სამაგალითო ჩვენთვისაც.

ინტერნეტი ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. რაც არ უნდა აცმაცუნო მაუსი და ანკაპუნო კლავიატურა, 20-ე საუკუნის ქართული მწერლობის მკვლევარს დიდს ვერაფერს შესძენს კომპიუტერი: რაც არ ჩაგიტვირთავს, რას მოელი...

თანამედროვე ლიტერატურული პერიოდიკისა თუ სამეცნიერო კრებულების ელექტრონულ ვერსიათა არსებობა უფრო მომავალს წაადგება, გასული საუკუნის ლიტერატურის მკვლევარს, დღესდღეობით, ინტერნეტი უმნიშვნელოდ თუ დაეხმარება.

ახლა, როგორც ჩანს, ფორსირებული მუშაობა გვმართებს 20-ე საუკუნის უკუღმართი მემკვიდრეობის, – „თეთრი ლაქებისა“ თუ „შავი ხვრელების“ ამოსავსებად.

უზარმაზარი და შრომატევადი სამუშაოა შესასრულებელი.

მცირედი გამონაკლისის გარდა, არ არსებობს სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფიები, უნივერსალური ლიტერატურული თუ დარგობრივი ენციკლოპედიები, ცნობარები და ლექსიკონები; საცნაურია 20-ე საუკუნის კლასიკოსთა ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიებისა და მათივე თხზულებების აკადემიურ გამოცემათა საოცარი სიმწირე და, არცთუ იშვიათად, – სიმდარე.

არცერთი ქვეყნის ლიტერატურა არ შეუქმნიათ ერთეულებს. მას მთელი მწერლობა ქმნის – კორიფენიც და მეორეხარისხოვანნიც. დღეს ზოგი გარდასული მწერლის ბიოგრაფიული წერილმანების დადგენაც კი დიდ ძალისხმევას საჭიროებს.





მომავლის საქმეა 20-ე საუკუნის მწერლობის მთლიანობაში გააზრება და მისი მიმართების დადგენა თანამედროვე ქართულ კულტუროლოგიურ სივრცესთან. დასაჩქარებელია აქსიოლოგიურ პროცესთა უღიმღამო ტემპი. ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია და საშურიც, ახლავე დაინყ-ოს მუშაობა 20-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შექმნისათვის, რაც ყველა თაობის ლიტერატორთა ერთობლივი, გაცხოველებული ძალისხმევით თუ მოხერხდება.

სიკეთესთან ერთად, სიტყვის თავისუფლების „თავისებურ“ გაგებას უპასუხისმგებლო და ვულგარიზატორული გამოხდომებიც მოჰყვა. ასეთად მიმაჩნია „საბჭოური მენტალიტეტის“ წამოყვედრება, ანდა გასული საუკუნის საქართველოსა და მისი მწერლობის წარმოჩენა „ჰომო სოვიეტიკუსების“ ბესტიარიუმად. ის ვინც „იდეური“, „პარტიული“ ნიშნით, ხელალებით იწუნებს დღეს 20-ე საუკუნის მწერლობას, ისეთსავე შეცდომას უშვებს, როგორცაც თავის დროზე – ლიტერატურის პარტიულობისა თუ კლასობრიობის ადეპტები; რადგან, სულგაციდული თუ სულწაწყმედილი მედროვენი, ან, უბრალოდ, მწერლებად „დანიშნული“ ბობოლები თუ „ლიტერატურული გენერლები“ არ განსაზღვრავდნენ 20-ე საუკუნის გეზს.

გვინდა თუ არა, ჩვენ ყველანი 20-ე საუკუნიდან მოვდივართ. სამშობლოს, ისევე როგორც მშობლებს, არავინ ირჩევს; მით უმეტეს ვერ აირჩევ, რომელ „რეჟიმში“ დაიბადო. 20-ე საუკუნის „გადაგდება“ დღეს საკუთარ იდენტობაზე უარის თქმასაც ნიშნავს. მაშინ ისლა დაგვრჩენია, საკუთარი ნებით, თავით გადავეშვათ გლობალიზაციის გოგლიმოგლში.

საქართველო ჩვენი ერთადერთი სამშობლო იყო მაშინაც, როცა მხოლოდ ვირტუალურად არსებობდა და რუსეთის იმპერიის თბილისისა და ქუთაისის განაპირა გუბერნიებად მოიხსენიებოდა; როცა სსრკ-ის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა, ფაქტობრივად კი რუსეთის მიერ ანექსირებული ტერიტორია გახლდათ და, ჩვენი „უფროსი ძმისა“ თუ უცხოელთა თვალთახედვით, კვლავ რუსეთად მოიაზრებოდა.

საქართველოს ისტორიული ძნელებდობის გათვალისწინებით, მაშინ ჩვენს პოლიტიკურ კალოს გალენილად ვთვლიდით და, მომავლის იმედით, ეროვნული თვითმყოფობისა და კულტურული იდენტობის შესანარჩუნებლად, – მწერლობასა და ხელოვნებას ვეტანებოდით. პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხანმოკლე (1918-1921) და წარუმატებელმა პერიოდმა, ჩვენდა საბედნიეროდ, სწორედ ქართული კულტურის აღორძინებისაკენ მიმართა გეზი. ამ ინერციამ დიდხანს გასტანა, – თითქმის 30-იანი წლების დასაწყისამდე, როცა გრიგოლ რობაქიძის მიერ 10-იანი წლებში დეკლარირებულმა „საქართველოს რენესანსის“ იდეამ ჩაილურის წყალი დალია...

ჩაკლული სული, ჩაკლული აზრი, განადგურებული გვაროვნული თუ სულიერი არისტოკრატია, – შემოქმედებითი ინტელიგენცია; ქართველთა (მათ შორის მწერალთა) უმაგალითო მსხვერპლი მეორე მსოფლიო ომში, – ყოველივე ამან დიდი ლახვარი ჩასცა ქართულ ლიტერატურას.

დღევანდელი თვალსაწიერიდან, 1937-ის მომდევნო, შემზარავი რეპრესიებისა და ტოტალური შიშის ათწლეული ყველაზე ტრაგიკულია ე. წ. საბჭოთა მწერლობის ისტორიაში. მაგრამ დადმართს აღმართი მოსდევს: ბალახის ღერომ გამოაღწია ნაცრისფერ ასფალტში, დამზრალი მიწიდან ენძელამ ამოჰყო თავი... ასე „მეტაფორულად“ მოველინა ქართულ პოეზიას ანა კალანდაძე. რეალურად კი, დროებითი „დათბობა“ თუ „გამოდარება“ 50-იანი წლების შუაწელს, კეთილისმყოფელი აღმოჩნდა: ქართულ ლიტერატურას დაუბრუნდა „ხალხის მტრების“ ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, ცენზურის სუსხის შესუსტებით ჩინებულად ისარგებლა ყველა თაობის მწერალმა.

ე. წ. „სამოციანელთა“ უნიჭიერესმა თაობამ და მათმა იმჟამინდელმა ერთობამ სიახლისა და თავისუფლების ხიბლი მოიტანა.

კვლავ გაცხოველდა „საქართველოს რენესანსის“ მინავლული მითი ქარ-

თულ ცნობიერებაში: ხან სიფრთხილით, შეფარულად, ხანაც ნართაულად და ჩაქარაგმებულად, ზოგჯერ, – აშკარად და დაურიდებლად. თავისუფალმა აზრმა ფორმის მრავალფეროვნება და ფორმალური სრულყოფილებისაკენ სწრაფვაც განაპირობა.

მოგვიანებით, კიდევ ერთი უცნაურობა გაცხადდა. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საჯაროობის დეკლარირების შემდეგ, რუსული ჟურნალ-გაზეთები და გამომცემლობები ვერ აუდიოდნენ ცნობილ ავტორთა ე. წ. „თართზე შემოდებული“ ანუ ცენზურის მიერ უარყოფილი თხზულებების ბეჭდვას. ჩვენში ამგვარი რამ თითქმის არ მომხდარა. როგორც ჩანს, მაშინ „პერიფერიას“ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რადგან ჩვენში არა მარტო შეითხზა, არამედ გამოქვეყნდა მრავალი ისეთი ნაწარმოები, რუსი მწერლები „უფრაში“ რომ ინახავდნენ. პარადოქსია, რომ დამონებულ საქართველოში ბევრი მწერალი ისე ლაღად და ოსტატურად წერდა, თითქოს „სოცრეალიზმის“ დოგმატი და ტოტალიტარული ცენზურა საერთოდ არ არსებულყო. სხვა საკითხია, რომ ჩვენდა სავალალოდ, დიდმა ქართულმა მწერლობამ რუსულ ჯებირს ვერა და ვერ გადააბიჯა.

თითქოს სიმბოლური იყო და იმედისმომცემიც, რომ დიდი თანამედროვე მწერალი ოთარ ჭილაძე ნობელის პრემიის ნომინანტი სწორედ 1999 წელს გახდა; ეს უპრეცედენტო ამბავი ისე ჩაიკარგა პოლიტიკურ ვნებათა ჭიდილში, რომ ვერც კი გავაცნობიერეთ სათანადოდ.

„ქართველი ხალხის ისტორია ოცდაათი საუკუნის ისტორიაა. ასურეთ-ბაბილონის მომსწრეებს ტელეფონისა და ელექტრონის ხანამდე მოგვიღწევია და დღეს გარემოება ისეთი დაგვიდგა, რომ იძულებული ვართ ჩვენი ვინაობის შესახებ ვილაპარაკოთ: იცოდეთ, თანამედროვე ხალხნო, რომ ჩვენცა ვართ... – ვემუდარებით ყველას. ოცდაათი საუკუნის ისტორია კი სადღაც ჩაიყლაპა“ – ეს ტკივილიანი სიტყვები არჩილ ჯორჯაძემ 1909 წელს გამოაქვეყნა.

„იქნებ ინამოს მსოფლიომ სილამაზისათვის ჯვარცმული ერი!“ – ეს 20 წლის ტიცინ ტაბიძის ნაოცნებარია.


გლობალიზაციის პირისპირ ვდგავართ და ახლა, 21-ე საუკუნეში გვიხდება ზრუნვა არა მხოლოდ იმისათვის, რომ უნიკალური ქართული კულტურა დავიცვათ და შევინარჩუნოთ, არამედ იმისათვისაც, რომ, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიომ კი არ „გვცნოს“ – გავიცნოს!

„მსოფლიო ცივილიზაციის ფერხულში ჩაბმა“ თუთიყუშის გულმოდგინებით გადმოღებული მასკულტურითა და „პოპსათი“ არ მოხერხდება. განა იმსახურებს ცივილიზებული სამყაროსაგან პატივისცემას უდარდელი, „ტაშფანდურა“ ერი, რომელსაც საკუთარი სულიერი მემკვიდრეობა ვერ შეუსწავლია და ვერ დაუფასებია სათანადოდ?


კომუნისტური ტოტალიტარიზმის ყველაზე შავბნულ პერიოდში მიხილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „ქართველებს მეორე ოქროს ხანა მოგველის და ვინც ამას დაიჯერებს, ის იმ ხანისათვის რაღაცას შეჰქმნის, შეამზადებს“... სწორედ მომავლის რწმენითა და იმედით შეიქმნა 20-ე საუკუნის დიდი ქართული მწერლობა. გვიჯობს, დავაფასოთ ან უკვე ლიტერატურულ მემკვიდრეობად ქცეული ეს საგანძური, როგორც კლასიკოსები იტყოდნენ, – ერის სული და ფიზიონომია.

გლობალიზაციამ ყველაზე მძიმე განსაცდელი ქართულ ენას მოუვლინა (არამარტო ქართულს: აღიარებული თვალსაზრისით, ინტერნეტმა საკმაოდ შერყვნა და გააღარბა ინგლისური – საერთაშორისო ენა).

„განუწყვეტელი ბრძოლა გადარჩენისათვის“ ენის სინმინდისათვის ბრძოლასაც გულისხმობს. რა შავ დღეშია ქართული ენა დღეს, – ყველას მოეხსენება. ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მისია ქართულ მწერლობას, – დედაენის დამაუნჯებელ ძვირფას საღაროს.



კრიტიკა



ნინო ვახანია

ლაშა გახარიას მართალი პოეზია

გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიით „ასი ლექსი“ **ლაშა გახარიას** კრებულს დასტამბა. შემდგენელი პოეტის მეუღლე – ნატიფი გემოვნების ქალბატონი, **როზა ბერიკაშვილია**, შესანიშნავი წინასიტყვაობის ავტორი კი – **ერეკლე საღლიანი**. **კახმეგ კუდავას** ამ წამონყებამ დიდი ხანია მიიპყრო მკითხველის ყურადღება და აღიარება დაიმსახურა. მჯერა, არც ეს კრებული დატოვებს გულგრილს პოეზიის მოყვარულთ.

პოეტი უფლის მოციქულია დედამიწაზე, საგანგებო დავალებით გამოგზავნილი. ყველანი უფლის წინაშე ვაგებთ პასუხს, მაგრამ რჩეულს პასუხისმგებლობაც მეტი აქვს ხოლმე... ეს პასუხისმგებლობა კარგადა აქვს გაცნობიერებული ლაშა გახარიას, რომელიც აქ წერდა, მაგრამ ცაში კითხულობდა. იგი შორიდან შეჰყურებდა საკუთარ შემოქმედებას და დიდი სამზერიდან მკაცრად აფასებდა. „ვით შემოგაკადროთ ეს ნასუფრალი?“ – უკვნესდა გული პოეტს, თუმცა სულ ამაოდ.

ლაშა გახარიასთვის ენა ყველაფერია, ენა თავად ღმერთია. პოეტი ეფერება, ესათუთება ქართულ ასოებს, ქართულ სიტყვას, ქართულს საერთოდ... ხუცესის, რუსთაველის, საბას... ქართულის მემკვიდრედ ყოფნა ადვილი არ არის, კაცი თავისი სურვილით ძნელად აიღებს ამოდენა ტვირთს, მაგრამ როცა ბედისწერას თავიდანვე ასე განუსაზღვრავს, სხვა რა გზა რჩება – უნდა ზიდოს მტანჯველი და თან საპატიო და სასიამოვნო ჭაპანი. ლაშა გახარია ღირსეული პატრონია ქართული ენისა. აღსანიშნავია, რომ პოეტს ძალიან ფრთხილად, ფაქიზად, ზომიერად შემოჰყავს მეგრულძირიანი სიტყვები და ამით ამდიდრებს, ალამაზებს, აკეთილშობილებს ლექსსა და ენას. ურშვინა, კურცხე, თანაფა, ოხვამური... ქართულისთვის ახალი კი არა, დიდი ხნის დავიწყებული ძველია და დასაკარგავად ვერგასამეტებელი.

პოეტმა იცის, რომ ლექსის ერთი სტრიქონიც შეიძლება მთელ ცხოვრებას უდრიდეს – ერთი, გულისგულში გამოტარებული, მართალი, ცრემლიანი სტრიქონი. ხომ ყველას გახსოვთ **ლადო ასათიანი**:

**რადგან ამქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო,
რადგან სხვა რამე, ლექსების გარდა,
ახლაც ვერ შევლის ტკივილებს ჩემსას,
მჯერა, ამ დიად ბუნების კართან
მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად.**

ახლა ლაშა გახარიას მოუსმინეთ:

**რადგან მე ლექსით ვცოცხლობ და ვსუნთქავ,
რადგან მე ლექსის საფლავს მოველი...**

ეს არ არის არც გავლენა, არც რემინისცენცია, ეს მონათესავე სულების შეხვედრაა.

ლაშა გახარიას ლექსების თემატიკა ტრადიციულ-ქართულია. დიდი ქართველების მსგავსად, მასაც სამივე დრო – წარსული, აწმყო და მომავალი ერთიან განცდაში აქვს მოცემული. დიდგორი ამიტომ წარსული არ არის, ხოლო სამშობლოსთვის თავდადებულთ სანთელს კი არა, თითო ტაძარს უნდა ვუნთებდეთ, რომ არ დავლაჩრდეთ, რომ არ ჩავქრეთ, რომ არ მოვისრათ, მხნეობა, მაგალითი, ორიენტირი არ უნდა დავკარგოთ.

და ბოროტების, სიკვდილ-სიცოცხლის, ღალატისა და ერთგულების მარადიულ საკაცობრიო წყვილებს პოეტის მზერაც მისწვდენია და ისე სულში ჩამწვდომად, სადად და უბრალოდ განუმარტავს, რომ დავიწყება შეუძლებელია...

ლადო ასათიანის „ბარდნალას“ თამამად უდგას გვერდით ლაშა გახარიას „მუხური“.

„ხემარდიანში ნანათა,
მუხებით გადამუხლული,
მთაზე მიწნული კალათა –
ჩემი ლახარა მუხური...“

სამშობლოს სიყვარული საკუთარი სოფლის, ორღობის, ოჯახის სიყვარულით იწყება. „წერილი დედას“ ერთგვარად პაოლო იაშვილს გვაგონებს. ჩამოდი, – ეხვეწება დედა, ჩამოვალ, – ირწმუნება პოეტი. დედაშვილური სიყვარული სოფლის იდილიის ფონზე სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, ზოგადდება და სამშობლოს განცდას უიგივდება. ხოლო „მუხურის მთვარეში“ ლაშაში მეტაფორა შემოგვანათებს: „მზემ თოთო თუთა ამოიყვანა და შეამშრალა სველ ცას ხელები“ და გამჭვირვალე ციდან უფლის ყოვლისმხედველი თვალი დაგვყურებს და გვანუგეშებს. ალიტერაცია არ ქმნის ლექსს, მაგრამ ლექსის სამკაული, დამამშვენებელია. „ატენს ირთვება ატამი – შინდისელ შინდზე თხოვდება“, „ბონდზე ბოდავს აბლაბუდა ნისლი“, „წყალგამშრალი ბღავის ხობისწყალი“ და მრავალი კიდევ სხვა ისეთი ალიტერაციებია, რომლებიც მართო გარეგნულ ეფექტს არ ქმნის. ყოველი მათგანი შინაარსის გახსნას, სათქმელის ზუსტად გადმოცემას, ნაფიქრ-ნაზრებისა და ნანახ-განცდილის მკითხველის გულამდე მიტანას ემსახურება. ამიტომაცაა ყოველი მხატვრული საშუალება, პოეტის მიერ გამოყენებული, ასე მნიშვნელოვანი და ღრმა დატვირთვის მქონე.

ამ პატარა ნიგნში საკაცობრიო საფიქრალი ეროვნულს შეთანადებია, მოყმის დედისა და ვეფხვის დედის დარდს გაუსენავს სტრიქონები.

აქ სამყაროს ჰარმონია ირეკლება. სიცოცხლე თავისი მრავალფეროვნებით უფლის საჩუქარია, ამიტომ უნდა ძალ-ღონე მის ღირსეულად ტარებას. ქართველობა კი საამაყოცაა და საშიშიც ერთსა და იმავე დროს. იმიტომ, რომ იცი: „ნისლზე მჩატეა ქუდი სვანისა, მაგრამ... მძიმეა მისი ტარება“. იმიტომ, რომ კითხულობ: „მართლა ოთხია კვლა სახარება, თუ ერთით მეტი – „ვეფხისტყაოსნით!“ იმიტომ, რომ ნატრობ: „ნეტავ, ამ თვალებს ჩაექცეთ ფსკერი, რომ ჩაიტიონ ეს სილამაზე“... და ასე დაუსრულებლად.


პოეტს შეუძლია ყოველდღიური ყოფის ნაცრისფერობა გაგვიფერადოს, პოეზიად აქციოს სრულიად არაპოეტური, მიწიერი, წვრილმანი მოვლენები; პოეტს შეუძლია ჩვენივე ტკივილები ხელისგულზე დაგვიდოს და სახიერად შეგვგრძნობინოს. ყველა ქართველის სატკივარი ასე გადმოგვცეს:


„და მენანება სხვის თითზე რინა –
განბილებული სასძლო ბეჭედი“.

და თუმცა იქ ისევ წვიმს ან ქარია, დღე დღეს მიჰყვება, წელი წელს. მაგრამ... დრო დგას, დრო არ მიდის, დრო გაყინულა. „ყველას თავისი დრო აქვს ამქვეყნად – დიდი საქმეებისთვის მცირე, წვრილმანებისთვის თავზე საყრელი“ (ბესიკ ხარანაული). ვისთვის რა არის დროის ათვისების წერტილი და საზომი, ლაშა გახარიასთვის კი თამარის მერე დრო სულ დგას, ამიტომ სვამს პოეტი ლექსის ბოლოს ცრემლის წერტილებს და, ბოლოს და ბოლოს, პოეტობაც ხომ სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ:

„პოეტი... ერთი სანთლით მეტია,
ერთი საფლავით სხვაზე ნაკლები“.

„ნურც სველ ლექსებზე დამემდურები, სულ წვიმდა... სული სადღა გამემრო!“ – მოგვმართავს მკითხველს და თავის გაშიშვლებულ, სათუთ, სველ სულს განძად და სახსოვრად გვიძღვნის.





ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი (1874-1948) მიმოიხილავს რუსი სიმბოლოსტების ნიჭიერი წარმომადგენლის, ანდრეი ბელის (1880-1934) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო რომანს „პეტერბურგს“. მწერალი გვიხატავს ერთგვარ ანალიტიკურ სურათს. ეს არის გარდამავალი პერიოდი, როცა ხელოვნება გარკვეულ კრიზისში შედის, გაუფერულებას იწყებს კლასიკურად მშვენიერი ხელოვნების იდეალი, ხელოვნება აღარ ქმნის სილამაზეს, ჩნდება რღვევის ტკივილიანი განცდა, ახალი გზების ძიების სურვილი. ბელის, როგორც ამ ახალი ეპოქის წარმომადგენლის შემოქმედება არ არის სიმშვიდის, სიხარულის მომგვრელი, ადამიანი აქ გაორებულია, აღარ აღიქმება, როგორც ერთი მთლიანი, იგი კოსმიური მგრძობელობითაა შეპყრობილი, სადღაც იყურება, ხან სულიერად ეცემა, ხან სადღაც ეძებს, ელოდება, მაგრამ კათარზისამდე ვერასოდეს მიდის.

ნიკოლაი ბერდიაევი

ასტრალური რომანი

(ფიქრები ანდრეი ბელის რომანის – „პეტერბურგის“ გამო)

1.

პეტერბურგი უკვე აღარ არსებობს, ამ ქალაქის ცხოვრება ბიუროკრატიული იყო, ბიუროკრატიული იყო მისი დასასრულიც. გაჩნდა ჩვენთვის გამოუცნობი, ჩვენი ყურისთვის უცხოდ მოსასმენი პეტროგრადი. გაქრა არა მხოლოდ ძველი სიტყვა და მის ადგილას იშვა არა მხოლოდ ახალი, არამედ დასრულდა მთელი ისტორიული პერიოდი და შევდივართ ახალ, ჩვენთვის გამოუცნობ ხანაში. იყო რაღაც უცნაური, რაღაც შემადრწუნებელი პეტერბურგის წარმოშობაში, მის ბედში, მის დამოკიდებულებაში მთელ ამ უზარმაზარ რუსეთთან, ხალხის ცხოვრებისგან მის მოწყვეტაში, მის გაუცხოებაში, მის როგორღაც ერთბაშე, მბრძანებლურ დამპყრობლობასა და მოჩვენებითობაში. პეტრეს მაგიური ნებ-ელობით, პეტერბურგი არაფრისგან, ჭაობების ნისლიდან იშვა. პუშკინმა თავის „სპილენძის მხედრით“ საშუალება მოგვცა პეტერბურგის ცხოვრება გვეგრძნო. სლავიანოფილ-მენიადაგე დოსტოვესკიც უცნაურად არის პეტერბურგთან დაკავშირებული, უფრო მეტად, ვიდრე მოსკოვთან, მასში იგი რუსეთის შემოღობილი სტიქიას ხედავს, მისი გმირები უმეტესწილად პეტერბურგელები არიან, პეტერბურგის ჯანლსა და თოვლჭყაპთან დაკავშირებულნი. მის ნაწერებში იპოვი გასაოცარ ფურცლებს პეტერბურგის შესახებ, მისი მოჩვენებითობის შესახებ. რასკოლნიკოვი სადავოისა და სენნი რინოკის ახლომახლო დაეხეტება და ჩადენილ დანაშაულზე ფიქრობს. როგორღაც დანაშაულს გოროხოვოზე სჩადის. მენიადაგე დოსტოვესკის უყვარს უნიადაგო გმირები, რომელთაც შეიძლება ბოდა მხოლოდ პეტერბურგის ატმოსფეროში ეარსებათ. ეს ქალაქი, განსხვავებით მოსკოვისგან, კატასტროფული ქალაქია. ასეა გოგოლის პეტერბურგულ მოთხრობებშიც – იქ იგი პეტერბურგულ საშინელებებზე გვიყვება. მოსკოველ სლავიანოფილებს პეტერბურგი საზღვარგარეთულ ქალაქად მიაჩნიათ და ეშინიათ მისი, რისთვისაც აქვე კიდევაც საფუძველი, ვინაიდან პეტერბურგი მოსკოვურ-სლავიანოფილური დიდსულოვნებისთვის მუდმივი მუქარა, საშინელება იყო, თუმცა ის, რომ სლავიანოფილებს პეტერბურგი სრულიად არარუსულ ქალაქად ეჩვენებათ, მათი პროვინციული ცდომილება, მათი გამიჯნულობაა, თუმცა მერე და მერე დოსტოვესკიმ თავიდან აიცილა ეს დაბნეულობა.

პეტერბურგის ეფემერულობა წმინდა რუსული ეფემერულობაა, რუსული წარმოსახვით შექმნილი მოჩვენება. პეტრე დიდი თავით ფეხამდე რუსი კაცი იყო, ხოლო პეტერბურგის ბიუროკრატია პეტერბურგის ბიუროკრატიათა გერმანულის მიმცნობამ შექმნა. ეს ისევე ზუსტია, როგორც ის, რომ რუსული არისტოკრატის თავისებური ფრანგული ასევე რუსული ნაციონალური სტილია, ისეთივე რუსული, როგორც რუსული ამპირი. პეტერბურგული რუსეთი ჩვენი სხვა ნაციონალური სახეა, მოსკოვური რუსეთის რაობის, მისი ხასიათის გვერდით.

პეტერბურგზე რომანის დაწერა მხოლოდ იმ მწერალს შეეძლო, ვისაც კოსმიური ცხოვრების განსაკუთრებული შეგრძნება ჰქონდა, შეგრძნება ეფემერული ყოფისა. დიახ, ჩვენ გვყავს ასეთი მწერალი! ეს ის არის, ვინც რომანი „პეტერბურგი“ დაწერა, დაწერა ზუსტად პეტერბურგისა და რუსეთის ისტორიის პეტერბურგული პერიოდის დასასრულის წინ. რომანი ჩვენი ესოდენ უცნაური დედაქალაქისა და მისი უცნაური ისტორიის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. „პეტერბურგში“, დოსტოვესკისა და ტოლსტოის დროის შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ რუსულ რომანში, მართალია, არ არის ამ ქალაქის ცხოვრე-

ბა მთელი სისასვით წარმოდგენილი, მთელმა პეტერბურგმა ვერ პოვა იქ ადგილი, ვინაიდან ავტორისთვის ეს ყველაფერი არც ისე ადვილად ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ ამ საოცარ რომანში სრულად არის შეცნობილი და წარმოსახული რაღაც ძალიან დამახასიათებელი პეტერბურგისათვის. ეს არის გოგოლისეული ტიპის მხატვრული შემოქმედება, ამიტომაც ადვილი შესაძლებელია გაგვიჩინდეს ავტორის დადანიშნულების სურვილი რუსეთის მიმართ ცილისწამების, მისი უკეთურობისა და სიმახინჯის განსაკუთრებული აღქმის გამო, ვინაიდან მასში ძნელია იპოვო ადამიანი, ვინც ღმერთის ხატად იქნებოდა შექმნილი. და მაინც, ანდრეი ბელი ამ ბოლო ლიტერატურული ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალია, ორიგინალური მხატვრული პროზის სრულიად ახალი ფორმის, ახალი რიტმის შემქმნელი. ჩვენდა სამარცხვინოდ, ის ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული, თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ გავა დრო და მისი გენიალობა აღიარებული იქნება, როგორც მწერლისა, ვისაც შეიძლება სრულყოფილი ქმნილება არ გამოუვიდა, მაგრამ ახლებურად შეიგრძნო რაღაც საოცრად განმაცვიფრებელი და იგი ახალი, აქამდე არარსებული მუსიკალური ფორმით ასახა. დადგება დრო, როცა მას დიდ რუს მწერლებს დაუყენებენ გვერდით, როგორც გოგოლისა და დოსტოევსკის ჭეშმარიტ გამგრძელებელს. ეს ადგილი მან უკვე შემოიფარგლა თავისი რომანით – „ვერცხლის მტრედით“. მხოლოდ ბელისთვის არის დამახასიათებელი ის შინაგანი რიტმი, რომელიც მის მიერ აღქმულ ახალ კოსმიურ რიტმთან არის სრულ შესაბამისობაში. მისმა მხატვრულმა ზეშთაგონებამ გამოხატულება მის სიმფონიებში, მის იმ ფორმებში პოვა, რომელიც ლიტერატურაში აქამდე არასოდეს შეგვხვედრია. ბელი, როგორც მოვლენა, ხელოვნებაში შეიძლება სკრიაბინის გვერდით იქნეს დაყენებული. შემთხვევითი არ არის, რომ, როგორც ერთთან, ისე მეორესთან შეიმჩნევა მიდრეკილება თეოსოფიისა და ოკულტიზმისაკენ, რაც ახალი კოსმიური ეპოქის შეგრძნებასთან არის დაკავშირებული.

2.

მხოლოდ ბელისთვის არის დამახასიათებელი სამყაროსეული ყოველგვარი საგნის განფრქვევის, დეკრისტალიზაციის, საგნებს შორის დადგენილი საზღვრების რღვევისა და გაქრობის მხატვრული შეგრძნება. მასთან თვით ადამიანთა სახეებიც დეკრისტალიზდება, იკარგება ერთი ადამიანის მეორე ადამიანისგან გამყოფი მყარი საზღვრები, იკარგება გარემომცველ სამყაროში არსებული საგნების განმაცალკევებელი ხაზები, ინგრევა ჩვენი სხეულებრივი სამყაროს სიმყარე, მისი შემოსაზღვრულობა, მისი კრისტალიზებულობა. ერთი ადამიანი გადადის მეორე ადამიანში, ერთი საგანი – მეორე საგანში, ფიზიკური სიბრტყე – ასტრალურ სიბრტყეში, გონებრივი პროცესი – ყოფიერების პროცესში. ხდება გადაადგილება და გადაადგილება სხვადასხვა სიბრტყეების. რომანის გმირი – ნიკოლაი აპოლონოვიჩი არის ქედმაღალი ბიუროკრატის, კოგენიანელისა და რევოლუციონერის ვაჟიშვილი, ვინც საკუთარ სამუშაო ოთახს გასაღებით კეტავს, როცა ეჩვენება, რომ ისიც, ოთახიც, იმ ოთახის ფარგლებიც და სამყაროსეული რეალური საგნებიც ერთ წუთში გონებისთვის მისაწვდომ სიმბოლოებად გარდაიქმნება, წმინდა ლოგიკურ აზრთანყოფად... ოთახის სივრცეც და თავად მისი მგრძნობელობადაკარგული სხეულიც ყოფიერების იმ საერთო ქაოსში ირევა, რასაც ის სამყაროს უწოდებს. ნიკოლაი აპოლონოვიჩის სხეულიდან გამოცალკევებული ცნობიერება ელექტრონათურით იმ საწერ მაგიდას უერთდება, რასაც „ცნობიერების მზე“ ეწოდება. იკეტება რა თავის სამუშაო ოთახში, აწონ-დაწონის რა ნაბიჯ-ნაბიჯ სისტემის ერთობამდე აყვანილ თავის მდგომარეობას, „სამყაროში“ ანუ ოთახში განფენილ თავის სხეულს გრძნობს. სხეულს, რომლის თავი ლამაზი აბაჟურის ქვეშ ელექტრონათურის მინაში ინთხევა. აქ აღწერილია ნიკოლაი აპოლონოვიჩის მედიტაცია, რომლის მეშვეობითაც ხდება მისი საკუთარი ყოფიერების გახლეჩა. ამის უკან ანდრეი ბელის მხატვრული ხედვა იმალება და ამ ხედვაში, როგორც მისი საკუთარი, ისე მთელი სამყაროსეული რაობის გახლეჩა ხდე-



ფოტოზა
ანდრეი ბელი
(ლეონ ბაქსტის ნახატი)



ბა. ირღვევა საზღვრები, რომელიც ეფემერულს ყოფითისგან გამოაცალკევებს. რომანში ყველაფერი ბიუროკრატი მამის, სენატორის, დანესებულების ხელმძღვანელის, საიდუმლო მრჩევლის – აპოლონ აპოლონოვიჩ აბლეუხოვის და მისგან ძლივს გამოცალკევებული რევოლუციონერი შვილის, პირუკუ ბიუროკრატის – ნიკოლაი აპოლონოვიჩის გონებრივი თამაშია. ძნელია განსაზღვრა, სად თავდება მამა და სად იწყება შვილი. ეს მტრები, ბიუროკრატიისა და რევოლუციის ურთიერთდაპირისპირების სანყისის წარმომადგენლები, როგორცაც არაკრისტალიზებული, უფორმო მთელში ერევიან. საზღვრების რღვევისა და ურთიერთშერყვის მსგავსებაში სიმბოლიზდება ისიც, რომ ჩვენი რევოლუცია – ბიუროკრატიის ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანია და ისიც, რომ მასში ხრწნისა და სიკვდილის თესლია ჩადებული.

ყველაფერი ყველაფერში გადადის, ყველაფერი ერთმანეთში ირევა და იშლება. იცვლება მატერიის განმამტკიცებელი საზღვრები. ბელისთვის, როგორც მწერლისა და მხატვრისათვის დამახასიათებელია ის, რომ მასთან ყოველთვის იწყება სიტყვებისა და სიტყვათშენყობის ტრიალი და სიტყვათშენყობის ამ გრიგალში ხდება ყოფიერების განფრქვევა, გადანაცვლება საზღვრებისა. ბელის გამომხატველობითი ხერხები, მისი სტილი, როგორც წესი, ბოლოს ყოველთვის გაშმაგებულ წრიულ მოძრაობაში გადადის. მის ხელწერაში არის რაღაც შოლტისებური სტიქია. ეს გრიგალისებური მოძრაობა ა. ბელიმ კოსმიურ ცხოვრებაში შეიგრძნო და საამისო ადეკვატური გამოთქმა სიტყვათშენყობის ქარიშხალში პოვა. ანდრეი ბელის ენა არ არის კოსმიური ცხოვრების მისეულ შეგრძნებათა წარმოსახვის სხვა, უცხო ენაზე თარგმანი, როგორც ამას ჩურლიანისის მხატვრულად უსუსურ მხატვრობაში ვხედავთ, არამედ ეს არის სიტყვებით კოსმიური გრიგალების პირდაპირ ასახვა. მწერალს შეიძლება მხოლოდ თავშეუკავებელი სტილის გამო ვუსაყვედუროთ, ვინაიდან ამ მხრივ ის ხშირად გადადის საზღვარს. ბელის, როგორც მხატვრის, გენიალობა კოსმიური განფრქვევისა და კოსმიური გრიგალების თანხედრობაშია, სიტყვების განფრქვევის, სიტყვათშენყობის გრიგალების თანხედრობაში. სიტყვათშენყობისა და თანხმეობის გრიგალისმიერ ნუჟრებში ცხოვრებისეული და კოსმოსისეული დაძაბულობის ის კვანძები ჩნდება, რომელსაც კატასტროფისკენ მივყავართ. ანდრეი ბელი ალღობს და განაფრქვევს სიტყვის კრისტალებს, სიტყვის მყარ ფორმას, რომელიც მარადიული გეჩვენება და ამით გამოხატავს ყოველი საგნის, „საგნობრივი სამყაროს“ კრისტალების ღღობას და განფრქვევას. კოსმიური გრიგალები თითქოს გათავისუფლდა და ანგრევს, განაფრქვევს მთელ ჩვენ დამჯდარ, კრისტალიზებულ სამყაროს. „სამყაროს ქსოვილი იქ ფურინულ ქსოვილად არის წარმოდგენილი“, – ამ სიტყვებით ა. ბელი კარგად ახასიათებს იმ ატმოსფეროს, სადაც რომანის მიხედვით მოქმედება ხდება. აი, როგორ წარმოუდგენია მას ქალაქი პეტერბურგი: „პეტერბურგო, პეტერბურგო, ნისლით გარემოცული, მანვალე, მოსვენებას არ მაძლევ ფუჭი გონებითი თამაშით, შენ, გულქვა და დაუნდობლო, შენ, მშფოთვარე მოჩვენება, შენ, ვინც დიდხანს, მთელი წლობით მესხმოდი თავს და მეც გავრბოდი და გავრბოდი შენს საშინელ პროსპექტებზე, გაქანებული ავფრინდებოდი იმ თუჯის ხიდზე, რომელიც დედამინის დასალიერში იწყება, რათა უკიდევანო შორეთში წაგეყვანე. ნოვოის იქით, დემიმინდენში, იქ, სადაც ოდნავ განათებული მწვანე შორეთია, ისეც აღორძინდა კუნძულთა და შენობათა აჩრდილები, იმ ფუჭი იმედით ცდუნებულნი, რომ ეს მხარე ნამდვილია და რომ ეს ის არამოზუზუნე უკიდევანობაა, რომელიც პეტერბურგის ქუჩაში ღრუბლების უფერულ კვამლს გამოაფრქვევს“.

3.

ლიტერატურაში ანდრეი ბელის შეიძლება კუბისტი ვუნდოთ, ხოლო მხატვრობაში ფორმალურად შეიძლება პიკასოს დავუყენოთ გვერდით. კუბისტური მეთოდი გულისხმობს საგნების ანალიტიკურ და არა სინთეტიკურ ანუ მთლიანობაში აღქმას. ფერწერაში კუბიზმი ეძიებს საგნების გეომეტრიულ

ფოტოჟა

პეტერბურგი (XIX ს.)

ჩონჩხს, იგი სხეულს ცრუ საფარს ხდის და ესწრაფის კოსმოსის შინაგან წყობას ჩასწვდეს. პიკასოს კუბისტურ ფერწერაში კვდება ხორცშესხმული სამყაროს სილამაზე, ყველაფერი იხრნება, ყველაფერი შრებად იშლება. ლიტერატურაში კუბიზმი თავისი ზუსტი მნიშვნელობით არ არსებობს, მაგრამ იქ შეიძლება კუბისტური ფერწერის რაღაც ანალოგიური, რაღაც პარალელური იყოს. ბელის შემოქმედება არის სწორედ კუბიზმი მხატვრულ პროზაში, რაც ასე თუ ისე შეიძლება პიკასოს ფერწერულ კუბიზმს მივუსადაგოთ. ანდრეი ბელისთან სამყაროს სხეულს მთლიანი საფარი ეხდება, ორგანული სახეობები მისთვის უკვე მთლიანი აღარ არის, იგი ლიტერატურაში ორგანული მატერიის ფენებად დაშლის კუბისტურ მეთოდს იყენებს, თუმცა შეუძლებელია ვილაპარაკოთ ბელიზე კუბისტური ფერწერის გავლენის შესახებ, ვინაიდან დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მას თითქმის არ იცნობდა. მისთვის კუბიზმი არის მისი საკუთარი, თავისებური აღქმა სამყაროსი, რაც ასე დამახასიათებელია რუსული გარდამავალი ეპოქისათვის. ანდრეი ბელი, გარკვეული აზრით, ერთადერთი ჭეშმარიტი, ყურადსაღები ფუტურისტი რუსულ ლიტერატურაში. მასში კვდება ძველი კრისტიანიზებული სილამაზე სამყაროსი და იბადება ახალი სამყარო, რომელშიც ჯერ კიდევ არ არის სილამაზე. ანდრეი ბელის მხატვრულ ხელწერაში ყველაფერი ისევე გადაადგილდება თავისი ძველი ადგილებიდან, რომელიც მარადიული გვეჩვენება, როგორც ეს ფუტურისტებთან ხდება. იგი არ წერს ფუტურისტების სააგიტაციო მანიფესტებს, ის სხვა რამეს – სიმბოლისტურ მანიფესტებს წერს და მთელი თავისი არსებითა და თავისი შემოქმედებით ანგრევს ყველა ძველ ფორმას და ახალს ქმნის. ბელის ორიგინალობა იმაშია, რომ იგი თავის კუბიზმსა და ფუტურიზმს უერთებს ნამდვილ, უშუალო სიმბოლიზმს, მაშინ როდესაც ფუტურისტები სიმბოლისტებს, როგორც წესი, კატეგორიულად უპირისპირდებიან. მაგალითად, ნიუელი დომინო, რომელიც ყველგან გვხვდება კუბისტურ-ფუტურისტულ „პეტერბურგში“, არის შესანიშნავი, შინაგანად დაბადებული სიმბოლო რევოლუციისა, რომელიც მოცემულ ვითარებაში არარსებული, მაგრამ მოახლოებადია. შემოქმედებითი ხერხების მიხედვით ბელის წინამორბედად ევროპულ ლიტერატურაში შეიძლება დავასახელოთ ჰოფმანი, რომლის გენიალურ ფანტასტიკაში ასევე ინგრევა ყველა საზღვარი, ყველა სიბრტყე, ასევე ირევა ერთმანეთში ყველაფერი, ასევე იყოფა და ასევე გადადის სხვაში. ანდრეი ბელი პირდაპირი გამგრძელებელია გოგოლისა და დოსტოევსკის. მსგავსად გოგოლისა, ადამიანის ცხოვრებაში ისიც უფრო მეტ სიმახინჯეს, მეტ საშინელებას ხედავს, ვიდრე სილამაზეს და ჭეშმარიტ, მყარ ყოფიერებას. გოგოლი ბებერ, ორგანულად მთლიან სამყაროს დანანევრებულად აღიქვამს, მისთვის ადამიანის სახე იშლება, ნანევრდება, ცხოვრების სიღრმეში იგი იმ მახინჯებს და ურჩხულებს ხედავს, რომლებიც შემდეგში სხვაგვარად ჩნდებიან პიკასოს ნახატებში. გოგოლმა სრულიად განყვიტა კავშირი პუშკინის ყოველთვის მშვენიერ, ჰარმონიულ მსოფლშეგრძნებასთან, მის მსოფლმხედველობასთან. ასეა ანდრეი ბელიც.

ბელის არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ის, რომ „პეტერბურგში“ ზოგჯერ მეტისმეტად ჰზაძავს დოსტოევსკის, მეტისმეტად არის დამოკიდებული მის რომანზე – „ეშმაკებზე“. ზოგიერთი სცენა, მაგალითად, სცენები ტრაქტირისა და პოლიციის აგენტის შესახებ პირდაპირ დოსტოევსკისაგან არის კოპირებული. ამ ადგილებში ბელი ღალატობს საკუთარ სტილს, არღვევს თავისი რომან-სიმფონიის რიტმს. მართალია, დოსტოევსკისთან შინაგანად არის დაკავშირებული და ამის გამო არ შეიძლება უსაყვედურო, მაგრამ უთუოდ თავისუფალი უნდა ყოფილიყო თავის მხატვრულ ხერხებში, მტკიცედ დაეცვა საკუთარი სტილი. და მაინც დიდი განსხვავებაა ბელისა და დოსტოევსკის შორის, ისინი სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნიან. ცხოვრების აღქმა-შეცნობით ბელი უფრო კოსმიურია, ხოლო დოსტოევსკი უფრო ფსიქოლოგ-ანთროპოლოგი. დოსტოევსკისთვის უფსკრული ადამიანის სიღრმეში, მის სულში იხსნება, მაგრამ ადამიანის ხატი გამოყოფილია, ცალკე დგას კოსმიური უფსკრულისაგან. იგი ადამიანს აღიქვამს როგორც ორგანულ მთელს, ადამიანში იგი ყოველთვის ღვთის ხატს ხედავს. ბელი კი იმ ახალი ეპოქის შვილია, როცა





ეჭვქვეშ დგება ადამიანის მთლიანობაში აღქმა. ანდრეი ბელი ადამიანს კოსმიურ უსასრულობაში ძირავს, კოსმიურ გრიგალებს დასაფლეთად აძლევს. იკარგება ადამიანის ელექტრონათურისგან გამყოფი საზღვარი. იხსნება ასტრალური სამყარო. ფიზიკური სამყაროს მყარი საზღვრები ადამიანის დამოუკიდებლობას საპირისპირო მხრიდან იცავს, იცავს მის საკუთარ მყარ საზღვრებს, მის კრისტალურ მოხაზულობას. ასტრალური სამყაროს, სულისა და მატერიის ამ შუალედური სამყაროს ჭვრეტა კი წმენდს საზღვრებს, ახდენს როგორც ადამიანის, ისე მისი გარემომცველი სამყაროს დეკრისტალიზაციას. ბელი ასტრალური პლანის, ასტრალური მიმართულების მხატვარია, რომელშიც შეუმჩნევლად გადადის ჩვენი სამყარო, კარგავს რა თავის სიმყარესა და გამოკვეთილობას. ყველა ეს გრიგალი – ასტრალურის გრიგალება და არა ფიზიკური სამყაროსი. „პეტერბურგადი“ ასტრალური რომანია, რომელშიც ყველაფერი უკვე გადის ამ სამყაროს ფიზიკური სხეულის საზღვრებიდან, ყველაფერი უფსკრულში ინთქმება. სენატორი უკვე ორ და არა ერთ სივრცეს ხედავს.

4.

ანდრეი ბელი მხატვრულად ხსნის რუსული ბიუროკრატის განსაკუთრებულ მეტაფიზიკას. ბიუროკრატიაში – ეს ის ეფემერული ყოფაა, ის გონითი თამაშია, რომელშიც ყველაფერი სწორი ხაზებით, კუბებით, კვადრატებით არის შედგენილი. ბიუროკრატიაში რუსეთს ცენტრიდან გეომეტრიული მეთოდით მართავენ. ბიუროკრატის მოჩვენებითობა მოჩვენებით რევოლუციას შობს. შემთხვევითი არ არის, რომ ნიკოლაი აპოლონოვიჩი კოგენიანელი ხდება, ანუ თავისი ფილოსოფიური მსოფლხედვით ყოფიერების რეალურობას ვერ შეიგრძნობს, სწორედ ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ იგი სულით ხორცამდე ბიუროკრატისთან არის დაკავშირებული. იმ ეფემერულობამდე, რომელიც „პეტერბურგის“ ასტრალურ პლანში გადადის, რუსეთის სიღრმიდან, ხალხის ცხოვრების ნიალიდან არაფერი აღწევს. რევოლუციური კომიტეტის ცენტრალიზმი ისეთივე ეფემერულია, როგორც ბიუროკრატული დაწესებულებების ცენტრალიზმი. ლპობის პროცესი ბიუროკრატიაშიდან რევოლუციონიზმში გადადის. პროვოკაცია საზოგადოებაში ბურში ხვევს რევოლუციას, აშიშვლებს მის მოჩვენებით-ეფემერულ ხასიათს და ყველაფერი სატანისებურ გრიგალებში ირევა.

ანდრეი ბელი არ არის რევოლუციური იდეის მტერი. მისი თვალთახედვა სულაც არ არის ის, რაც დოსტოევსკის „ემშაკებია“. მისთვის ბოროტება, რომელიც რევოლუციას სდევს, ძველი რუსეთის ბოროტებიდან მოდის. არსებითად, მისი სურვილია, მხატვრულად ამხილოს პეტერბურგის პერიოდის რუსული ისტორიის მოჩვენებითი ხასიათი, ჩვენი ბიუროკრატის დასავლურობა, დასავლურობა ჩვენი ინტელიგენციისა, ისევე, როგორც „ვერცხლის მტრედში“ ამხილა აღმოსავლური სტიქიის სიბნელე რუსი ხალხის ცხოვრებაში. ანდრეი ბელი, მსგავსად გოგოლისა, მონოდებული არ არის გამოაშკარაოს და ასახოს დადებითი, ნათელი და მშვენიერი. იგი ერთ-ერთ თავის ლექსში, თავის რუსეთს, რომელიც მას ასეთი უცნაური სიყვარულით უყვარს, მოუნოდებს განიბნეს სივრცეში. რუსეთზე დაწერილი მისი რომანებიდან გრჩება კიდევ შთაბეჭდილება, რომ რუსეთი განიბნევა სივრცეში, რომ იგი ასტრალურ მტერად იქცევა. მას უყვარს რუსეთი გამანადგურებელი სიყვარულით, უყვარს და სჯერა, რომ ის მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღორძინდება... დიახ, ახასიათებს ასეთი სიყვარული რუსულ ბუნებას.

მთელი ბიუროკრატული, რევოლუციური და კანტიანურ-გნოსეოლოგიური მოჩვენებითობა თავს ნიკოლაი აპოლონოვიჩში იყრის. გარდა ამისა, ავტორი მასში კიდევ ერთ საშინელებას წარმოაჩენს. ანდრეი ბელის შიში მონღოლური საფრთხის წინაშე მასში ვლადიმირ სოლოვიოვისაგან მოდის მემკვიდრეობით. იგი მონღოლურ სტიქიას თავად რუსეთის შიგნით, რუს ადამიანში შეიგრძნობს. ნიკოლაი აპოლონოვიჩი, ისე, როგორც მისი ბიუროკრატია, სენატორი მამა – მონღოლია, თურანელია, რუსეთს მონღოლური საწყისი მართავს, ის კი არა, თვით რუსეთის დასავლეთშიც აშკარად მონღოლური აღმოსავლეთი იკითხება.

კანტიანელობაშიც კი მას თურანულ-მონღოლური საწყისი ელანდება. ბელი პეტერბურგის დასასრულს, მის საბოლოო განბნევას წარმოსახავს. სპილენძის მხედარმა გასრისა ადამიანი პეტერბურგში. სპილენძის მხედრის ხატი ბატონობს „პეტერბურგის“ ატმოსფეროზე და ყველგან თავის ასტრალურ ორეულს აგზავნის.

5.

ბელიში არ არის რუსული იდეოლოგია და არც მისი მოძიება სჭირდება. მასში უფრო დიდი, უფრო მეტი რამაა, ვიდრე რუსული იდეოლოგიური ცხოვრებაა, მასში რუსული ბუნება, რუსული სტიქიაა, იგი მთელი არსებით რუსია. მის სულში რუსული ქაოსი ტრიალებს, მისი მონყვევა რუსეთისგან, ისევე, როგორც გოგოლისა, მოჩვენებითია. მას კიდევაც უყვარს რუსეთი და კიდევაც უარყოფს მას. ჩაადაევსაც ხომ უყვარდა რუსეთი! სულ ცოტა ხნის წინ ბელიმ გამოაქვეყნა ლექსი, სადაც ასეთი სტრიქონებია:

**„ჩემო ქვეყანავ,
მშობლიურო ქვეყანავ ჩემო,
შენი ვარ!
მე შენი ვარ!..
მკერდში ჩამიკარ მოქვითინე და არასმცოდნე,
გადამაფარე
დაცვარული შენი ბალახი...“**

ეს ლექსი იმის აღიარებით მთავრდება, რომ მას სწამს, რუსული ღამის იქით „ის“ არის, რომ რუსეთის საშინელი წყვდიადისა და ქაოსის იქით ქრისტეა. მან იცის, შინაგანად გრძნობს, როგორი საშინელი, როგორი შემადრწუნებელი და სახიფათოა რუსული ქაოსი, მაგრამ ძალა არ შესწევს თავის თავში რუსული ნება, რუსული ცნობიერება გააღვიძოს. ნებელობისა და ცნობიერების დისციპლინებს იგი სულ დასავლეთში ეძებს, თუმცა შეიძლება ეჭვიც შეგეპაროს, იპოვის კი იქ იმას?.. ფვიქრობ, ბოლოს და ბოლოს ბელი დაუბრუნდება რუსეთს და სინათლეს მის სიღრმეში დაუწყებს ძებნას.

„პეტერბურგს“ მხატვრულობის მხრივ ერთი დიდი ნაკლი აქვს, მასში ესთეტიკურად მრავალი რამ მიუღებელია – სტილი ზომიერებას არის მოკლებული, დასასრული მოულოდნელი, შინაგანად ნაკლებ საჭირო და შემთხვევითია. ადგილ-ადგილ იგრძნობა, რომ მეტისმეტად არის დოსტოევსკიზე დამოკიდებული. მის მხატვრულ შემოქმედებაში არ არის კათარზისი, არის ყოველთვის რაღაც მეტისმეტად გამანვალბებელი, ვინაიდან, როგორც მხატვარი, არც თვითონ მალდება იმ სტიქიაზე, რომელსაც წარმოსახავს, ვინაიდან იგი თავად კოსმიურ გრიგალსა და განფრქვევაშია ჩანთქმული, ვინაიდან იგი თავადაც კომმარშია. მის რომანში არ არის არა მხოლოდ იდეოლოგიური, გაცნობიერებული გამოსავალი, არ არის არც კათარზისული გამოსავალი. ის კი არ გათავისუფლებს, არამედ უმძიმეს კომმარში გტოვებს. იგი მშვენიერი, სრულყოფილი ხელოვნების საზღვრებიდან გადის. მისი ხელოვნება მისი ყოფაა, მისი ქაოსია, მისი გრიგალისებური მოძრაობაა, მისი კოსმიური შეგრძნებაა და მასში სწორედ ეს არის ახალი და უჩვეულო. ეს უნდა მიიღო და დამშვიდება არ უნდა ეძებო. მის შემოქმედებას არ შეიძლება ძველი კრიტიკული ხერხებით მიუდგე, ვინაიდან იგი გარდამავალი კოსმიური ეპოქის მხატვარია, ვინაიდან ლიტერატურას ძველი რუსული ლიტერატურის თემებს ახლებურად უბრუნებს, მისი შემოქმედება რუსეთის ბედთან, რუსეთის სულთან არის დაკავშირებული. ბელი პირველი იყო, ვინც ჭეშმარიტად ასტრალური რომანი დაწერა, რომანი, რომელიც ასე არ ჰგავს ძველი მხატვრული ხერხებით დაწერილ სუსტსა და არამხატვრულ ოკულტურ რომანებს. ანდრეი ბელი თეურგი არ არის, მაგრამ თეორგიული ხელოვნება მისი ტიპის შემოქმედებაში შეიძლება ასტრალური დაშლის, დანაწილების გზაზე დგას.

რუსულიდან თარგმნა
ლილი მჭედლიშვილმა



ახალი თარგმანები

ო' ჰენრი

დაპარბული რეცეპტი



მას შემდეგ, რაც სამღვდლოებამ ბარი აკურთხა და წარჩინებული საზოგადოება სადილს კოქტეილით იწყებს, სალუნზე¹ საუბარიც ნებადართულია. თუ სასმელთან მწყრალად ხართ, ყურისგდებით შეგიძლიათ თავი არ შეინუხოთ. თქვენთვის დაგვილოცნია სავაჭრო ავტომატებით სავსე რესტორნები, – ჩააგდებთ ათცენტისან ცივი ბულიონის ღრეჩოში და უმაღლეს მშრალ მარტინის² მიიღებთ.

კონ ლენტრი კინილის კაფეს ბარში მუშაობდა, დახლში ჩამდგარიყო და მათ ემსახურებოდა, ვისაც სასმელი დიდად არ იზიდავს. დახლის წინა მხარეს კი ჩვენ, წეროსავით ცალ ფეხზე მდგარნი, კვირის ჯამაგირს ნებით ვეთხოვებოდით ხოლმე. თეთრ ჟილეტში გამოწყობილი, გაკრიალეული და თმადავარცხნილი კონი, – ზრდილობიანი, მოკრძალებული, გულისხმიერი, პასუხისმგებლობით სავსე, სანდო ჭაბუკი, – ჩვენს პირდაპირ დახტოდა და ფულს იღებდა.

სალუნი, კაცი ვერ იტყვის, კურთხეული თუ დანყვევლილი, გახსნილი იყო ერთ პატარა დაბაში, ქუჩების ნაცვლად კვადრატებად რომ დაეყოთ. სამრეცხაოებით მოფენილ ამ სამოსახლოში ბინადრობდნენ გაღატაკებულ ნიკერბოკერ-თა³ ოჯახები და ბოჰემური ადამიანები, რომელთაც ერთმანეთთან არა ესაქმებოდათ.

კაფეს თავზე კინილი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. მის ქალიშვილს, კეტრინს მუქი ირლანდიური თვალები რომ ჰქონდა, თუმცა, გჭირდებათ კი ამის ცოდნა? განა უმჯობესი არაა, კვლავ თქვენი ჯერალდინა თუ ელიზა ენით დარჩეთ აღფრთოვანებული?! კეტრინი კი კონს დავუთმობ, – ჭაბუკი მასზე ჭკუას კარგავდა. ქალიშვილი რომ უკანა კიბის საფეხურზე გადმომდგარი მშვიდად სთხოვდა, სადილისთვის თუნგით ლუდი აეტანა, საბრალოს გული ისე უფანცქალეზდა, ისე აუღ-ჩაუდიოდა, როგორც რძის პუნში სათქვეფელში.

რომანული ისტორიები უცვლელი და ერთმანეთის მსგავსია. თქვენ ღარიბებით და უკანასკნელ შილინგს ბარის დახლზე ისვრით ვისკისთვის, ბარმენი კი მას ხელს სტაცებს, ბოსის ქალიშვილზე ქორწინდება და კეთილდღეობას ეზიარება.

მაგრამ კონს ეს არ ეხება. ქალებთან ის ერთთავად წითლდებოდა და ენა ებმოდდა. ჭაბუკი ბარში წესრიგს ადვილად ამყარებდა, თვალის ერთი გადავლებით ამშვიდებდა მოყაყანე, წითელი ღვინით აყბედებულ ახალგაზრდობას, ურჩთ ლიმონის სანურს უთავაზებდა და მოგნიასეთ ქუჩაში, თხრილისკენ აუღელვებლად მოისროდა ხოლმე. ამ ყველაფერს ისე მშვიდად აკეთებდა, რომ თეთრი ბატისტის ყელსაბამი ოდნავადაც არ შეერხეოდა ხოლმე. ქალთა წინაშე კი ეს ყოჩალი ბარმენი ისე ფრთხილდებოდა, ენაბორძიკობდა და მუნჯდებოდა, რომ გეგონებოდათ, მტანჯველი დაბნეულობის რალაც ცხელი ზეგვის ქვეშ ჩაიმარხაო. ახლა არ იკითხავთ, კეტრინთან რა მოსდიოდა? შეშინებული სიტყვის თქმას ველარ ახერხებდა და სამარის ლოდად, იმ ენაჩავარდნილ შეყვარებულად გადაიქცეოდა ხოლმე, ვისაც თავისი ღვთაების გვერდით ამინდზელა თუ შეუძლია ლულულუდი.

ერთ დღეს კინილისბარში ორი მზით გარუჯული კაცი, რაილი და მაკკვერ-კი გამოჩნდა. ახალმოსულნი მეპატრონეს დაელაპარაკნენ და იქირავეს უკანა ოთახი, რომელიც სულ მალე ბოთლებით, სიფონებით, ტოლჩებითა და მენ-ზურებით გაავსეს. სალუნის მთელი ინვენტარი და სასმელი იქ აიტანეს. არ იფიქროთ, დასალევადა ან სავაჭროდ, არა. მომარაგებული სასმელისაგან ისინი ათასგვარ უცნობ ნაყენსა თუ ნახარშს ამზადებდნენ და მთელ დღეებს მათ

¹ სალუნი – ამერ. იგივეა, რაც ბარი, ბუფეტი, სასაუზმე, პატარა რესტორანი.

² მარტინი – კოქტეილი, რომელიც მზადდება ვერმუტისა და ინგლისური არყის, აგრეთვე მწვანე ფორთოხლის წენისა და ზოგი სხვა კომპონენტისაგან.

³ ნიკერბოკერი – ნიუ-იორკის მცხოვრები, თავდაპირველად აღნიშნავდა ამერიკაში პოლანდიელ მოსახლეობას.

გადასხმა-გადმოსხმასა და შერევაში ატარებდნენ. ამ გულმოდგინე შრომისგან ერთთავად ხვითი სდიოდათ. რაილი ნასწავლი კაცი ჩანდა. ქალაქის ხვეულებზე ის სულ ანგარიშობდა, გალონები¹ უნციებში², კვარტები³ დრაქმებში⁴ გადაჰყავდა. მაკკვერკი კი, წითელთვალა პირქუში კაცი, ყოველი დასრულებული, მაგრამ წარუმატებელი ცდით მიღებულ მიქსტურას ნიჟარის მილში ღონივრად და ღრმად გადაუშვებდა და ბილნ სიტყვებსაც ზედ მიაყოლებდა ხოლმე. ეს მძიმე ჯაფა მათ არ ღლიდათ, რადგან ატაცებულნი იყვნენ დიადი სურვილით, როგორმე რაღაც საწუკვარი სითხე მიეღოთ. ამით ორ ალქიმიკოსს დამსგავსებოდნენ, ოქროს მიღებას რომ ესწრაფვიან ელემენტებისაგან.

ერთ საღამოს, სამუშაოს დასრულების შემდეგ, ბარის ამ უკანა ოთახში კონმა შეისეირნა. მას პროფესიული ცნობისმოყვარეობა ალუძრა ორმა უცნაურმა ბარმენმა, რომელთა ბარში არავინ სვამდა, არადა ყოველდღიურად კინილის საწყობიდან აჰქონდათ და აჰქონდათ სასმელი და მთლიანად დანთქმულიყვენთავიანთ უშედეგო ექსპერიმენტში.

უკანა კიბეზე მას კეტრინი შემოხვდა. ის დაბლა ეშვებოდა ჩვეული ღიმილით, გვიბარა ბეის⁵ მზის ამოსვლას რომ მოაგონებდა კაცს.

„საღამო მშვიდობისა, მისტერ ლენტრი“. – მიესალმა ქალიშვილი კონს. – „ახლს რას იტყვით, გეთაყვა?“

„ისეთი პირი უჩანს, გ-გ-განვიმდება“. – შეშინებულ ჭაბუკს ენა დაება და კედელს მიეყრდნო.

„ძალიანაც კარგი“. – მიუგო კეტრინმა. – „ცოცხალი ნყურება არ გვანყენდა“.

ოთახში კონს რაილი და მაკკვერკი დაუხვდნენ. წვეროსანი ჯადოქრებივით ისინი კვლავ ქანცვანყვეტი ირჯებოდნენ სასურველი მიქსტურის მისაღებად. ორმოცდაათიოდე ბოთლიდან სითხეს ასხამდნენ, რაილის გამოთვლებით ხელმძღვანელობდნენ, ფრთხილად წონიდნენ პორციებს, მინის დიდ ჭურჭელში ურევდნენ და ანჯღრევდნენ. შემდეგ მაკკვერკი მიღებულ ნარევს ბაკნის მილში ერთი წყევლა-კრულვით გადაუძახებდა ხოლმე და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

„დაჯექი, რაღაც უნდა გიამბო“. – უთხრა რაილიმ კონს.

„გასულ ზაფხულს მე და ტიმი იმ აზრზე დავდექით, რომ თუ ნიკარაგუაში ამერიკულ ბარს გავხსნიდით, კარგ მოგებას ვნახავდით. იქ, ერთ ზღვისპირა ქალაქში, სადაც ქინაქინის მეტი საჭმელი არა არის რა და რომის მეტი სასმელი, ადგილობრივნიც და უცხოელებიც გამუდმებით ციებ-ცხელებით იტანჯებიან. ამ ტროპიკული სნეულებისათვის კი ვერავინ ინატრებს გემრიელ კოქტილზე უკეთეს ბუნებრივ წამალს“.

„ნიუ-იორკში მოვიმარაგეთ სასმელი, ბარის ინვენტარი, შუშის ჭურჭელი და ქალაქ სანტა პალმისკენ გემით გავეშურეთ. გზაზე მე და ტიმი კარგად გავერთეთ, მფრინავ თევზებს თვალს ვაყოლებდით, კაპიტანსა და სტიუარდს ბანქოს ვეთამაშებოდით და თავს უკვე თხის რქის ტროპიკის⁶ სასმელების მეფეებად მივიჩნევდით“.

„ხუთი საათილა რჩებოდა ალთქმულ ქვეყნამდე, სადაც სასმელებით ვაჭრობის სარფიანი ბიზნესის წამოწყებას ვაპირებდით, რომ კაპიტანმა მარჯვენა ბორტის ნაკტოუზთან⁷ გვიხმო და რაღაცეები გაიხსენა“.

„ბიჭებო, დამავიწყდა, გამეფრთხილებინეთ“, – გვითხრა მან, – „ერთი თვეა, რაც ნიკარაგუაში ყოველი ბოთლის იმპორტზე ორმოცდარვა პროცენტის ბაჟი დანესდა. ასე იყრის ჯავრს იქაური პრეზიდენტი მას შემდეგ, რაც ორი ბოთლი ერთმანეთში აერია და სანებლის სოუსის ნაცვლად ცინცინატური⁸ შამპუნი იგემა. რაც შეეხება კასრებში ჩასხმულ სითხეს, ის ყოველგვარი ბაჟისაგან თავისუფალია“.

„ნეტავ ადრე გეთქვათ“, – შევწუხდით ჩვენ. კაპიტანისგან ორი ორმოცდაორ გალონიანი კასრი შევიძინეთ, ბოთლები გავხსენით და მათი შატავასი ერთიანად კასრებში მოვაქციეთ. ორმოცდარვა პროცენტის ბაჟის გადახდა ხელს



¹ გალონი – ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რიგ სხვა ქვეყანაში თხევადი და ფხვიერი სხეულების საწყაო სხვადასხვა ტევადობისა (3,5-დან 4,5 ლიტრამდე).

² უნცია – სითხის მოცულობის ზომის ერთეული ამერიკის შეერთებულ შტატებში, უდრის 0,2957 ლიტრს.

³ კვარტა – სითხის მოცულობის ზომის ერთეული. ამერიკაში უდრის 0,95 ლიტრს.

⁴ დრაქმა – სითხის მოცულობის ზომის ერთეული, უდრის მერვედ უნციას.

⁵ გვიბარა ბეი – ყურე ირლანდიაში, დონეგოლის საგრაფოს დასავლეთ ზღვის სანაპიროზე.

⁶ თხის რქის ტროპიკი – იგივეა, რაც სამხრეთი ტროპიკი, დედამიწის რუკებზე დატანილი ხუთი ძირითადი პარალელიდან ერთ-ერთი. განლაგებულია ეკვატორიდან სამხრეთით 23° 26' 22" გრადუსზე და განსაზღვრავს უფრო სამხრეთ განედს, რომელზედაც მზე შუადღისას შეიძლება აინოს ზენიტში ზამთრის ბუნიაობის დროს. სახელწოდება წარმოიშვა თხის რქის თანავარსკვლავედიდან, რომელშიც „მედიოდა“ მზე ორი ათასი წლის წინათ ზამთრის ბუნიაობისას.

⁷ ნაკტოუზი – ყუთი გემის კომპასისათვის.

⁸ ცინცინატი – ქალაქი აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოჰაიოს შტატში.



ნამდვილად არ გვაძლევდა და გადავწყვიტეთ, ათას ორასი დოლარი ამგვარად დაგვეზოგა. სითხის გადაღვრას ვარჩიეთ ასე მიღებული კოქტეილით გვევაჭრა და გვეცადა ბედი“.

„ხმელეთზე რომ გადავედით, ერთი კასრი გავხსენით და შიგ ჩავიხედეთ. მიქსტურა იმედის მომცემი ჩანდა, ბოვერული¹ ბოსტნეულის წვნიანის ფერი დაჰკრავდა, გემო კი იმ ყავიანი ნუგბარისა ჰქონდა, დეიდა რომ გვთავაზობს ხოლმე საყვარელი ცხენის მოპარვით დანაღვლიანებულს. როცა ერთ ადგილობრივ ზანგს ოთხი ყლუპი გავასინჯეთ, ის უმალ ქოქოსის პალმის ქვეშ გაიშხლართა, სამი დღე ქუსლებით ქვიშა ტკეპნა და უარი გვითხრა, ჩვენთან საქმე დაეჭირა“.

„მაგრამ ჩვენ ხომ მეორე კასრიც გვექონდა! ერთი მითხარი, ბარმენო, გხურები ოდესმე ყვითელლენტიანი ჩალის ქუდი და ლამაზ ქალიშვილთან ერთად გისეირნია ჰაერბურთით, თან ისე, რომ ჯიბეში 8 000 000 დოლარი გდებოდა? აი, ის განცდა, ამ ღვთაებრივი სითხის ერთი ყლუპის დაღვევით რომ ეუფლება კაცს. მისი ორიოდ ყლუპი კი სახეს ხელებში ჩაგარგვევინებს და სიმწრით გაყვირებს იმის გამო, რომ ძალების მოსასინჯად შენს სიახლოვეს არავინაა, გარდა ერთი საცოდავი ჯიმ ჯეფრისისა². დიახ, სერ, ამ მეორე კასრში ჩასხმული სასმელი ბრძოლის, სიმდიდრისა და საამური ცხოვრების დანმენდილი ელექსირი აღმოჩნდა. მას ოქროსფერი დაჰკრავდა, მინასავით გამჭვირვალე იყო და წყვიდადის მზის სხივით გაცისკროვნებას ჰგავდა. ერთი სცადა და თავად დაამზადე ამგვარი რამ, ათას ნელს ვერ ეღირსება შენი ბარი ამას“.

„ასე რომ, ბიზნესი ამ ერთადერთი კოქტეილის იმედით წამოვიწყეთ და, უნდა გითხრა, გაგვიმართლა. იქაური ჭრელი ჯენტრი ფუტკრის ჯარივით დაგვესია. მერნმუნე, ჩვენი ერთი კასრი მთელ ქვეყანას რომ გასწვდომოდა, ის უმალ დედამიწის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. დილაობით, როცა სავაჭრო ფარდულს ვხსნიდით, მის წინ გენერლების და პოლკოვნიკების, ექსპრეზიდენტების და რევოლუციონერების წყება გვხვდებოდა, ისინი ადრიანად იჭერდნენ რიგს ჩვენს მოლოდინში. თავიდან ვაჭრობა ორმოცდაათი ვერცხლის ცენტით დავიწყეთ. ბოლო ათი გალონი უფრო იოლად, ყლუპი ხუთ დოლარად გასაღდა. ეს სასწაულებრივი სასმელი ადამიანებს მხნეობას მატებდა, სამოქმედოდ ამბიციებს და ნებისყოფას უძლიერებდა, თან არც იმაზე ანაღვლებდა, ჭუჭყის სუნი სდიოდა თუ არა ნაშოვნ ფულს. როცა კასრი ნახევრამდე დაიცალა, ნიკარაგუამ ეროვნული ვალი უარყო, სიგარეტზე ბაჟი მოხსნა და ცოტა დააკლდა, ომი არ გამოუცხადა შეერთებულ შტატებსა და ინგლისს“.

„აი, რა შემთხვევის წყალობით აღმოვაჩინეთ სასმელთა მეფე! რა იქნება, ბედმა კვლავ გაგვიღიმოს! უკვე მეთაე თვეა, ამას ვესწრაფვით. თითქმის ყველა ინგრედიენტი მოვისინჯეთ, რაც კი სასმელთა პროფესიაშია ცნობილი, პატარა პატარა პორციებით ერთმანეთს შევურიეთ, მაგრამ სახარბიელო ვერაფერი მივიღეთ. იმდენი ვისკით, ბრენდით, ლიქიორით, ჯინით და ღვინით, მე და ტიმი რომ ვღვრით, ათი ბარის გაძლოლას შეძლებდა კაცი. რა დასანანი და სამწუხაროა, რომ ამ საუცხოო სასმელს არ იცნობს მსოფლიო. ეს ხომ აურაცხელი ფულის კარგვაა. შეერთებული შტატების სახელმწიფო უნდა მიესალმოს და ხელი შეუწყოს მის წარმოებას!“

თხრობის დროს მაკკვერკი საქმეს არ ცდებოდა. დიდი სიფრთხილით წონიდა და ურედა სხვადასხვა სპირტიანი სასმელის პორციებს, რაილის ფანქარი მოემარჯვებინა და გამოთვლილ პროპორციებს კარნახობდა თავისი შედგენილი ბოლო რეცეპტიდან. მიღებული მიქსტურა ერთთავად უგემური, შოკოლადისფერი და ამღვრეული გამოდიოდა. მაკკვერკი მას გემოს უსინჯავდა, უშვერი ეპითეტებით ამკობდა და ნიჟარაში ასხამდა“.

„უცნაური ისტორიაა, თუ მართალია“. – ჩაილაპარაკა კონმა. – „ახლა კი უნდა ნავიდე, ვახშობის დროა“.

„შესვი, რომელიც გნებავს“. – შესთავაზა რაილიმ. – „ყველანაირი სასმელი გვაქვს გარდა იმ ერთისა, რომლის რეცეპტიც დავკარგეთ“.

¹ ბოვერი – იგივე ბავრი, ქუჩისა და მცირე უბნის სახელი ნიუ-იორკში, მანჰეტენის სამხრეთ ნაწილში, საი-უველირო ხელობისა და სავაჭრო დუქნების ისტორიული ცენტრი. შემდგომში აღიქმებოდა როგორც ქალაქის „ფსკერი“ – ნარკომანების, ლოთების და სხვა ანტისოციალური ელემენტების თავშესაფარი და ღამისთევის ადგილი.

² ჯიმ ჯეფრისი – ჯეიმს ჯეკსონ ჯეფრისი (1875-1953), ამერიკელი პროფესიონალი ბოქსიორი, მსოფლიო ჩემპიონი ზემძიმე წონაში.

„მაგარ სასმელებს არ გეახლებით“. – მიუგო კონმა. – „ცოტა ხნის წინ მის კეტრინს შევხვდი კიბეზე და მან უტყუარი ჭეშმარიტება მამცნო: „ყლუპ წყალს ქვეყანაზე არაფერი შეედრებაო“.

დატოვა თუ არა კონმა ისინი, რაილიმ ისე ძლიერ ჩასცხო ხელი ზურგში მაკკვერკს, რომ კინალამ ძირს დასცა მეგობარი.

„გაიგონე, რა თქვა?“ – დაიღრიალა მან. – „რამ გამოგვაჩერჩევა ასე? ჩვენ ხომ ექვსი დუჟინი ბოთლი სუფრის წყალი გვქონდა!.. შენ არ გახსენი ისინი?.. რომელ კასრში ჩაასხი წყალი, რომელ კასრში, შე ბრიყვო?“

„მგონი, მეორედ რომ გავხსენით, იმაში.“ – უპასუხა მაკკვერკმა დუნედ, – „მახსოვს, გვერდზე ლურჯი ქალაღდის იარლიყი ჰქონდა მიკრული“.

„ახლა კი მივალწვეთ სანადელს“, – შესძახა რაილიმ. – „წყალი, აი, რა გვაკლდა, სასწაულმოქმედი წყალი! აბა, ჩქარა, გაქუსლე და ბარიდან ორი ბოთლი სუფრის წყალი ამოარბენინე, სანამ მე პროპორციებს გამოვიტვლი ფანქრით“.

ერთი საათის შემდეგ კონი კინილის კაფესკენ ტროტუარს მიუყვებოდა. ერთგული მოსამსახურეები დასვენების საათებშიც ასე მოინახულებენ ხოლმე იმ არემარეს, სადაც მუშაობენ. მათთვის ამ ადგილს რაღაც იდუმალი მიმზიდველობა აქვს.

გვერდითა კართან პოლიციის საპატრულო მანქანა იდგა. სამიოდე მარჯვე პოლიციელს რაილი და მიკკვერკი მანქანისაკენ ძლივ-ძლივობით მიჰყავდა და ცდილობდა, როგორმე მის საფეხურებზე შეეყენებინა. მათ სახე და თვალები ჩალურჯებოდათ, ძლიერი სისხლისმღვრელი ჩხუბის ნიშნად ჭრილობები დასტყობოდათ. ჯერ კიდევ არ დამცხრალიყვნენ, უცნაურად მხიარულობდნენ და პოლიციას ეჩხუბებოდნენ შემოიღნენ.

„ერთმანეთს დაერივნენ უკანა ოთახში და ამღერდნენ!“ – განუმარტა კინილიმ კონს. – „ეს ცუდად მენიშნა. ყველაფერი მილენ-მოლენეს. მაგრამ ისინი მაინც კარგი ხალხია, სამდურავი არ მეთქმის. ვიცი, ყველაფრისთვის გადაიხდიან. რაღაც ახალი კოქტილის გამოგონებას ცდილობდნენ თურმე. აი, ნახავ, ხვალ დილით უვნებლები დაბრუნდებიან“.

კონი უკანა ოთახისკენ გაემართა ბრძოლის ველის სანახავად. ჰოლში რომ გადიოდა, თვალი მოჰკრა კეტრინს, ქალიშვილი კიბეზე ეშვებოდა.

„კიდევ სალამო მშვიდობისა, მისტერ ლენტორი“. – მიესალმა ქალიშვილი. – „რამე ახალი ხომ არ შეგიტყვიათ ამინდისა?“

„კვლავ წ-წვიმაა მოსალოდნელი“. – მიუგო კონმა და უკან დაიხია. გაკრი-ალებული ლოყები წითლად შეღებვოდა.

რაილისა და მაკკვერკს მართლაც ხელჩართული მეგობრული ბრძოლა გაემართათ. ყველგან დამტვრეული ბოთლები და ჭიქები ეყარა. ოთახის ჰაერი ალკოჰოლის სუნით გაჟღენთილიყო. იატაკი სპირტიანი სასმელების ლაქებით აჭრელბულიყო.

მაგიდაზე ოცდათორმეტუნციანი, დაგრაღურიებული ჭიქა იდგა. მის ფსკერზე ორი სუფრის კოვზი მზინავი ოქროსფერი სითხე ესხა, თითქოს პატი-მარს საკნის ძირში მზის შუქი შეუკავებიაო.

კონმა სითხეს დასუნა. გემო გაუსინჯა. დალია.


როცა ჰოლში ბრუნდებოდა, კეტრინი ზევითკენ მიუყვებოდა კიბეს.

„კიდევ არაფერია ახალი, მისტერ ლენტორი? – გამოჯავრებით და ღიმილით ჰკითხა მან.

კონმა ქალიშვილს ხელი დასტაცა და აიყვანა.

„ახალი ის არის, რომ მალე დავქორწინდებით“.

„დამსვით, სერ“, – იყვირა აღმფოთებულმა ქალმა, – „თორემ,.. ოჰ, კონ, რატომ ვერ ბედავდი ამის თქმას აქამდე, რატომ?“



ინგლისურიდან თარგმნა მაია ცერცვაძემ



გეორგ ბიუხნერი

ლენცი

(დასასრული. დასაწყისი №6)

სალამოს ლენცი ისევ მობრუნდა, როცა ოთახს უკვე ბინდი ეფინებოდა. ქალბატონ ობერლინის მიაშურა, გვერდით დაუჯდა და უამბო:

– ყმანვილქალი ოთახში მიმოდიოდა და ლილინებდა, მისი ყოველი მიხრამოხრა სიმღერა იყო, მის ბაგეთაგან ბედნიერება იფრქვეოდა და ჩემს სულში იღვრებოდა. შემომხედავდა, თავს მომაცრდნობდა და მეც მყისვე დავმშვიდდებოდი... სულმთლად ბავშვია. სამყარო ალბათ ნამეტნავად დიდი ეჩვენებოდა, სახლის ყველაზე ვიწრო კუნჭულში შეიყუჩებოდა, თითქოს მხოლოდ იმ ციცქნა ადგილას ეგებოდა განცდა ნეტარებისა. მეც იგივე მემართებოდა; სულმთლად ბავშვად ვიქცეოდი, თამაშის ჟინს აყოლილ ბავშვად. ახლა კი როგორ დამივიწროვდა, დამემცრო თვალსანიერი! იცით, ხანდახან მეჩვენება, ხელი რომ ავიქნო, ცარგვალს მომიხვდება-მეთქი. ვიხრჩობი, მეტი ჩარა აღარა მაქვს. ამას ზედ ერთვის ფიზიკური განცდა ტკივილისა, აი, აქ, მარცხენა მხარეს, მკლავში, რომელსაც მას მოვხვევდი ხოლმე. მაგრამ ახლა გოგონას ხატი განმიქარდა, ჩემს წარმოდგენას განერიდა და ამის შეგნება მტანჯავს. ათასში ერთხელ, გონება რომ გამინათდება, მაშინ თუ ვიგრძნობ ხოლმე თავს ძალიან კარგად.

შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ წამოიწყო ქალბატონ ობერლინთან საუბარი, მაგრამ სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მიეთმოეთი. ქალმა ბევრი ვერა ნუგეში უთხრა, თუმცა მისი ნათქვამი ლენცს მაინც ოდნავ მიესალბუნა.

ამასობაში გრძელდებოდა თვითგვემა რელიგიური. შინაგანი სიცივის, სიცარიელის და სიკვდილის განცდის მატებისდაკვალ იზრდებოდა მისი წადილი საკუთარ სულში დაეგზონ ცეცხლი. იმ ხანებს იგონებდა, როცა დულდა და გადმოდიოდა, როს გრძნობათა კორიანტელი მოეჭრებოდა ხოლმე და გათანგავდა. ახლა კი მკვდარს დაემსგავსა. იმედი სულმთლად გადაენურა, პირქვე დაემხო, ხელებს იმტვრევდა, თითოეულ ნაკვთს ატოკებდა, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ, – კვლავ სიცივე, სიცარიელე! შემდეგ ღმერთს შეევედრა, მომივლინეო ნიშანი წყალობისა. საკუთარ თავს იგვემდა, მარხულობდა, დანებებოდა იატაკზე და ოცნებას აჰყვებოდა.

სურწყუნისის სამს შეიტყო, ფუდის თემში ბავშვი დაილუპაო, გოგონა. იდეა ფიქსად გადაექცა ეს ამბავი. თავის ოთახს მიაშურა და მთელი დღე იმარხულა. ოთხ რიცხვში იგი ქალბატონ ობერლინთან გამოცხადდა ნახშირით პირგამურული და ქალი დააფეთა. უთხრა, ძველი ტომარა მომეცითო. თხოვნა აუსრულეს. ტომარა ტანზე შემოიხვია მონანიე ცოდვილის მსგავსად და ფუდისაკენ მიმავალ გზას გაუდგა. ხეობის ბინადარნი, მის ოინებს მიჩვეულნი, ათას უცნაურ რამეს ჰყვებოდნენ მასზე. ლენცი მიადგა სახლს, საცა ბავშვი ესვენა. დამხვდურები იქ გულგრილი სახისმეტყველებით ფუსფუსებდნენ. ოთახი აჩვენეს. ბავშვი ფიცრულ მაგიდაზე დაფენილ თივაზე ესვენა, პერანგისამარა.

შეზარა გაცივებული სხეულის შეხებამ და ოდნავ ღიად დარჩენილი თვალეზის ხილვამ. ყველასგან მიტოვებული ეჩვენა საცოდავი და თავის თავიც საოცრად მარტოეული დაიგულა. იგი დაემხო ცხედარს. სიკვდილის ელდამ შეიპყრო, მწვავე ტკივილმა გათანგა. ნუთუ ეს პანია, მშვიდი სახე უნდა გაიხრწნას? მუხლი მოიყარა და მწუხარებით სასონარკვეთილი შეევედრა უფალს, ჰყავ სასწაული და გააცოცხლეო ბავშვი... მერე სულმთლად ჩაიკეტა საკუთარ თავში და ერთი პუნქტისაკენ წარმართა სრულად თვისი ნება-სურვილი. დიდხანს იჯდა გარინდული, მერე წამოიმართა, ბავშვის ხელს ჩასჭიდა ხელი და იზრახა ხმამალლა, შთამაგონებლად:

– ადექ და გაიარე!

მაგრამ პასუხად გაჩქამდა ოდენ კედელთა ექო, დაცინვისდარი, ხოლო ბავშვის ცხედარი კვლავინდებურად ცივი იყო². მაშინ ლენცი გონიხდლი განერთხა მინას; მერე წამოხტა და გავარდა მთაში.

მონანალე ღრუბლები ჟამიჟამ გადაეფარებოდნენ ხოლმე მთვარეს და მწუხრში გაახვევდნენ გარემოს, მერე გამოჰიატდებოდა ღამის მთიები და მის შუქზე გაკრთებოდა ბურუსმობურული ბუნების ხატი. ლენცი აღმა-დაღმა დაჰქროდა და მის გულში ზარზეიმობდა ჯოჯოხეთის საგალობელი. ქარი ტიტანის საგალობელს აგუგუნებდა. ლენცი ჰგონებდა, ხელს თუ აღვმართავ, ზეცას ავანვდენ, ღმერთს ჩაეჭიდებ, თვისივ ღრუბლებში გავტყორცნი, მერე სამყაროს კბილებით დავღრღნი და ღმერთს სახეში მივაფურთხებო. იფიცებდა, მკრეხელობას იქმოდა. მთის თხემზე ააღნია, ნახა, უნდელი შუქი დაბლა თეთრ ტინებს ეფინებოდა, ზეცა შტერივით აჭყეტდა ცალ თვალს და მთვარეს სასაცილო შუქზე აჩენდა. ლენცმა ხმამაღლა გაიცინა, ღვთის რწმენისაგან სულმთლად განიძარცვა, ურწმუნობამ დაჰრია ხელი და გათანგა. ნელანდელი მძაფრი განცდები უკვალოდ გაუქრა, შეამცივნა. თავისი საწოლი მოენატრა, გულგაციებული, ყოველთ გრძნობათაგან განძარცვული გაუდგა გზას შინისაკენ. უკან, წყევლიადში მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა. სირბილით მივიდა შინ და თავის ლოგინს მიაშურა.

მეორე დღეს ლენცი შეაშფოთა გუშინდელი განცდის გახსენებამ. ახლა უფსკრულის პირად იდგა გიჟურ ჟინს აყოლილი, კვლავ ზეცისკენ თვალაპყრობილი, რათა ხელახლა ეგრძნო იგივე ტანჯვა. მერე თანდათან შეიპყრო შიშმა, ვაი თუ დამძალოს წადილმა სულიწმინდის შებლაღვისაო.

გავიდა რამდენიმე დღე. ობერლინი შვეიცარიიდან ბევრად უფრო ადრე დაბრუნდა, ვიდრე ელოდნენ. ლენცი შეცბა მის დანახვაზე. მაგრამ მერე გამხიარულდა, როდესაც თვისი ელზასელი მეგობრების ამბავი შეიტყო. ობერლინი ოთახში ბოლთას სცემდა და იხსენებდა მთის და ბარისას. პუფფილიც³ მოიხსენია, სოფლის მღვდელი, და ხობით შეამკო იგი. მერე ლენცს მიმართა, დაჰყვიროს შენი მამის ნებას, შინ დაბრუნდი და ისევე შენს საქმეს, მწერლობას მოკიდე ხელი, დედ-მამას სათანადო პატივი უნდა მივაგოთო, ურჩევდა. არიგებდა, მისმა სიტყვებმა ლენცი ააფორიაქა. მან მწარედ ამოიგმინა, ცრემლი აღრჩობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა სათქმელს.

– ჰო, მაგრამ ამას ვერ გადავიტან. გინდათ თავიდან მომიცილოთ? ღმერთისკენ მიმავალ გზას უთქვენოთ ვერ გავიგნებ. თუმცა მე ხომ გზას აცდენილი კაცი ვარ, ჩემი წირვა გამოსულია, მარადი ურია⁴ ვარ, სამუდამოდ დაწყვეტილი.

ობერლინმა უპასუხა: – ამისთვის ევნო იესო ქრისტე! გულმხურვალე ლოცვა აღავლინე და უფალი შეგინყალებს!

ლენცმა თავი ასწია, ხელები მოიფშვნიტა და უთხრა:

– ოჰ, ოჰ, ღვთის წყალობა! – მერე უცებ თავაზიანად შეეკითხა, ის ყმანვილი ქალი რასა იქმსო. ობერლინმა ქალისა არაფერი უწყოდა, მაგრამ რჩევით და საქმით თანადგომა აღუთქვა ყველაფერში, ოღონდ მისი სახელი და სამყოფელი მითხარი და საქმის ვითარებაში გამარკვიეო. ლენცი ღულღულღით გაეპასუხა:

– ო, ღმერთო, ნუთუ მომიკვდა ანგელოსი? თუ ცოცხალია? როგორ მიყვარდა და მასაც ვუყვარდი. ღირსი იყო თავყვანისცემისა ჩემი ანგელოსი. ჩემს უკუღმართ ეჭვიანობას⁵ გადავყაოლე. ქალს კიდევ ერთი ყმანვილი უყვარდა, მე მიყვარდა ქალი, იგი ღირს იყო სიყვარულის, მერე ჩემი კარგი დედიკო, მასაც ვუყვარდი. მე მკვლეელი ვარ!

ობერლინმა მიუგო:

– იქნებ ეს ხალხი ცოცხალია და კარგად არის?! თუ განგებამ ინება და ღმერთმა მოგვხედა, იგი შენიშნავს შენს ცრემლს, შეისმენს შენს თხოვნას და იმოდენა სიკეთეს მიაგებს შენს სათაყვანებელ ადამიანებს, რომ გადაავინყებს შენგან მიყენებულ ყოველგვარ წყენას...

ლენცი თანდათან დამშვიდდა და თავის ფერწერულ ტილოს მიუბრუნდა.



1. ასე მიმართა იესო ქრისტემ დავრომით (მათე 9,5; მარკოზი 2,9; ლუკა 5, 23) ამ დიდებულ ეპიზოდს შარავანდით მოსავს მარკოზის ალუზია: „მან აიღო ბავშვის ხელი და უთხრა: ტალითა კუმში!“ რაც ნიშნავს „შენ გეუბნები, გოგონა, ადექ!“ (მარკოზი), ასევე ლაზარეს აღდგინება (იოვანი 11).

2. ეს ეპიზოდი ბიუხნერს შთააგონა პასტორ ობერლინის მიერ გადარჩენილი ბავშვის ამბავმა, რის გამოც მას სასწაულმოქმედი უწოდეს.

3. გოტფრიდ კონრად პუფფელი (1736-1809), ელზასელი გერმანულენოვანი მწერალი, დრამატურგი, მეიგავე. ბიუხნერი იცნობდა პუფფელის შემოქმედებას. ბიუხნერის დრამატულ ფრაგმენტში „ვოიცეკი“ კაპიტანთან საუბარში მთავარი გმირი ერთგან ამბობს: „თუ ზეცად ავმალდებით, უფალს ჭქე-ქუხილის დარისხებაში დავეხმარებით“ – ეს სიტყვები წარმოადგენს თავისუფალ პარაფრაზს პუფფელის სოციალ-კრიტიკული ლექსის, „იოსტის“ ერთი პასაჟისა.

4. აჰსაფერმა, იერუსალიმელმა მენალემ, გოლგოთაზე ჯვრით მიმავალ იესოს უარი უთხრა თხოვნაზე და არ დართო ნება ქარი ამოელო მისი სახლის წინ. მაშინ უთქვამს იესოს: „მე განვისვენებ და შენ იარე!“ ამის შემდეგ აჰსაფერი გაუთავებლად მოეზაურობს ამ ქვეყნად და სიკვდილი არ ეკარება. მარადი ებრაელის თემა მრავალმა მწერალმა დაამუშავა შუასაუკუნეობრივი სახალხო წიგნების მიხედვით (ჰაინე, შუბარტი, შამისო, არნიმი, ანდერსენი, ჰამერლინგი, ლაგერკვისტი).

5. უკუღმართ ეჭვიანობას გადააყოლა ლენცმა თავისი სატრფოს კეთილგანწყობა, იგი თავებდს ინყველის და ჰგონია, რომ ამრიგად მოკლა ქალი. უფროვე ცხადად და დრამის ჟანრისდაკვალ უფრო მეტი სიმძაფრით წარმოჩინდა ეჭვიანობის მოტივი ბიუხნერის „ვოიცეკი“, აქ ლენცისეულ ავადმყოფურ წარმოდგენას ენაცვლება ტრაგიკული ჭეშმარიტება – ეჭვიანობის ნიადაგზე ვოიცეკი კლავს საყვარელ ქალს, თავის ერთადერთ ქომავს, მარიას.



ნაშუადღევს ისევ გამოჩნდა. მარცხენა მხარზე ქათობი ჰქონდა გადაფენილი, ხელში ეპყრა წნელის კონა, რაც ობერლინმა წერილთან ერთად ჩამოუტანა. გაუნოდა წნელი და უთხრა, ამით გამწკვლეო. ობერლინმა წნელი გამოართვა, რამდენიმე კოცნა აღბეჭდა მის ტუჩებზე და უპასუხა:

– მე მხოლოდ ამგვარი დარტყმა შემიძლია მოგაყენო. შენ დაიმშვიდე გული და თავად მიმართე ღმერთს. არცარა დარტყმას ძალუძს არცერთი შენი ცოდვის გაქარწყლება, ამას იესო იქმს მხოლოდ და მხოლოდ, იმას მიმართე! – თქვა ობერლინმა და განეშორა.

ვახშმობის ჟამს ლენცი ოდნავ სევდიანი იყო როგორც ყოველთვის, მუსაი-ფობდა, შიშნეული აჩქარებით ჰყვებოდა სათქმელს. შუალამისას ობერლინი ხმაურმა გამოაღვიძა. ლენცი დარბოდა ეზოში, მქისე, ყრუ, სასონარკვეთილ კილოზე უხმობდა ფრიდერიკეს, მერე ჭისპირა ვარცლში ჩახტა, იფართხალა, ადგა, თავის ოთახში აირბინა, შემდეგ ისევ ვარცლს მიაშურა და ასე რამოდენიმეჯერ. და ძლივს, თანდათან დაშოშმინდა. მოახლე გოგონები, რომელთაც მისი სამყოფოს ქვემოთ, გამდელის ოთახში ეძინათ, ჩიოდნენ, ღამლამობით ზემოდან ისეთი ღრიალი გაისმის, თითქოს ნალარას აყვირებენო. წუხანდელი ლენცის გოდება კი განსაკუთრებით ხაფი იყო, ამაზრზენი, სასონარკვეთილი.

მომდევნო დილას ლენცი კარგახანს არ გამოჩენილა. ობერლინმა თავად ააკითხა ოთახში და ნახა მწოლიარე, უძრავი, მშვიდი. კარგახანს ეკითხებოდა, ვიდრე პასუხი დააცდენინა. ლენცმა ბოლოს ამოთქვა, როგორც იქნა:

– დიახ, ბატონო პასტორო, იცით, მომენყინა, დიახ, მოწყენილობა დამეუფლა! ახლა სათქმელიც აღარაფერი გამაჩნია; აი კედელი კი ათასნაირი აღნაქვისით მივხატე!

ობერლინმა ურჩია, ღმერთს მიმართეო. ლენცს გაეცინა და მიუგო:

– ეჰ, მე რომ თქვენსავით ბედნიერი ვიყო, თქვენნაირად კაი დროს რომ ვატარებდე, მაშინ მე მართლა მოვიხელთებდი საჩემო საქმეს. ყველაფერი მოცლილობისგანა გვჭირს. ერთნი მოწყენილობის გამო ლოცულობენ, მეორენი სიყვარულს ეძებენ მოწყენილობისგან, ზოგნი ქველ საქმეთ, მავანნი კი მკრეხელობას კისრულობენ მოწყენის გამო, ხოლო მე კი, საცოდავი, რა მაქნისი ვარ, – სულაც არაფრის, თავის მოკვლის თავიც არა მაქვს მოწყენილობის გადაძკიდე!

**ღმერთო, მაღალო, შენს სხივთა ჩქერში,
შენი შუადღის სიკაშკაშეში
დამევსო თვალი,
გვაღირსე ღამე!**

ობერლინი უკმაყოფილო იერით უსმენდა. ის იყო ნასვლა დააპირა, რომ ლენცი მივიარდა, შიშნეული მზერა მიაპყრო და უთხრა:

– იცით, გულით მნადია გავარკვიო, თუ კვლავაც შემომრჩა უნარი სიზმარცხადის გარჩევისა. მოდი, ვიმსჯელოთ! – თქვა და ისევ შენვა ლოგინში.

ობერლინმა სალამოხანს ცოლი სამეზობლოში გაისტუმრა და თავადაც ნასვლის თადარიგი დაიჭირა. ის იყო გასვლა დააპირა, რომ კარზე კაკუნე შემოესმა. ლენცი შემოვიდა წელში მოკაკული, თავჩაქინდრული, მურით სახეგათხუნული, ტანსაცმელზედაც ეცხო აქა-იქ მური, მარჯვენა ხელი მარცხენაზე ჰქონდა წავლებული, მოვიდა და ობერლინს მიმართა თხოვნით:

– თუ შეიძლება მკლავი გამიჭიმე, ალბათ ფანჯრიდან გადმოხტომისას ვიღრძე ეს დალოცვილი. მგონი, არავის დავეუნახვიარ და არცა ვის მინდა გავუმხილო!

ობერლინი დაფეთდა. მაგრამ კრინტი აღარ დაუძრავს. თხოვნა შეუსრულა. მერე წერილი დაწერა ბელეფოსელი მასწავლებლის, სებასტიან შაიდეკერის სახელზე, თხოვდა, ჩამოდიო, რომ მორჩა, ლენცი დაარიგა, ცხენზე ამხედრდა და წავიდა.

დაბარებული მასწავლებელი გამოცხადდა. ლენცს იგი ადრეც რამდენიმეჯერ უნახავს და თანადგომაც უთხოვია. სტუმარი ისე მოიქცა, თითქოს მხოლოდ ობერლინთან სასაუბროდ იყო მოსული. ნასვლა რომ დააპირა, ლენცმა თხოვა

დარჩიო, დატოვა და ფუდეში ქვეითად გასეირნებაზე დაიყოლია. იქ იმ ბავშვის საფლავი მოინახულეს, ვისი მკვდრეთით აღდგენასაც შეეცადა ლენცი. მან რამდენიმეჯერ მოიდრიკა მუხლი, საფლავის მიწას კოცნიდა, გულდათუთქული ლოცულობდა ჩუმად, თავისთვის; საფლავზე გახარებულ ყვავილის ვარჯს პანია რტო მონივნა სამახსოვროდ ვალდბახისკენ მიმავალ გზას დაადგა და მერე ისევ გამობრუნდა. სებასტიანი გვერდიდან არ შორდებოდა. ლენცი დროდადრო ნაბიჯს შეანელებდა, საოცარი სისუსტე ვიგრძენი კიდურებშიო, ეტყოდა თანმხლებს და ხანაც თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა წინ. ბუნების სურათი აკრთობდა, ეშინოდა, ვაითუ ამ სივნიროვეში რამეს დავეჯახხო. ენით უთქმელმა მელანქოლიამ დარია ხელი. თანამგზავრმაც თავი მოაბეზრა, აღარ იცოდა, რატომ აიკიდა და ამიტომ ცდილობდა ხელიდან დაძვრომოდა. სებასტიანიც ვითომ ყველაფერზე კვერს უკრავდა, თუმცა მოახერხა და თავის ძმას შეატყობინა, საშიში მდგომარეობა შეიქმნაო და ლენცს ერთის მაგივრად უკვე მეორე ზედამხედველიც ამოუდგა მხარში. ლენცს მაინც ჯიუტად მიჰყავდა ორთავე თავისი გზით. ბოლოს, როგორც იქნა ვალდბახისკენ შემობრუნდა. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, უეცრად ელვასავით მოწყდა ადგილიდან და ქურციკივით გავარდა უკან, ფუდეისაკენ. ზედამხედველები დაედევნენ. ფუდეში მათ მენვრილმანე შემოხვდათ, ერთ სახლში ვილაც უცნობი ჰყავთ გაბანრული, ამტკიცებს, მკვლეელი ვარო, თუმცა ზედვე ეტყობა, რომ მკვლეელი არ არისო. მივიდნენ ზედამხედველები და ლენცი ნახეს ბანრით შეკრული. ერთ ყმანვილკაცს მიადგა თურმე და აღარ მოეშვა, ვიდრე ბანრით არ გააკოჭინა თავი. მეგზურებმა ხელ-ფეხი შეუხსნეს და მშვიდობიანად ჩაიყვანეს ვალდბახს. ობერლინი და მისი მეუღლე ამასობაში დაბრუნებულიყვნენ და ხიზანს ელოდებოდნენ. ლენცი შეცბუნებული ჩანდა. თავაზიანმა, გულთბილმა დახვედრამ კვლავ დაუბრუნა მხნეობა, სანდომიანი სახისმეტყველება. თავის ორივე თანხლებს დიდი მადლობა მოახსენა. საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. ობერლინი შეევედრა, ღამ-ღამობით ჭყუმპალაობას მოეშვი, ინექი შენთვის წყნარად ლოგინში და თუ ძილი გაგიტყდა, ღმერთთან იმუხაიფეო. ასე მოვიქცევო, დაჰყავებულდა ლენცი და კიდევაც შეუსრულა თხოვნა. მოახლე გოგოებს მთელი ღამე ჩაესმოდათ თურმე მისი ლოცვა.

დილით კმაყოფილი იერით ჩამოვიდა ოთახში ობერლინთან. სხვადასხვა საგანზე საუბარს რომ მორჩნენ, ლენცმა დიდი თავაზით მოახსენა:

– ჩემო კეთილო ბატონო მოძღვარო, მე რომ ვახსენე, ის ყმანვილქალი გარდაიცვალა, ის ანგელოსი!

– თქვენ საიდან იცით?

– იეროგლიფები, ბატონო ჩემო, იეროგლიფები! მერე ზეცას ახედა და დასძინა:

– დიახ, მომიკვდა! – იეროგლიფები!

ამის თქმა იყო და მეტი კრინტი აღარ დაუძრავს. დაჯდა, რამოდენიმე წერილი დაწერა, ობერლინს გადასცა და თხოვა, ერთი-ორი სტრიქონი შენც აქვე მიანერეო.

მისი მდგომარეობა თანდათან სულ უარდაუარ მიდიოდა. გაქრა სიმშვიდე, ობერლინის სიახლოვეთა და ხეობის ხილვით მოგვრილი. უშველებელი ბზარი დააჩნდა⁶ სამყაროს, თავშესაფრად დაგულვებულს. აღარ ებადა არცა ზიზღი, არც სიყვარული, აღარც იმედი, სულში შემზარავმა სიცარიელემ დაისადგურა და ტანჯავდა ვერქმნა იმისი შევსებისა. სულ აღარაფერი ებადა. ცნობიერების კარნახით კი არა, არამედ ოდენ შინაგანი ინსტინქტით მოქმედებდა. მხოლოდ დაშთენილს მოეჭრებოდა უსაშველო გრძნობა მარტოობისა, ქადაგად დავარდებოდა, ყვიროდა, მერე საკუთარი ხმა სხვისად მოეჩვენებოდა და შეკრთებოდა, წინადადების დაბოლოებას ველარ მოვახერხებო; მერე იფიქრებდა, ბოლო სიტყვას დავიხსომებ და მის გამეორებას მოვყვებიო; დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ამ წადილის დასაძლევად. კეთილ მასპინძლებს გულის სიღრმემდე შეძრავდა ხოლმე მშვიდ, ძალდაუტანებელ საუბრის დროს სტუმარს უცებ რომ ზაფრა აეშლებოდა, გვერდით მჯდომს ჩასჭიდებდა ხელს და კარგა ხნის შემდეგ მოეგებოდა გონს. მარტოობაში წიგნის კითხვის დროს უარესი ემართებოდა, მთელი მისი გონებრივი



6. შდრ. ბიუნენის დრამა „დანტონის სიკვდილი“, 111, 1. „იცი, მე რატომ ვევენე? – აი აქ გახლავთ ათეიზმის თავი და ბოლო. ტკივილით ქმნილი ოდნავი ქროლვაც, თუნდ ერთ ატომსაც რომ აატოკებს, თავით ბოლომდე გამჭოლ ბზარს დააჩნევს ხოლმე სამყაროს“. მეტაფიზიკური მეტაფორა სამყაროს გამხლეწ ბზარისა ხშირად გვხვდება ბიდერმაიერისა და (1848 წლის) მარტის რევოლუციის წინახანების კაზმულსიტყვაობაში, მაგალითად, „ვინც დაიქანებს, ჩემი გული მთელი დარჩაო, იგი გაგვიმხელს, რომ პროზაული, შორს განდგომილი, ხენეში გულის პატრონი ყოფილა“. შაინრიხ შაინე, „მოგზაურობის სურათები, ლუკას აბანოები, თავი IV“.



აქტივობა ერთ აზრს შეაცივებოდა ხოლმე. თუ უცხო ადამიანზე დაფიქრდებოდა და მას ცოცხლად წარმოიდგენდა, მაშინ ის კაცი ეგონა თავი. თავგზა სულმთლად აებნეოდა და ზმანებებში გადასახლებული თავის შემოგარენს, ბუნებასა და ადამიანსაც უდიერად, ცივად ეპყრობოდა, სუყველას, გარდა ობერლინისა. სიამოვნება სახლების თავდაყირა დაყენება, ადამიანის გაშიშვლება და კვლავ შემოსვა, უკიდურესად დამთხვეული ოინბაზობა. დროდადრო მოუვლიდა დაუძლეველი ჟინი იმნამს აჩემებული კვიმატი აზრის განხორციელებისა და საშინელ მანჭვა-გრეხას მოჰყვებოდა. ერთხელ ობერლინის გვერდით იჯდა ოთახში, მის პირდაპირ სკამზე კატა მოკალათებულიყო. ლენცი ერთბაშად გამოშტერდა და თვალი ჯიუტად მიაპყრო კატას, მერე სკამქვეშ ჩასრიალდა და კატაც ჩაიყოლა, მზერით მონუსხული კატა შიშისაგან აიძაგრა, ბენვი აუშალა, ლენციც კატასავით აკრუტუნდა და დაიმანჭა. კაცი და კატა გააფთრებით ეცნენ ერთმანეთს, ძლივს გააშველა ქალბატონმა ობერლინმა ისინი. მერე ლენცმა დაიმორცხვა. ღამეული გამოხდომები უსაშველოდ გაუხშირდა. სიცარიელის ამოვსების ამო მცდელობის შემდეგ ძალიან უჭირდა ხოლმე დაძინება. კომპარული ძილ-ღვიძილის მოტევისას ამაზრზენი, გიჟური ზმანება აიტაცებდა, საკუთარ ღრიალის ხმაზე ოფლში განურულს გაელვიძებოდა; გონს მოგება უმარტივეს საგანთა გათავისებით ეწყებოდა, თუმცა თავად კი არ იქმოდა ამას, არამედ თვითშენახვის მძღავრი ინსტინქტი უბიძგებდა: ეგონა ორი ვარო და თითქოს შეშინებული ერთი ნაწილი შემოუძახებდა, მეორის გადასარჩენად წამოვიდოდა და ამბების თხრობას, ლექსების მხატვრულ კითხვას მოჰყვებოდა.

დღისითაც ემართებოდა ამგვარი და უარესი შეტევები, რაც მისი ჯანმრთელობის გაუარესებას მოწმობდა, ადრე სინათლე იფარავდა მათგან. უცაბედად მოეჩვენებოდა, მარტოდმარტო ვარ და სამყარო ოდენ ჩემეულ წარმოდგენაში არსებობსო, თავათ წყეული სატანა ვარო, საკუთარ წარმოდგენებთან განმარტოებული. ტყვიის უსწრაფეს გაუელვებდა თვალწინ თავისი სიცოცხლე და ბოლოს იტყოდა – ლოგიკურია, ბატონო, ლოგიკური! – და თუ ვინმე შეესიტყვებოდა, მაშინ: – ალოგიკური, ალოგიკურიო. სიგიჟის უფსკრული აფრენდა ხახას, სიგიჟე მარადისობას გადაწვდენილი.

სულიერი თვითშენახვის ინსტინქტი წამოაგდებდა, გადაეხვეოდა ობერლინს და ისე მაგრად ჩაიხუტებდა, თოთქოს მის სხეულში შეეყუყუვას აპირებსო. ობერლინი ერთადერთი არსება იყო, ვინც მისთვის ცოცხლობდა და მის სიცოცხლეს საცნაურჰყოფდა. ობერლინის სიტყვა ნელინელ უბრუნებდა ლენცს ცნობიერებას; ლენცი აკანკალებული დაუჩოქებდა, ხელში ხელს ჩასჭიდებდა და მეგობრის კალთაში ჩაამხობდა ცივი ოფლით დანამულ სახეს. ობერლინი სულითა და გულით თანაუგრძნობდა, მთელი ოჯახი მუხლმოდრეკით ევედრებოდა ღმერთს სატანჯველისგან დაეხსნა უბედური, მოახლე გოგოები ლენცის დანახვაზე გაფრთხებოდნენ ხოლმე, – გიჟად შერაცხეს. ცოტათი რომ დაწყნარდებოდა, ბავშვივით გულამომჯდარი ქვითინებდა, ძალიან ეცოდებოდა თავი. თუმცა ამავე დროს ეს მისი განცხრომის წუთებიც იყო. ობერლინი ღმერთზე ჩამოაგდებდა სიტყვას. ლენცი წყნარად მიუბრუნდებოდა და უკიდურესად ტანჯული სახისმეტყველებით ეტყოდა:

– მაგრამ მე, ყოვლისშემძლე რომ ვიყო, გესმით, გესმით ასეთი რომ ვიყო, მე არავის მოვუვლენდი ტანჯვას, მე ვუშველიდი, გადავარჩენდი. მე სიმშვიდის მეტი არა მინდა რა, სიმშვიდე და კვლავაც სიმშვიდე, მცირე სიმშვიდე, რომ თვალი მაინც მივლულო!

ობერლინის შენიშვნას, – მკრეხელობას თავი ანებეო, ლენცმა უიმელო თავის გაქნევით უპასუხა.

ამასობაში გაუმრავლდა თავის მოკვლის უნიათო მცდელობანი. ისინი იმდენად სიკვდილის სურვილით კი არ იყო ნაკარნახევი, – სიკვდილი მისთვის არც იმედს მოასწავებდა და არც დამშვიდებას, იგი თავზე ხელს აიღებდა ხოლმე შიშის ზარსა და არარსებობასთან წილნაყარ სიმშვიდის წამში, რომ გონს მოჰ-

გებოდა ფიზიკური ტკივილის ზემოქმედებით. ჯერაც სიამეს ჰგვრიდნენ ის ნამები, ოდეს მისი სული, შლეგურ იდეებს აყოლილი, დანავარდობდა. მაშინ ოდნავ დაშოშმინდებოდა და მისი ამღვრეული მზერა ისე ავადსანახავი აღარ ჩანდა, ვით გამომეტყველება მარად ტანჯული, შველის მავედრებელი კაცისა. ხშირად კედელს უჩაჩქუნებდა თავს, ანდა სხვაგვარად იგვემდა სხეულს.

რვა რიცხვში დილით ლოგინიდან არ ამდგარა და ობერლინმა ააკითხა ოთახში. ის თითქმის სულმთლად შიშველი, აფორიაქებული იწვა სანოლზე. ობერლინი შეეცადა საბანი დაეფარებინა. ლენცმა შესჩივლა:

– მემძიმება, სულყველაფერი მემძიმება, არც მგონია, თუ ფეხზე დადგომას შეეძლებ, ახლა როგორც იქნა ვიგრძენი, რა უსაშველოდ დამძიმდა ჰაერი!

ობერლინი ამხნევებდა, მაგრამ ლენცმა პოზა მაინც არ შეიცვალა და დღის უმეტესი ნაწილი ისევ სანოლში გაატარა, არც საჭმლისთვის უხლია ხელი.

სალამოხანს ობერლინი ავადმყოფთან გაინვიეს ბელეფოსეში. ამო ამინდი იყო, მთვარიანი. უკან მიმავალს ლენცი შემოხვდა. სულმთლად გონიერის შთაბეჭდილებას ტოვებდა, წყნარად, თავაზით მუსაიფობდა. შორს ნუ ნახვალო, თხოვა ობერლინმა და დაიყოლია. ლენცი გზას გაუდგა, მაგრამ უეცრად მობრუნდა, ობერლინს მიეჭრა და უთხრა:

– იცით, ბატონო პასტორო, ეს ხმა რომ აღარ გამაგონა, იქნება მეშველოს!

– მაინც რა ხმა, ჩემო კარგო?

– ნუთუ თქვენ არ გესმით, არ გესმით საზარელი გნისა, მთელს ჰოროზონტს გადაწვდენილი, სიჩუმეს რომ უწოდებენ ჩვეულებრივ, თქვენს წყნარ ხეობაში მოსვლის დღიდანვე ჩამესმის ყურში, ძილი წარმიღო სავესებით! ეჰ, ბატონო პასტორო, ერთხელ მაინც რომ დამაძინა! – თქვა და თავის ქნევით გაშორდა.

ობერლინი მარტო მიბრუნდა ვალდბახში, ფიქრობდა ვინმეს დავადევნებო, მაგრამ კიბეზე ნაბიჯის ჩქამი გაიგონა და ნახა, რომ ლენცი თავის ოთახში ადიოდა. წამი გამოხდა და ეზოში რაღაცამ ყრუ ბრაგვანი მოილო. ადამიანის დაცემის ხმოვანება არ იქნებო, გაივლო გულში, მაგრამ მოვარდა ძიძა. გაფითრებული, აკანკალებული...

გულგაცივებული, დამორჩილებული იჯდა ლენცი ხეობიდან დასავლის მიმართულებით მიმავალ ეტლში. ახლა მისთვის სულ ერთი იყო, საით მიჰყავდათ. ეტლი გზის სახიფათო მონაკვეთს რომ გაივლიდა, ის მაინც სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ამ განწყობით გაიარეს მთიანეთის გზა. სალამოს უკვე რაინის ხეობაში ჩავიდნენ. ნელი-ნელ შორდებოდათ მთაგრეხილი, დაისის მუქლურჯ ტატნობზე ძონისფერ ძენკვად გაბმული. დაბლობის მიჯნაზე აბურცულ მთისძირს ცისფერი მაქმანი ეფინებოდა. სტრასბურგს რომ მიუახლოვდნენ, უკვე ბნელდებოდა. მალლა ეკიდა ბადრი მთვარე, მრუმედ ილანდებოდნენ შორი საგნები, ოდენ მთაგრეხილის კონტურები ჩინობდნენ მკვეთრად. დედამინა მოჰგავდა მთვარის სხივთა ვარაყით შემკულ ოქროს თასს. ლენცი, თითქოს ყოველთ ვნებათგან დაცლილი, თვალგამტერებული იმზირებოდა, მაგრამ რაც უფრო ითქვიფებოდნენ ბნელში საგნები, მით უფრო მეტად ეუფლებოდა გაუცნობიერებელი შიში. იძულებულნი გახდნენ სასტუმროსათვის მიეკითხათ ღამის გასათევად. იგი კვლავ რამოდენიმეჯერ შეეცადა თავის მოკვლას, მაგრამ ფხიზლად დარაჯობდნენ ზედამხედველები.

წვიმიანი, ამღვრეული დილა თენდებოდა, სტრასბურგს რომ ჩავიდნენ. ლენცს საკმაოდ გონივრულად ეჭირა თავი. დამხვდურებს გამოელაპარაკა, ყველაფერს იქმოდა, რასაც სხვები აკეთებდნენ; მაგრამ საზარელმა სიცარიელემ დაისადგურა მის სულში, შიშს აღარ გრძნობდა, ნადილი აღარ გააჩნდა არავითარი და სავალდებულო ტვირთად ექცა სიცოცხლე.

ასე მიათრევადა ამიერიდან ნუთისოფელს.



გერმანულიდან თარგმნა ზურაბ აბაშიძემ

უკვდავი სახელები

თამაზ ჯოლოგუა

შეთქმული ქალები
თეკლა ბატონიშვილი

თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი (1776-1846) ერეკლე II-ისა და დარეჯან (დარია) გიორგი დადიანის ასულის ნაბოლარა ქალიშვილი იყო, სიმკვირცხლის გამო პატარაობისას „თეკლა ბიჭს“ ეძახდნენ და ეს მეტსახელი ოთხიოდე წლისას ერეკლე II-მ სახალისოდ გაცემული და ბეჭედდასმული სიგელით „დაუმკვიდრა“ კიდევაც: „გიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს თეკლას ბიჭს. თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გინცალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს, ამიერიდან გინოდონ თეკლა ბიჭი“. სიგელს „ამტკიცებენ“ თეკლას ბიძა ანტონ კათალიკოსი და ძმა იულონ ბატონიშვილი (კაკაბაძე 1914: 133). შემორჩენილია აგრეთვე ერეკლე II-ის რამდენიმე წერილი თეკლასადმი, რომლებშიც ჩანს მამის განსაკუთრებული სითბო და მზრუნველობა გამორჩეულად საყვარელი ასულის მიმართ: „თეკლას, მამისა და დედის სიხარულს მაძლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მიერ...“, „ჩემო შინაგან გულის ნათელო თეკლავ...“, „დიად მეჯავრება შენი მოშორება და კინალარ ვერც გამიძლია და ღვთით ამ ორს დღეში გნახავ...“ და ა. შ. (კაკაბაძე 1914: 136). თვითონ თეკლა, – მამის გარდაცვალებით შეძრული, – 1798 წლის 15 მაისს თელავიდან პეტერბურგში სწერს გარსევან ჭავჭავაძის მეუღლეს მარიამ (მაია) ავალიშვილ-ჭავჭავაძეს: „მე გტკიოდე, მე გენწყალვოდე, მე მიწუხებ, მე შემიბრაღე...“ და ა. შ. („ცისკარი“ 1860: 443).

თეკლა ბატონიშვილი ყმანვილობიდანვე შესანიშნავად ხმარობდა თოფიარაღს, იყო განთქმული მოჯირითე და, ვაჟურად გამოწყობილი, თავის სახელოვან მამას ზოგჯერ ნადირობასა და ლაშქრობებშიც ახლდა ხოლმე; მამამვე 1796 წელს დანიშნა ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანზე (უთურაშვილი 1991: 14). ერეკლე II-ის სიკვდილის შემდეგ თეკლა გიორგი XII-ის თანხმობითა და

კურთხევით დაქორწინდა თავის დანიშნულზე (პ. იოსელიანის მიხედვით, 1799 წლის 7 სექტემბერს – იოსელიანი 1936: 203; გენერალი ლაზარევი სხვა თარიღს ასახელებს – 1800 წლის 7 სექტემბერს. ეს უკანასკნელი თარიღი 1800 წლის 8 სექტემბერს შედგენილ ოფიციალურ წერილში გვხვდება და, უდავოდ, უფრო სწორია: „Вчерашний день совершился брак царевны Фекли... за к. Вахтанга Орбелиани“ – აქტები, I: 150; თეკლას მზითვად ერგო „მთელი სოლოლაკი, სადაც მეორმოცე წლებში მან დაიდგა სასახლე და ცხოვრობდა მშვიდობიანათ“ – წერეთელი 1897: 110; ნამზითვ მამულში თეკლამ გააშენა შესანიშნავი ბაღი და, სხვათა შორის, ამ ბაღში შეთქმულები ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე. თეკლას სახლი კი იდგა პოლიციის, – ამჟამად ერეკლე II-ის, – მოედანზე).

უმამაცესი მეომარი ვახტანგ ორბელიანი (წყაროებში ყაფლანიშვილადაც იხსენიება), რბილად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობრივი ბუნების ადამიანი იყო და, რაც მთავარია, ტახტის ერთგულებით არ გამოირჩეოდა არც მანამ და არც მას მერე, რაც სამეფო ოჯახის სიძე გახდა. მას ერთობ საძრახისი როლი აქვს შესრულებული თავისი სიდედრის, დარეჯან დედოფლის გადასახლების მოგვარებაში – მთავარმართებელ პავლე ციციანოვის დავალებით დარეჯანი რუსეთში წასვლაზე სწორედ ვახტანგ ორბელიანმა დაიყოლია, მოხუცებული და ავადმყოფი დედოფალი 1803 წლის შემოდგომაზე ამალითურთ მუხრანიდან მოზდოკში ჩაიყვანა და ამ დავალების „კეთილსინდისიერად“ შესრულებისათვის პოლკოვნიკის ხარისხი და დიდი ჯამაგირიც მიიღო, რასაც ციციანოვი საგანგებოდ აუწყებს იმპერატორ ალექსანდრე I-ს (აქტები, II: 90; ბერძნიშვილი 1983: 143). 1812 წლის მარტში რუსების მხარდამხარ მეგრძოლი 43 წლის პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი აჯანყებულმა გლეხებმა სოფელ

ჩუმლაცთან მოკლეს (ალ. ორბელიანის ვერსიით, გაორებული სინდისით განამებულმა ერთ-ერთ აჯანყებულს თავი შეგნებულად შეაკლა – ორბელიანი 1992: 165-172; ბერძნიშვილი 1983: 144).

ვახტანგის ხსოვნა მტკივნეულად შემორჩა მის შთამომავლობას. ამ მხრივ, საგულისხმოა ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავის მემუარების ერთი მონაკვეთი: „ერთხელ შევედი მამასთან (მარიამ ორბელიანი, უფროსი ვახტანგის შვილიშვილი და პოეტ ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი – თ. ჯ.) და ვნახე თეკლე ბატონიშვილის დიდი სურათი მოლბერტზე თირმალამით მორთული და მისი მეუღლე კი სხვა ოთახში იყო ჩამოკიდებული. მე ვუთხარი მამას: – რა არის-მეთქი, რომ პაპაშენი ეგრე გათახსირებულ გყავს-მეთქი, რა დაგიშავა? იმან მითხრა: – სამშობლოს ღალატობდაო!“ (ერისთავი: ფურც. 3).

თეკლაბატონიშვილზე ილია ჭავჭავაძე წერს: „...ზედმინევენით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, საღმთო წერილისა, კირგად განათლებული მაშინდელ კვალობაზე, ჭკუით, სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი“ და იქვე იმონებებს გიორგი იასეს ძე ერისთავის მიერ არაერთგზის ნათქვამს – ერეკლე II ხშირად ამბობდაო: „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემის თეკლეს სიკეთე რო სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდიო“ (ჭავჭავაძე 1953: 236). საქართველოში 1812 წელს მყოფ გერმანელ დიპლომატს ვილჰელმ ფონ ფრეიგანგს (1783-1845) კი უწერია: „მათში (ქართველ არისტოკრატ ქალთა შორის – თ. ჯ.) ყველაზე უფრო უშესანიშნავესად მე მიმაჩნია სახელოვან მეფის ირაკლის ქალი თეკლა... ის მართლაც ამტკიცებს თავისის მაგალითით – თუ რა ჯიშისა და მოდგმისაც არის“ (პაპავა 1990: 26).


1832 წლის შეთქმულებაში თეკლას მთელი ოჯახი მონაწილეობდა – არა მარტო შვილები: ალექსანდრე (1802-1869; გადაასახლეს ორენბურგში), დიმიტრი (1808-1882; გადაასახლეს კალუგაში) და ვახტანგ (1812-1890; გადაასახლეს კალუგაში) ორბელიანები, არამედ რძალიც (ალექსანდრეს ცოლი) – ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილი (1807-1873; დაკრძალულია სიონის ტაძარში, მეუღლის გვერდით), რომელსაც შეთქმულთაგან ბაირალის შეკერვა ჰქონდა

დავალებული („ჩემი კატინაც ერია ჩვენს საქმეში, სხვანი ქართველნი ქალებიც ბევრი, რომელთაცა ჩემს კატინას ვალათ დასდეს რევალუციის ბაირახი შეეკერა“ – ამბობს ერთ თავის მოგონებაში ალ. ორბელიანი (გოზალიშვილი, I: 123)).


ერთი სიტყვით, პატრიოტულად განწყობილ საზოგადოებაში არცთუ მოსანონი რეპუტაციის მქონე ვახტანგ ორბელიანის ქვრივს თეკლა ბატონიშვილსა და მის ოჯახს ქართლ-კახეთის ტახტის აღდგენისათვის თავი ჰქონდათ გადადებული, მაგრამ ამ სასიქადულო სურვილსა და განზრახულებას იასე ფავანიშვილის ღალატმა დაუსვა წერტილი – 1832 წლის 11 დეკემბრის ღამეს თეკლა ბატონიშვილის სახლში თბილისის კომენდანტი და პოლიცმაისტერი რუსი ჯარისკაცების თანხლებით მივიდნენ და ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანს, აგრეთვე, მათთან მყოფ გიორგი რევაზის ძე ერისთავს გამოუცხადეს – მთავარმართებელი როზენი გიბარებთ და, ამას გარდა, რაც რამ ქალღებები მოგეძევათ, თან უნდა წავილოთო (გოზალიშვილი, I: 122-123; გ. რ. ერისთავი იყო თეკლას დისშვილი, პეტერბურგში ადრევე გადასახლებული ანასტასია ბატონიშვილის ძე, რომელიც შეთქმულებაში მონაწილეობისათვის არხანგელსკში განანესეს).

დიდი მიხვედრა არ დასჭირდებოდა იმას, რომ შეთქმულება გაცემული იყო და თეკლა ბატონიშვილმაც შვილები და დისშვილი ოჯახიდან ამ სიტყვებით გაისტუმრა: „მაგისთანა პატიოსანს განზრახვასთან სანაწურად ნულარ მიგაჩნდებათ თავი. შენი ცოლშვილებისთვის (ალექსანდრეს მიმართავს – თ. ჯ.) შენ ნულარას ინაღვლი. მე იმათი მომვლელი და პატრონი ვიქნები, ოღონდ რაც უბედურება მოგადგესთ, მოთმინებით მიიღეთ. კარგი. ნადი. ღვთისათვის მიმიბარებხართ ერთობ თქვენა“ (გოზალიშვილი, I: 124).

შეთქმულებაში თეკლას კვალი საგამომძიებლო კომისიამ მალევე აღმოაჩინა. 1832 წლის 13 დეკემბერს ზაქარია ჩოლოყაშვილმა თავის პირველ ჩვენებაშივე აღიარა: „საღამოს წავედი ალ. ორბელიანოვთან და რადგან ადრე მივედი, მასთან დამხვდნენ თეკლა ბატონიშვილი და ალექსანდრეს მეუღლე... ბატონიშვილმა ინება ჩვენთვის ეთქვა, რომ ჩვენს მსახურებთან ფრთხილად იყავით, იმათ



ალექსანდრე ორბელიანი



დიმიტრი ორბელიანი



ვახტანგ ორბელიანი



ვახტანგ ორბელიანი
(თეკლა ბატონიშვილის მეუღლე)

დამონშებანი:

ასათიანი 1935: ასათიანი ლევან, ძველი საქართველოს პოეტიკა-ლები, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, თბ.: 1935.

აქტები: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. I, Тфл.: 1866; т. II, Тфл.: 1868; т. XI, Тфл.: 1888.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ.: 1983.

გოზალიშვილი: 1832 წლის შეთქმულება, I, თბ.: 1935; II, თბ.: 1970; III, თბ.: 1976.

ერისთავი: ერისთავი ელისაბედ, მოგონება, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 13480, ფურც. 3.

თეკლა ბატონიშვილი 1860: უცხოებაში მყოფი საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული თეკლა, იანბიკო ღვთისმშობლისადმი, „ცისკარი“, 1860, 1.

იოსელიანი 1936: იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. განერლიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ.: 1936.

კაკაბაძე 1914: კაკაბაძე სარგის, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი I, თბ.: 1914.

ორბელიანი 1949: ჯამბაკურ-ორბელიანი მარიამ, მოგონებანი, „ლიტერატურის მატინე“, წიგნი 5, ნაკვეთი I, 1949.

რუსულად ყველაფერი ესმით; მაშ ასე, იყავით ფრთხილად... ბატონიშვილის მიერ ნათქვამმა სიტყვებმა ძლიერ გამაკვირვა და განმიტკიცა ის აზრი, რომ ისიც მონაწილეა ან, უკიდურეს შემთხვევაში, იცის ყველაფერი ის, რაც მე გავიგონე“ (გოზალიშვილი, I: 146).

მოგვიანებით, სხვა ჩვენებაში, იგივე ზ. ჩლოყაშვილი ამბობს – შეთქმულების შესახებ ალ. ორბელიანმა გამომიცხადა და შეთქმულთა შორის თეკლა ბატონიშვილიც დაასახელაო (გოზალიშვილი, II: 242). ანალოგიური ჩვენება მისცა ლუარსაბ ორბელიანმაც (ალ. ორბელიანმა მითხრა: დედაჩემიც შეთქმულების წევრიო – გოზალიშვილი, II: 384), თვითონ ალექსანდრემ კი ეს ყველაფერი კატეგორიულად უარყო: „დედაჩემ თეკლა ბატონიშვილთან ამაზე ლაპარაკს ვერც გავბედავდიო“ (გოზალიშვილი, II: 92).

საგამომძიებლო კომისია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შეთქმულთა ჩვენებებში არსებულ შეუსაბამობებს მაინცდამაინც სიღრმეში არ მიჰყვებოდა, თითქოს ამას უნდა დასჯერებოდა, მაგრამ ვითარება გაართულა გიორგი რევაზის ძე ერისთავმა, რომელმაც ვერ გამოიჩინა შესაფერისი სიმტკიცე და სხვებთან ერთად 1833 წლის 7 მარტს თავის მოამაგე დეიდასაც დაადო ხელი: „ერთხელ თეკლა ბატონიშვილთან შევედი და იქ დამხვდნენ თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და თავადი ბიძინა ერისთავი. თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა უთხრა ბატონიშვილს, ჩვენი განზრახვა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს უნდა გამოვუცხადოთ და არ ვიცი, თანახმა შეიქმნება თუ არაო. ბატონიშვილმა კი უპასუხა, სჯობია ასეთ სისულელეს ნუ იზამთ, არც თავადი ჭავჭავაძე შეიქმნება თანახმაო... მე მგონია, მან (თეკლამ – თ. ჯ.) ეს უწინაც იცოდა“ (გოზალიშვილი, II: 430-431).

ყოველივე ამას დაერთო კომისიის ეჭვი, რომ თეკლა სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმონერაში მონაწილეობდა. კერძოდ, ლუარსაბ ორბელიანმა უჩვენა: „ალ. ორბელიანოვმა განაცხადა, რომ დედამის თეკლასაც აქვს მიმონერა ალ. ბატონიშვილთანაო“ (გოზალიშვილი, I: 188; შეხვედრის მონაწილე ელიზბარ ერისთავი ამას უარყოფს – გოზალიშვილი, III: 404-405),

მთავარმართებელი გრიგოლ როზენი კი რუსეთის სამხედრო მინისტრს ალ. ჩერნიშოვს ოფიციალურად ატყობინებს: ალექსანდრე ბატონიშვილისთვის მიწერილი წერილებიდან პირველი „მიაგავს თეკლა ბატონიშვილის ხელით ნაწერს“ – გოზალიშვილი, III: 451; გ. გოზალიშვილის აზრით, „პირველი წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მართლა თეკლა ბატონიშვილს დაუწერია, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანი თვითონ იბრალეებს ამას, რათა თეკლას მონაწილეობა შეთქმულებაში დამალოს“ – გოზალიშვილი, III: 451). კომისიამ ზემოაღნიშნულ ჩვენებებს ეს ეჭვიც შეუეცვა და 1833 წლის 8 სექტემბერს ოფიციალურად მოახსენა გრ. როზენს: „ბატონიშვილი თეკლა ირაკლის ასული ქართველთა დანაშაულებრივი შეთქმულების მონაწილეა, მაგრამ საგამომძიებლო კომისია არ სთვლის აუცილებლად, იმ საქმის გასარკვევად, რაც უკვე საკმარისად არის გამოძიებული, დაკითხულ იქნას ბატონიშვილი თეკლა“. როზენი კომისიის ამ წინადადებას დაეთანხმა (გოზალიშვილი, III: 410).

ასე იყო თუ ისე, თეკლა ბატონიშვილი შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ დაკითხვის გარეშე და საქმის გაურთულებლად „დამნაშავეთა“ მეშვიდე კატეგორიაში მოაქცია („ვინც იცოდა შეთქმულების შესახებ, მაგრამ არ ეთანხმებოდა“), თუმცა სასჯელი მესამე კატეგორიის მიხედვით განუსაზღვრა („შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა და ეთანხმებოდა აჯანყების იდეას“), საბოლოოდ კი დაასკვნა: „თეკლა ბატონიშვილი გაძევებულ იქნას საქართველოდან სამუდამოდ ქალაქ კალუგაში“ (გოზალიშვილი, III: 429).

1834 წლის 21 აგვისტოს თეკლა თავის შვილთან, ვახტანგთან, ერთად თბილისიდან გაიყვანეს. გადასახლებულები 9 ოქტომბერს ჩავიდნენ კალუგაში, სადაც მათ დახვდა უფრო ადრე კალუგაშივე გამწესებული კიდევ ერთი ვაჟი თეკლა ბატონიშვილისა – დიმიტრი [„ნეტავ თქვენ, რომ კახურ ღვინოსა სვამთ“ – სწერს თეკლა თავის რძალს კატინას კალუგიდან თბილისში (უთურაშვილი 1991: 42)]. ნიკოლოზ I-მა, რომელსაც ქართული არისტოკრატის გულის მოგება სურდა და ამიტომაც შეთქმულთა თანდათანობითი შეწყალება ჰქონდა

გადაწყვეტილი, 1834 წლის დეკემბერში თავისი „კეთილმოსურნე“ მზერა თეკლა ბატონიშვილსაც მიაპყრო – მას სამშობლოში დაბრუნების ნება დართო, მაგრამ მკაცრი ზამთრის გამო თეკლამ მხოლოდ 1835 წლის 8 მაისს დატოვა კალუგა, ხოლო თბილისში იმავე წლის 6 ივნისს ჩამოაღწია (ბერძენიშვილი 1983: 38).

თეკლა ბატონიშვილმა ხანდაზმულობაშიც შეინარჩუნა გამჭრიახი გონება და შესანიშნავ ჩუბინად და მოჯირითედაც დარჩა. მისი შვილიშვილი მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი თვითმხილველის ნაამბობზე დაყრდნობით წერს, თუ როგორ მოატანინა ახლობელთა დაუინებელი თხოვნით მოხუცებულმა თეკლამ სოლოლაკის ბაღში თოფი და როგორ ჩამოაგდო ჩიტი ერთი გასროლით (ორბელიანი 1949: 66; იმავე ისტორიას გადმოგვცემს გიორგი წერეთელიც, ოღონდ მას „ჩიტის“ ნაცვლად „ნიშანი“ უწერია: „...ესროლა და კიდევ მარჯვით მოახვედრა ნიშანს“ – წერეთელი 1897: 110). ამა-სთანავე, თეკლას პოეტური ნიჭიც ჰქონდა და რომანტიკული განწყობილებისა და სულისკვეთების ლექსებსაც თხზავდა: „ჰე გულო, რად გაქუს ესდენ წყინება, / მარად სისხლისა ცრემლთა დინება, / გუშაგთ სიმრავლით თუალთა შინება, / მათგან უწყალოდ ჭირთა ჰსმინება? / რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება, / კრძალვით ითმინე სახმით გზნებანი...“ – ლექსად სწერდა თეკლა თავის დას, ქეთევან ბატონიშვილს, თვითონაც პოეტსა და საინტერესო ლექსების ავტორს [თეკლას ესა და კიდევ ორი ლექსი შემოგვინახა დავით რექტორის (ალექსი-მესხიშვილის) მიერ 1815 წელს გადაწერილმა კრებულმა. ამ ლექსების პუბლიკაცია იხ.: ასათიანი 1935: 453-456; კალუგაში დაწერილი თეკლას ლექსი – „იანბიკო ღვთისმშობლისადმი“ – ივანე კერესელიძემ გამოაქვეყნა „ცისკარში“ (თეკლა ბატონიშვილი 1860: 63-66)].

თეკლა გარდაიცვალა 1846 წლის 11 მარტს, თბილისში. მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის თაოსნობითა და მონაწილეობით ბატონიშვილის შესაფერისი პატივით (ხელისუფლების ფართო წარმომადგენლობით, ჯარით, გრენადერთა პოლკის სასულე ორკესტრითა და სხვ.) გაასვენეს სიონის ტაძრიდან და სვეტიცხოველში, – 1807 წლის 8 ნოემბერს პეტერბურგში გარდაცვლილი

და პეტერბურგშივე, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში დასაფლავებული დარეჯან დედოფლისათვის განკუთვნილ სამარხში, – დაკრძალეს (სხვათა შორის, თეკლა ბატონიშვილმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ეზიარა, შემდეგ კი მასთან მიხ. ვორონცოვისა და მისი მეუღლის ელისაბედ ბრანიცკაია-ვორონცოვას მისვლა ითხოვა, დაახლოებით ერთი საათი ესაუბრა მათ, თუმცა ამ საუბრის შინაარსი ჩვენთვის არ არის ცნობილი. ეს ფაქტი და თეკლას გასვენებასთან დაკავშირებული ამბები იხ.: შემოიტი 1846; თარგმანი – „ცისკარი“ 1869: 96-102; აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეკლას დაკრძალვის ხარჯები მთლიანად ვორონცოვმა გაისტუმრა მის ხელთ არსებული ექსტრაორდინარული თანხიდან – აქტები, XI: 625).

თეკლა ბატონიშვილის საფლავის ქვაზე, – უნდა ვიფიქროთ, შვილებმა, – ასეთი ეპიტაფია ამოაკვეთინეს: „აქ განისუფნებს საქართველოს მეფისა ირაკლი მეორისა ასული თეკლა, მეუღლე ვახტანგ დიმიტრის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა, რომელიც იშუა კ[20] სექტემბერს ჩლოვ[1776] წელსა და აღსრულდა ია[11] მარტს ჩემვ[1846] წელსა. აჰა ესე რა ღმერთი შემწე ჩემდა და უფალი შემწყნარებელი სულისა ჩემისა“ (ხუციშვილი 1961: 52; უთურაშვილი 1991: 6-7). ყოფილა ეპიტაფიის სხვა ვარიანტიც, რომელზეც ოჯახს რატომღაც უარი უთქვამს: „აჰა ამომან და ტკბილ-მწარემან სოფელმან ნასესხი ვალი თვისი მესამოცდაათსა წელიწადსა მყოფსა მთხოვა, რომელიც სწრაფათ და განსვენებულის გულით მივეცი, გარნა მონიჭებული სული ღმერთსავე მივართვი სიხარულით და უკანასკნელი ხორცი ამა საფლავსა დავემინე საუკუნოთ. კაცო წარმავალო, ნურარაითა ნუ გაამაყდები, სიმდიდრე, პატივი და დიდება ყოველი სიკვდილთანვე ჩაგივლის ამოად, უკეთუ კეთილად არ მოიხმარებ მას. კეთილით შეიძინებ კაცთა და უფროს ღმერთსა მისის ზეციურის უკვდავების დიდებით“ [ხუციშვილი 1961: 53; უთურაშვილი: 130-131; დედანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-1658, ფურც.1) და ახლავს ალ. ორბელიანის მინაწერი: „ბატონიშვილის დედი ჩემის საფლავის ეპიტაფია, მაგრამ ველარ-კი დავაწერეთ“].



ეკატერინე ბარათაშვილი

ორბელიანი 1992: ორბელიანი ალექსანდრე, მოგონება, წიგნში: ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, ტ. 9, თბ.: 1992.

პაპავა 1990: პაპავა თამარ, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გ. შარაძემ, თბ.: 1990.

უთურაშვილი 1991: უთურაშვილი იოსებ, თეკლა ბატონიშვილი, თბ.: 1991.

შემოიტი 1846: Шемюг В. Тифлис, 14 Марта. „Кавказ“, 1846, 11.

„ცისკარი“ 1860: ბატონის-შვილის თეკლასაგან მიწერილი წიგნი..., „ცისკარი“, 1860, 11.

„ცისკარი“ 1869: საქართველოს მეფის ირაკლის ასულის თეკლას გარდაცვალებაზე და დასაფლავებაზე რამდენიმე სიტყვა, „ცისკარი“, 1869, 9.

წერეთელი 1897: წერეთელი გიორგი, თეკლე ბატონიშვილი, „კვალი“, 1897, 5.

ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე ილია, მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, თბ.: 1953.

ხუციშვილი 1961: ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ხუციშვილმა, წიგნი I, თბ.: 1961.

თეატრი



თამარ კიკნაველიძე

რეზა სერვატის „მაკბეტი“ საქართველოში

სინთეზური ხელოვნების ირანული ნიმუში

ნაწილი II

„სისხლი დაიღვარა, როგორც უნინ და საზარელი მკვლევლობები დღესაც ხდება... იყო დრო, როცა ტვინი ჩერდებოდა, ადამიანი კვდებოდა და ამით ყველაფერი მთავრდებოდა, მაგრამ ახლა ისინი კვლავ ცოცხლდებიან, ზურგზე აკიდებული ცოდვებით გვირგვინს იდგამენ და სკამიდან გვაგდებენ. ეს მკვლევლობაზე მეტად უცნაურია“, – ამბობს მთხრობელი წარმოდგენის დასაწყისში და პირველივე სცენიდან იკვეთება სათქმელი, რომელსაც ირანელი რეჟისორი **რეზა სერვატი** გვთავაზობს. მან ერთ სპექტაკლში ბევრი რამ შეძლო და გაიხარა. **შექსპირის „მაკბეტის“** მთავარი პერსონაჟები ისე გააცოცხლა, რომ ჯერ გარდაცვლილნი გვაჩვენა, შემდეგ კი მკვდრებით აღმდგარნი. ამით საკუთარი თავი „აიძულა“ მაკბეტისა და ლედი მაკბეტის ცნობილი ისტორია ახლებურად გაეთამაშებინა.

თეირანის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ყველაფერი ერთ საათში ჩაატია. პიესიდან ამოარჩია სულ რამდენიმე პერსონაჟი, რომლებიც ხუთმა მსახიობმა (**ჰესამ მენზური, მაჰმუდ აღაზადე, ბერუზ კაზემი, ასლარ პირანი, მეჰდი მოჰამადი**) განასახიერა და ამოიღო ფრაგმენტები დუნკანის მკვლევლობამდე, რამდენადაც რეჟისორის მიზანი იყო წარმოეჩინა მაკბეტისა და ლედი მაკბეტის ურთიერთობა, მათი განცდები და ემოციები. რა ემართება ადამიანს, რომელიც ცდუნებას ვერ უძლებს? ამ კითხვაზე პასუხობს რეზა სერვატი, რომელმაც ჩანაფიქრის განხორციელება მინიმალისტური მხატვრული ხერხების გამოყენებით შეძლო. ამ საქმეში მას პროფესიონალთა შემოქმედებითი ჯგუფი დაეხმარა. „MAX თეატრის“ წარმომადგენლების „მაკბეტმა“ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა და 2010 წლის ივნისში ამსტერდამში

გამართულ ITs FESTIVAL-შიც მიიღო მონაწილეობა.

„მაკბეტი და მისი ცოლი კუდიანების დახმარებით ცოცხლდებიან იმისათვის, რომ კვლავაც გაითამაშონ ვნება და სიყვარული, ჩაიდინონ დანაშაული... ისინი კუდიანების წყალობით მმართველობის უმაღლეს საფეხურს აღწევენ, მაგრამ ისევ და ისევ ჯოჯოხეთში ხვდებიან და ამოების წრედიც ბრუნვას განაგრძობს... ამ შემთხვევაში, მაკბეტი და მისი ცოლი სიცოცხლის გახანგრძლივებას ორი მეთოდით ცდილობენ: პირველი – ლედი მაკბეტი დუნკანის ხარჭა ხდება და მისგან შვილს აჩენს, ხოლო მეორე – მაკბეტი კლავს დუნკანს, ამ უკანასკნელისა და მისი ცოლის ნაშეირის მიღება კი უჭირს“, – ამბობს რეჟისორი, მაგრამ სპექტაკლს ახსნა არ სჭირდება, ისედაც ყველაფერი გასაგებია და პიესაში ჩარევის მიუხედავად, შენარჩუნებულია მთავარი, რაც დადგმას ტრაგედიადა აქცევს. როგორ აღწევენ ამას? ამაზე გაცილებით მეტი შეიძლება ითქვას, ვიდრე სიუჟეტზე, რომელიც რამდენიმე სცენისგან შედგება. სცენები დასათაურებულია შემდეგნაირად: „ლედი მაკბეტის გაგიჟება, ნამება და ნაყოფის სიკვდილი“, „მაკბეტისა და კუდიანების პირველი შეხვედრა“, „მაკბეტის წერილი ცოლისადმი“, „დედოფალის მაკბეტთან შეთანხმებული გადანყვებილება, რომ ბავშვი, ქმრის უნაყოფობის გამო, სამეფო გვარის წარმომადგენლისგან გააჩინოს“, „დუნკანის მკვლევლობა“, „ხელის დაბანა და ბრილიანტის ბეჭედის დაკარგვა“, „ჯოჯოხეთის დარაჯი და დუნკანის უთაო სხეული“, „სამეფოში მისვლა და ერთი ღამით მმართველობა, შეხვედრა დუნკანის სულთან“, „მაკბეტის უძილობა და ლედი მაკბეტის სიზმრები“, „დაბრუნება მოსაწყენ ჯოჯოხეთში,

ნაყოფის კვდომა და მომავლის გარეშე დარჩენილი სამეფო“. პიესის პირველი ნაწილიდან ამოღებულია მთავარი, მისი ვერბალური მხარე კი ისეთივე „თავშეკავებულია“, როგორც მაკბეტისა და ლედი მაკბეტის ურთიერთობა. ლედი მაკბეტს სპექტაკლში მაჰმუდ ალაზადე ოსტატურად განასახიერებს და ის ფაქტი, რომ ორი პერსონაჟის ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ერთი სქესის წარმომადგენლებისას არ გავს, მსახიობების დამსახურებაა და კიდევ, ტრადიციის, რომელიც ირანში არსებობს. ამ თავშეკავებულობასა და სცენაზე ქალთან შეხების აკრძალვაში იგრძნობა ის, რაც აკლია ევროპულ თეატრს, კერძოდ: შინაგანი განცდისა და ემოციის ასეთი სიძლიერით წარმოჩენა. ირანელი მსახიობების მზერა იმდენად მეტყველია, რომ რაიმეს წარმოთქმა საჭირო აღარ არის. მათი შინაგანი ენერჯია დარბაზის ბოლო რიგში მოკალათებულ მაყურებელამდე აღწევს. შემსრულებლები ისე ფლობენ სხეულს, რომ მათი პლასტიკა შინაგან რიტმსა და განცდებს ექვემდებარება. ხუთივე მსახიობი კარგად მუშაობს, მაგრამ ორი მაინც განსაკუთრებულია. მათ შერჩევას რეჟისორმა დიდი დრო მოანდომა, საბოლოოდ კი აირჩია ჰესამ მენზური და მაჰმუდ ალაზადე, რომლებმაც დავალებას საუკეთესოდ გაართვეს თავი და საინტერესო სახეები შექმნეს.

რა გვიქმნიდა განწყობას? უპირველესად, მუსიკა, რასაც სპექტაკლში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და საერთოდ, ირანული თეატრი მუსიკის გარეშე წარმოუდგენელია. „მაკბეტის“ მაგალითზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თუ რამდენად ძლიერ ემოციას ბადებს წარმოდგენის ცოცხალი მუსიკალური გაფორმება... ურთულესი მისია იტვირთა ორმა მუსიკოს-შემსრულებელმა, **ბამბდად აფშარმა და რუზბეჰ შაჰგალდმა**, რომელთა ხელოვნებაც დადგმას ორგანულად შეერწყა. მათ გამოიყენეს როგორც ეროვნული ინსტრუმენტები, ძირითადად სიმებიანი, ასევე სხვადასხვა ხელსაწყოები და სპექტაკლის მუსიკალური თხრობა გააძლიერეს.


არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხერხი, რითაც რეჟისორმა სერვატიმ

ზემოთ ჩამოთვლილი სცენები ააგო. მან პიესაზე მუშაობისას გადაწყვიტა, რომ დადგმაში კინოხერხები გამოეყენებინა. სპექტაკლში ირანული კინოს გავლენა იგრძნობა, მაგრამ ეს ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა, ნაწარმოებიდან გამომდინარე მოხდა ასეო, მითხრა რეჟისორმა. „ამ მოკლე და მასიურმა სცენებმა ჩვენ კინოს ტექნიკის გამოყენების იდეა მოგვანოდა, მაგალითად: ნარსულის გახსენება, მოვლენებისთვის გასწრება, ნელი მოძრაობები, კადრების მიახლოება-დაშორება, ე. წ. ზუმი, შორი კადრები, რომლებიც ფილმში პერსპექტივით მიიღწევა და ა. შ. ჩვენი მინიმალისტური ხედვის მიუხედავად, ნაკლები ხრიკებით უფრო მეტის გამოხატვას შევცადეთ. მსახიობები მაყურებელთან ახლოს მივიყვანეთ, რათა მათ პერსონაჟების ყოველი მოძრაობა დაენახათ და შესტიკულაციის კლასიკური სტილი დროებით დაივიწყებინათ... ჩვენ გამოვიყენეთ სხეულის ენა და არ მივყვეთ თხრობას. აქ ტრაგიზმის, კომიკურობისა და ფანტასტიკის კომბინაცია გროტესკულია. ვფიქრობ, რომ სპექტაკლში შექსპირის „მაკბეტის“ ახალი, ინდივიდუალური ხედვა გადმოვეცით“, – აღნიშნა სერვატიმ, რომელმაც კუდიანები სამხედრო სამოსში გამოაწყო და პერსონაჟებს კომიკური ელფერი შესძინა.

MAX თეატრის წარმომადგენლების საქართველოში ყოფნისას მათი მუშაობის პროცესს ვესწრებოდი და თბილისის, ფოთის, ბათუმისა და ქუთაისის თეატრებში წარმოდგენილი სპექტაკლებიც ვნახე. დადგმის ქორეოგრაფიული ნაწილი სკურპულოზური სიზუსტით იყო დამუშავებული და იმპროვიზაციას გამოირიცხავდა. პერსონაჟთა სადა კოსტიუმები (მხატვარი **შიმა მირჰამიდი**) მოთეთრო, შავ და წითელ ფერებში გადაწყვიტათ. მსახიობები იყენებენ გრიმს და სულ რამდენიმე რეკვიზიტს. ზემოთ ჩამოთვლილი ფერების გარდა, განათებისას სჭირდებათ ლურჯი, მოქმედება კი ვითარდება ძირითადად სამ პლანად, რომელთაგან შუა ხშირად „გათუშულია“ და მაყურებლის ყურადღება წინა და უკანა პლანზე გადაწვინებული.

ვინ იყო ირანელების საქართველოში





ჩამოსვლის ინიციატორი? ნიდერლანდების საერთაშორისო ფონდი „კავკასია“ და საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელი (GRTN). პროექტის განხორციელებას მხარი დაუჭირა: ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში, ირანის დრამატულმა ცენტრმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 25 წუთიანი სპექტაკლების ფესტივალმა, სამეფო უბნის თეატრმა, ბათუმის, ფოთისა და ქიათურის სახელმწიფო დრამატულმა თეატრებმა, გაზეთმა „24 საათი“.

საქართველოში „მაკბეტი“ პირველად 27 მაისს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში წარმოადგინეს, შემდეგ კი სამეფო უბნის თეატრში და 1 ივნისამდე სპექტაკლმა ზემოთ ნახსენები რეგიონული თეატრებიც მოიარა. „მაკბეტი“ დაინერა და ითქვა, მაგრამ არსად აღნიშნულა ის, რასაც ჟურნალ „ქართული მწერლობის“ საშუალებით ვიტყვი: ამ თეატრების ხელმძღვანელობის გარდა, განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს ყველა თეატრის ტექნიკური პერსონალი, ადამიანები, რომლებმაც ძალისხმევა არ დაიშურეს იმისათვის, რომ ირანელებისთვის ხელი ოპერატიულად შეეწყოს. რეგიონულ თეატრებში აუცილებელია აპარატურის, ძირითადად განათების, შეცვლა, რასაც, ვფიქრობ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ თეატრებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება. ქია-

თურაში თითქმის მწყობრიდან გამოსულ ტექნიკას ამუშავებენ. ამის მიუხედავად, სპექტაკლმა ხარვეზების გარეშე ჩაიარა, რადგან პულტთან პროფესიონალები იდგნენ. ქიათურის თეატრზე საუბრისას, არ შეიძლება არ ვახსენოთ მაცურებელი, რომელიც დასწრების კულტურით გამოირჩევა. ვიმედოვნებთ, რომ ტექნიკის განახლების შემთხვევაში მათ ნებისმიერი თეატრალური დასის მასპინძლობა შეეძლება.

რეზა სერვატის „მაკბეტის“ საქართველოში წარმოდგენამ დაგვარწმუნა, რომ ირანში ახლებურად აზროვნებენ და თეატრალური დარგი ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანების წყალობით ვითარდება. სპექტაკლით მოიხიბლნენ ქართველი ირანოლოგებიც, რომლებმაც „მაკბეტი“ სამეფო უბნის თეატრში ნახეს. სამუხაროა, რომ წარმოდგენას არ დაესწრნენ 25 წუთიანი სპექტაკლების ფესტივალის, სახელწოდებით „ardi FEST“, მონაწილეები, რომლებსთვისაც მათი უცხოელი კოლეგების ნამუშევრის ნახვა საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა. ამ სპექტაკლში კარგად ჩანს ირანული შემოქმედებითი ჯგუფის დამოკიდებულება და პროფესიონალიზმი. რეზა სერვატიმ მოახერხა ის, რომ სინთეზური ხელოვნების საინტერესო ნიმუში შექმნა. მან ყველა კომპონენტი გათვალა. აილო ცნობილი პიესა, მაგრამ ახლებურად გაიაზრა და საკუთარ სათქმელს მოარგო. მოძებნა ფორმა, რითაც საუკეთესოდ გადმოსცა თითოეული მონაწილის შესაძლებლობები. მართალია, დიდი ხანი ეძება მსახიობები, მაგრამ საუკეთესოები იპოვა, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ყველა პირობა შეიქმნა იმისთვის, რომ ჩანაფიქრი წარმატებით განეხორციელებინა. მან დადგა სპექტაკლი, რომელსაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ადვილად გაიტანს. ამ ყველაფერთან ერთად კი შეინარჩუნა და წარმოაჩინა ეროვნული ფოლკლორი, ულამაზესი ირანული ენა, რომელიც კარგი მეტყველებით გააცოცხლეს. რეზა სერვატიმ დამარწმუნა, რომ საინტერესო სპექტაკლის განხორციელებისთვის რეჟისორის არჩევანი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია.

ფოტოგრაფია
სცენები რეზა სერვატის
სპექტაკლიდან „მაკბეტი“

პრეზენტაციები

ესმა მანია

„ვეფხისტყაოსნით“ შიმდგარი ერი და ეპოქა

ზოგჯერ ისე ხდება, რომ მთელი ერის ისტორიას, მის ცნობიერებას, მითოსს, სიმბოლოებსა და ხატ-სახეებს ერთი რომელიმე არტიფაქტი ითავსებს ხოლმე. ასეთია სვეტიცხოველი. წარსულით, აწმყოთი და მომავლით ის საქართველოს ერთგვარი სიმბოლოა (**ზურაბ კიკნაძე** წერს, რომ „სიმბოლოს“ გაგება თანამედროვე საზოგადოებაში ისე დაკნინდა, ინტელექტუალურ ვარჯიშს დაემსგავსა. არადა, სიმბოლო ბევრად ღრმა მსგავსებას, იდენტობას უფრო ნიშნავს, ვიდრე სქემას, მაკეტს...).

სვეტიცხოველს თავისი საკრალური მნიშვნელობა აქვს ერის აწმყოსა და მომავლის განსაზღვრაში. ფუნქციურად მსგავსი, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებულ სიმბოლოდქცეული მეორე არტიფაქტი – „ვეფხისტყაოსანია“. ის ცდება ჩვეულებრივი წიგნის ფუნქციებს და ქართველი ერის ისტორიისთვის სხვა მნიშვნელობის ნიმუშს წარმოადგენს. თუკი ეროვნული ხასიათი და ცნობიერება აბსტრაქტული ფენომენია, „ვეფხისტყაოსანი“ ამ ფენომენის მატერიალური სახეა. ამ ნაწარმოებს უამრავი რარიტეტული ტრადიცია და განწყობა უკავშირდება. სამზითვოდ იგი აერთიანებდა ყოფით და მხატვრულ-ფილოსოფიურ სფეროებს. „ვეფხისტყაოსნის“ ისტორია (ფართო გაგებით) კრძალვისა და პატივისცემის ისტორიაა. უალტერნატივო ფილოსოფიურ-ესთეტიკური ღირებულების ამ ნაწარმოებს არასოდეს, არცერთ ეპოქაში დაუკარგავს უპირატესობა. ამის მაგალითია ის, რომ სხვადასხვა ეპოქასა, სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ქვეყანაში ის 400-ზე მეტჯერაა გამოცემული. თუ დრო დროს ებმის ანუ აწმყო წარსულის ლოგიკური გაგრძელებაა, ერთხელ მაინც უსათუოდ უნდა გამოიცეს „ვეფხისტყაოსანი“. თუ ეს ხდება –

იმას ნიშნავს, რომ შედგა ეპოქა! ამაში ნამდვილად არაფერია გადაჭარბებული!

ეს ეპოქა შედგა! 2010 წლის 23 ივნისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის სახელობის საგამოფენო დარბაზში „ვეფხისტყაოსნის“ 105-ე გამოცემის პრეზენტაცია შედგა. წიგნი **გამომცემლობა „ბაკ-მა“** გამოსცა. საგამოფენო დარბაზში „ვეფხისტყაოსნის“ ნარჩევ ხელნაწერ ნუსხებთან ერთად, გამოფენილი იყო მისი პირველნაბეჭდი ეგზემპლარებიც.

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი: „ვეფხისტყაოსანის“ ეს გამოცემა ნამდვილად გამორჩეული პროექტია. თუ კატეგორიულობას არ გამოვიჩნთ და არ ვიტყვით, ეს „ვეფხისტყაოსანის“ ყველაზე კარგი გამოცემააო, უსათუოდ არის ერთ-ერთი საუკეთესო. ეს პროექტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სამეცნიერო და კერძო დანესებულებების ერთობლივი პროექტია. ეს თანამშრომლობა ჯერ კიდევ ხელნაწერთა ინსტიტუტს ჰქონდა დანესებული ამ დანესებულებასთან. თავიდან გვქონდა ბევრი საინტერესო იდეა, ბოლოს არჩევანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე შეჩერდა, თანაც ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ყველაზე უხვად ილუსტრირებული ე. წ. „წერეთლისეული“ ნუსხის მიხედვით.

„ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეულ ნუსხას საინტერესო ისტორია აქვს. ის შექმნილია XVIII ს-ის I ნახევარში, მას თავისი მატერიალური სიმდიდრითაც და მხატვრული მნიშვნელობითაც სამეფო დინასტიის კვალი ეტყობა. დროთა განმავლობაში ეს წიგნი აბაშიძეების, გურიელების და ბოლოს წერეთლების ხელში მოხვედრილია. XIX საუკუნეში კი **დავით სარა-**





წიგნებს ხშირად ლოდებს ადარებენ – ნაიკითხავენ თუ არა, თაროზე ჩამოდებენ და უნდა იდოს საუკუნეობით. ეს, ერთი შეხედვით, ლოგიკური შედარება, ცოტა არ იყოს, ზერელობის განცდასაც ბადებს, რადგან ეწინააღმდეგება „ლოდისა“ და „წიგნის“ ცნებებს. ლოდი მყარ რელიეფურ საფუძველს უქმნის დედამიწას, ისევე როგორც წიგნი – აზროვნებასა და ცნობიერებას. ამ ცნებების არსიდან გამომდინარე, მათი სტატიკურობა ძალიან შორსაა მათივე სტაგნაციისაგან. მათი შინაგანი ენერგია, ერთი შეხედვით, უჩინარი, მაგრამ საოცარი ძალის მქონეა. ამ თვალსაზრისით, მართლაც ჰგავს ისინი ერთმანეთს.

ჯიშვილს სიმბოლურ ფასად შეუძენია და მისი ჩუქება ფრანგი მოგზაურისთვის **ბარონ დე ბაისტის** გადაუწყვეტია. ვიდრე ქართველი მწერამე თავის სურვილს აასრულებდა, **ექვთიმე თაყაიშვილს** მისგან ეს ხელნაწერი აღსანერად უთხოვია. ძალიან მალე იმდროინდელ ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში გამოუქვეყნებია ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ შესწირა ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეს ხელნაწერი დიდმა ქართველმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა. დღეს ეს ნუსხა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ წიგნთა საცავში ინახება.

ლევან თაქთაქიშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე: „მაქვს „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიოში ყველა დროს გამოცემული 400-ზე მეტი გამოცემიდან 336 ნიმუში. ეს გამოცემა მათ შორის ყველაზე მაღალი ხარისხისაა. ათეულობით ილუსტრაციიდან ქართველი მკითხველისთვის მხოლოდ 7-8 იყო ცნობილი. საინტერესოა, რომ დღემდე საუკეთესო გამოცემად საბჭოთა პერიოდში აფხაზურ

ენაზე ქართული შრიფტით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ მიიჩნეოდა“. როგორც გამომცემლობა „ბაკმის“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ამ გამოცემით საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურისთვის ერთ მნიშვნელოვან სერიას სახელწოდებით – **„განძირჩეული“**. ასევე შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის სახელობითი ვებმპლარების შექვეთა და მიღება.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს შორის საუკეთესოდ აღირებული ეს გამოცემა დღემდე არსებულთაგან ყველაზე მდიდრული და უხვად ილუსტრირებულია. თუმცა ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ნუსხიდან ამკარად განიცდის აღმოსავლური ხელწერის ზეგავლენას, მაგრამ მაინც ინარჩუნებს თვითმყოფადობას. ამაში მკითხველი უშუალოდაც დარწმუნდება.

ყველა ეპოქაში ასე იყო და ასეა დღესაც – „ვეფხისტყაოსანი“ ერთგვარი დულაბია წარსულისა და აწმყოსი... როცა ის შესაბამისად ფასდება, ერიც შემდგარია და ეპოქაც!..

ცაში აფრენილი ლექსები



ნინო ნადირაძე

მზით ადღეებილი ხელისგულებიდან ლექსები უნდა ავაფრინოთ... ერთი ფიქრით მეტი საღამო, ერთი სუნთქვით მეტი, ერთი ფილტვით მეტი მოძრაობა გავშალოთ დროში... მოძრაობა სისხლიდან გულში, გულიდან შენში, შენიდან მასში, მათში და მერე... მიდი და კერე უსაზღვროების დაუკემსავი ფულუროები... შენი გული ხომ იფეთქებს ისე, როგორც მე დავნერე – ჰო, ასე იფეთქებს თუნდაც საათი და 30 წუთი. დროახეული აფიშებივით გავეკრათ ცას და გავუშვათ ყველამ ჩვენ-ჩვენი გვირილებიბიბული ფრანი... ეს დღე იქნება ფრანის და გვირილების დღე...

„ივნისის 29, სამშაბათი დღე, 19:30 წუთი კინოთეატრ „ამირანის“ ლიტერატურული კაფე... ნინო ნადირაძის წიგნის პრეზენტაცია. გამოცდი სახლს...“

ასეთი პოეტური ანონსით მიიწვია ახალგაზრდა პოეტმა **ნინო ნადირაძემ** პოეზიის მოყვარულები თავის რიგით მესამე წიგნის წარდგინებაზე. ახალი კრებულის რედაქტორი მწერალი **მიხო მო-**

სულიშვილი გახლავთ, რომელმაც შემდეგი სიტყვებით გახსნა საღამო: „წიგნს რომ ხელში აიღებთ, მაგრად ჩასჭიდეთ ყდაზე შებმულ თოკს ხელი, რადგან ფრანია და უცებ ცაში არ გაგიფრინდეთ... ეს არის წიგნი, რომელიც შეიძლება ხელიდან გაგვიფრინდეს!“ მან ამ სიტყვებით შეკრებილთ ყურადღება გაუმახვილა წიგნის როგორც შინაგან, ისე გარეგნულ მხარეზე (წიგნს ძალიან ორიგინალური გადანწყვეტით შესრულებული ფრანის ფორმა აქვს).

საღამოზე, რომელიც უამრავი გვირილითა და ფრანით იყო გაფორმებული, პოეტმა თავისი ლექსები ვიოლინოს თანხლებით წაიკითხა. ლექსებს ასევე კითხულობდნენ ახალგაზრდა პოეტები: **გიორგი არაბული, ნუკრი ბერეთელი, კატო ჯავახიშვილი, თეა თაბაგარი, ნიკა ჩერქეზიშვილი, ქეთი ჩხარტიშვილი და გვანცა ჯობავა**. მათ ერთად „ააფრინეს მზით ადღეებილი ხელისგულებიდან“ პოეტის ბოლო ორი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები.

ნიგნები


ბალაკტიონოლოგია V

გამოვიდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „ბალაკტიონის კვლევის ცენტრის“ მიერ მომზადებული მორიგი სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „ბალაკტიონოლოგია V“, ცენტრის ხელმძღვანელის თეიმურაზ დოიაშვილის რედაქტორობით.

კრებულიაერთიანებს უახლეს გამოკვლევებსა და წერილებს. მკითხველი გაეცნობა პოეტის უცნობ თუ ნაკლებად ცნობილ ლექსებსა და ჩანაწერებს უბის ნიგნაკებიდან, როსტომ ჩხეიძის ვრცელ ნაშრომს „თვალდია საფლავები“. „არტიკული ყვაილები“ პრობლემატიკას ეძღვნება აკაკი ბაქრაძის, ლევან ბრეგვაძის, ნინო დარბაისელისა და თეიმურაზ დოიაშვილის გამოკვლევები. რუბრიკაში „კონტექსტი“ ირაკლი კენჭოშვილი და კოსტანტინე ბრეგვაძე აშუქებენ რომანტიზმის ტრადიციასთან პოეტის მიმართებას. ბალაკტიონოლოგიის ისტორია წარმოდგენილია რეპუბლიკაციით აკაკი განერელიას წერილისა „ბალაკტიონ ტაბიძის ლირიკა“ (1938). ლექსს „უკანასკნელი მატარებელი“ ეძღვნება დავით წერეთლის ესე და გიზო ზარნაძის მოგონება. რუბრიკაში „კრიტიკული დისკურსი“ თეიმურაზ დოიაშვილი განიხილავს ინესა მერაბიშვილის ნიგნს „ბალაკტიონის ენიგმატი“. ტოტალიტარისტული რეჟიმისადმი ბალაკტიონის მიმართებას იკვლევენ თამაზ ვასაძე და ბელა ნიფურია. რუბრიკაში „Essai“ მკითხველი გაეცნობა ვახტანგ ჯავახიძის, ივანე ამირხანაშვილისა და პარმენ მარგველაშვილის სტატიებს. ბალაკტიონის ლირიკაში

ბავშვის მხატვრული კონცეპტი გაშუქებულია ემზარ კვიციანიშვილის წერილში. როლანდ ბერიძის ლექსმცოდნეობით გამოკვლევა წარმოაჩენს დასავლური მყარი სალექსო ფორმების პოეტისეულ ტრანსფორმაციას. იაპონელი მკვლევარი შიროტაკე მადეა თავის წერილში გვაცნობს იაპონურ ენაზე ბალაკტიონის ლირიკის პირველ, მისეულ თარგმანსაც. ბალაკტიონის პოეტურ ენაში სიმბოლისტურ სიტყვათწარმოებას ეხება ნათია სიხარულიძის გამოკვლევა. ერთი ლექსის ტექსტოლოგიური ისტორია წარმოდგენილია ჯული გაბოძის წერილში. რუბრიკაში „ნიგნები ბალაკტიონზე“ ლევან ბრეგვაძე, თედო იაშვილი და ნათია სიხარულიძე განიხილავენ აკაკი ხინთიბიძის, ნოდარ ტაბიძისა და ზეინაზ სარიას ნიგნებს. „გამოხმაურებანი, თვალსაზრისი და ინფორმაცია“ შეიცავს გურამ ბარნოვის, ვახტანგ როდონაიასა და მამუკა შელეგიას სტატიებს. ბალაკტიონის ცხოვრების ეპიზოდს მკითხველი გაეცნობა ელგუჯა ბერძენიშვილის მოთხრობაში. პოეტის თავგადასავალს აცოცხლებს ლილია მეგრელიძის მოგონებები, ნანა კობალაძის ვრცელი კომენტარებით.

ნიგნის დასასრულს, ტრადიციისამებრ, რუბრიკებში „დღეები ბრუნავს“ და „მოგონებათა თოვის“ წარმოდგენილია ვრცელი თუ მცირე მოგონებანი, რომლის ავტორებიც არიან: ლადო ასათიანი, ლადო გუდიაშვილი, ნიკო კეცხოველი, კორნელი სანაძე, თამაზ ჩხენკელი, შერმადინ ონიანი, გულბათ ტორაძე, ნანა დიმიტრიადი და სხვანი.



ივანე ლიქოკელი

„ხევისურათის სისხლიანი 37“

კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ოკუპაციისას მე-11 ნოთებმა არმიამ 1922 წელს ხევსურებთან ბრძოლაში ათასობით ჯარისკაცი დაკარგა.

ხევსურთა ოპოზიციური განწყობილება გრძელდებოდა 30-იან წლებშიც.

1936-1937 წლების საერთო კომუნის-

ტური რეპრესიების მსახვრალი ხელი შეეხო ხევსურეთსაც. განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს ლიქოკელთა თემის მიმართ. სწორედ ამ საკითხებსა და ლიქოკელთა გვარის წარმომავლობაზე მოგვითხრობს ეს ახალი ისტორიული ნარკვევი, რომელიც გამომცემლობა „არტანუჯმა“ ახლახან გამოსცა.



საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ეთერ კვანჭიანი
ვლადიმერ პერანიძე
ბადრი ტალახაძე
მართა ნიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22